გაზეთი დაარსებულია 1918 წელს,
ხუთშაბათი, 18 აგვისტო, 2005 წელი.
№195 (5228)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბუნდოვანი სიტყვაა, ცუდილობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში. ფასი 50 თეთრი.

◎ პრეზიდენტი

შენ მსხლები დაგიკრეფია, მე კი შენი სიყვარული...

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ქობულეთის რაიონის სოფელ კვირიკეში წყალსადენის გახსნის ცერემონიას დაესწრო.

კვირიკეში პრეზიდენტს სოფლის მოსახლეობას დახვდა, რომელთაც მან ქობულეთის მაჟორიტარი კობა ხაბაზი წარუდგინა. ის აცხადებს, რომ კობა ხაბაზი მხოლოდ მმართველი პარტიის წევრი არ არის, ის მისი ნდობით აღჭურვილი პირია.

ამის შემდეგ პრეზიდენტმა წყალსადენის წყალი დალია და იქვე მსხალი საკუთარი ხელით დაკრიფა. მოსახლეობა ამ პროცესს აღფრთოვანებით შეხვდა.

გუშინვე საქართველოს პრეზიდენტმა ქობულეთში სასწრაფო დახმარების ცენტრი გახსნა. შემდეგ ქობულეთის სტადიონზე „ნაციონალების“ თასის გათამაშებას დაესწრო.

საღამოს პრეზიდენტი ბათუმის ცენტრალურ სტადიონზე მივიდა, სადაც „A სტუდიოს“ და ქეთა თოფურიას კონცერტი გაიმართა.

ინტერპრესნიუსი

აი, დროშა, აშორდია...

გეკითხებით: რა გვრჯის, შვილოსა, რატომ მიგვყავს საქმე რევოლუციამდე, რატომ ვიტკივებთ აუტკივარ თავს, როცა შეგვიძლია, არ მივუერთდეთ იმ კონვენციას და ბიბლიაც ქართულ ენაზე წავიკითხოთ?

ანდა რა მაგალითია აჭარა, როცა ის მხოლოდ ერთ „დიალექტზე“, სულხან-საბას ენაზე მეტყველებს? სად — ენა და სად — ქვეყნის ხელმძღვანელობის წაყრუებით ამ რეგიონში ერთი თავნება კაცის ახირება?

იხ. მე-3-4 გვ.

◎ ინფორმაცია

მაჟორიტარი დეპუტატი ხელისუფლებას აკრიტიკებს

ზუგდიდის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი გოჩა ფიფია ზუგდიდის რაიონის გამგებელს ალექსანდრე ქობალიას ძალაუფლების შანტაჟის გზით მოპოვებასა და უკანონო ქონების დაგროვებაში ადანაშაულებს.

— ამბობენ, რომ ალექსანდრე ქობალიას და მის პარლამენტარ მამას გრიგოლ ქობალიას ამ ხელისუფლების მაკომპრომეტირებელი ვიდეოკადრები აქვთ, სადაც ასახულია ახალი ხელისუფლების წინასაარჩევნო ბნელი საქმეები. იმასაც ამბობენ, რომ სწორედ ამ გზით მოიპოვა ალეკო ქობალიამ გამგებლის თანამდებობა, თორემ ამ პიროვნებას ხუთი წუთითაც რომ გაესაუბროთ, მიხვდებით, რომ მას და ამ თანამდებობას საერთო არაფერი აქვთ, — განაცხადა გოჩა ფიფიამ.

მისივე თქმით, ქობალიამ მიწები და უძრავი ქონება უკანონოდ მიითვისა.

— კონკრეტულად მომავალში ვისაუბრებ. დღეს კი გეტყვით იმას, რომ ზუგდიდის ცენტრში საუკეთესო შენობა-ნაგებობები და ფართები ქობალიამ და მისი კლანის წევრებმა მიითვისეს. ზუგდიდში საშინელი კრიმინოგენური სიტუაციაა და გამგებელი მდგომარეობის გამოსასწორებლად არაფერს აკეთებს. მარტო გზების დაგება და განათება არაფერს შეცვლის, ქალაქი ნარკოვაჭრებითაა სავსე, — აღნიშნა გოჩა ფიფიამ.

ფიფიამ ზუგდიდის რაიონის გამგებელთან ერთად პრეზიდენტის რწმუნებულიც გააკრიტიკა და აღნიშნა, რომ ზაზა გოროზია არაპროფესიონალია.

ინტერპრესნიუსი

ოსებმა კიდევ ერთი ქართველი გაიტაცეს

ორი კვირის წინათ ცხინვალის სეპარატისტული ხელისუფლების კონტროლირებად ტერიტორიაზე მდებარე სოფელ არცევის მკვიდრი გოჩა ჯარმელაშვილი შეიარაღებულმა ოსებმა გაიტაცეს. ამის შესახებ გატაცებულის ოჯახის წევრებმა შიდა ქართლის სამხარეო პოლიციას მას შემდეგ შეატყობინეს, რაც გამტაცებლებთან გამოსასყიდის თაობაზე მათი მოლაპარაკებები უშედეგოდ დასრულდა. ეს მედიანიუსს ლიახვის ხეობის მაჟორიტარმა დეპუტატმა გურამ ვახტანგიშვილმაც დაუდასტურა. მისი თქმით, გოჩა ჯარმელაშვილის გატაცებას ოჯახი გამტაცებლებთან მოლაპარაკების გამო არ ახმაურებდა.

შიდა ქართლის სამხარეო პოლიციაში ჯარმელაშვილის გატაცებაზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. პოლიციამ ჯარმელაშვილის ოჯახის წევრები უნდა დაკითხოს. ერთ-ერთი ვერსიით, ოსები ჯარმელაშვილის სანაცვლოდ, გორის ტერაქტებში ეჭვმიტანილებისა და ცნობილი კრიმინალის მარეკ დუდაევის გათავისუფლებას ითხოვენ, თუმცა არ გამორიცხავენ იმასაც, რომ ჯარმელაშვილი ბიზნესგარიგების მსხვერპლი იყოს. ასახელებენ გამოსასყიდ თანხასაც — 65 ათასი დოლარის ოდენობით.

მედიანიუსი

საავტომობილო გზა აღდგენილია

ღვარცოფის მიერ დაზიანებული მცხეთა-ყაზბეგი-ლარსის საავტომობილო გზა აღდგენილია. იგი 14 აგვისტოს ღვარცოფის გადმოსვლის შედეგად დაზიანდა, რის გამოც ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა აიკრძალა. გაწმენდითი სამუშაოების ჩატარების შედეგად, გუშინდლიდან საავტომობილო გზის 81 კმ-ში ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა აღდგენილია.

ამავე გზის 128 კმ-ში მოძრაობა დასაშვებია ცალმხრივად ყველა სახის ავტოტრანსპორტისთვის, ხოლო მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის და 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსების მოძრაობა მხოლოდ დილის 7.00 საათიდან საღამოს 20.00 საათამდეა დასაშვები.

ინტერპრესნიუსი

თვითმკვლელობა „სვეტობის“ ნიშნით



ცივილიზაციამ ათასი ჭირი მოგვიტანა. გამოვტყდეთ, ზოგ ამ ჭირს, თავად ვიჩენთ, სასიკვდილო განაჩენს თავად ვწერთ. ნამეტანმა თავისუფლებამ, ნამეტანმა თავაწყვეტილობამ, რომელიც დემოკრატიის, ადამიანის უფლებების ნიღბით იმუხტება, შეიძლება საბოლოოდ წირვა გამოგვიყვანოს. ისე მოგვეძალა ნარკომანია, პროსტიტუცია, რომ თავი გარეთ აღარ გამოგვეყოფა. არადა, მაინც რაღაცას ვმალავთ.

იხ. მე-2 გვ.

დოლარებით გადამწვანებული გზები და უმოწყალოდ გაძარცული მეგზევეები,

ანუ არის თუ არა სამართალმემკვიდრე „ჯგუფი“ და, რაც მთავარია, ვინ გადაიხდის მოტყუებულთა ხელფასს?

...რევოლუციის შემდეგაც შევეხე ამ საკითხს. მაგრამ ამაოდ. შედეგი არაფერი მოჰყვება, თორემ დაწერას რა თავი უტკივა-მეთქი.

ჰოდა, შენც შემოულაწუნე, თუ კაცი ხარო, შემომეხვეწა.

ვცდი, იქნებ ამ ერთხელ მაინც ჭამოს სამართალმა პური. სხვა თუ არაფერი, საჯავახოში „დუელისას“ ხალხი რომ ახლდა გენერალურ მეგზევეს, ისინი კვლავაც თავიანთ ადგილებზე ბრძანდებიან. თანაც, მაშინ თუ ეხებოდათ „ქუვეით-ჯორჯიან როუდი“, ახლა სახელგადაკეთებულმა წარმოებამ რა დაუშავათ, რატომ ვერ ერევიან მის საქმიანობაში? თუ მართლა ისეა საქმე, ავი ენები რომ ლაპარაკობენ — ძალიან, ძალიან დიდი „კრიშა“ ჰყავთ ახლა მეგზევეებსო?

ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროთ. თუმცა ხალხის განრისხებას რომ ცუდი შედეგი მოსდევს, არ უნდა დაავიწყდეთ.

იხ. მე-4 გვ.

კაცი არ გადეპუტატებულა და პარლამენტის თავმჯდომარედ ნიშნავენ

კულუარებში მორიგ დიდ საშემოდგომო გადაადგილებაზე ლაპარაკობენ. გარდამავალ პრემიერ-მინისტრად წოდებულ ზურაბ ნოღაიდელს ფინანსთა და ეკონომიკის გაერთიანებულ მინისტრად წარმოსახავენ, მის ადგილზე კი, ვარაუდით, გიგი უგულავას, მიხეილ მაჭავარიანს ან კოტე კემულარიას სვამენ.

იხ. მე-3 გვ.

...დატრიალდა,
დატრიალდა
ქარუსელი?

◎ პანორამა

სტამბოლში დააკავეს ორი ადამიანი, რომლებიც კონტრაბანდული ურანის გაყიდვას ცდილობდნენ. ისინი აპირებდნენ 7 მილიონ დოლარად გაესაღებინათ ლითონის ქილაში მოთავსებული 173 გრამი ურან-235 და ურან-238. გამოკვლევის პირველმა შედეგებმა დაადასტურეს, რომ ურანი სსრ კავშირში იყო წარმოებული.

* * *

საბერძნეთში დაღუპული თვითმფრინავის პილოტმა და ორმა სტიუარდესამ იცოდა, რომ ლაინერი გაუმართავი იყო და მათ უარი თქვეს გაფრენაზე. ლარნაკა-პრაღის რეისის მეორე პილოტი პამბოს შარავამბუსი არ უნდა გაფრენილიყო ამ თვითმფრინავით: ბოლო მომენტში მან შეცვალა თავისი კოლეგა, რომელმაც უარი თქვა ლაინერში ასვლაზე. მეორე პილოტი ამბობდა, რომ მანამდე 24 საათით ადრე, თვითმფრინავმა ავარიული დაჯდომა განახორციელა ბირმინგემის აეროპორტში. გარდა ამისა, გაფრენაზე უარი თქვა ორმა სტიუარდესამაც, წერს იტალიური „კორიერე დელა სერა“.

* * *

ავღანელმა თალიბებმა მძევლად აიყვანეს ლიბანელი ინჟინერი. ბანდამ ავღანეთში დიზელის გენერატორების მიმწოდებელ ფირმას (ამ ფირმაში მუშაობდა გატაცებული მუჰამედ რეზა) მოსთხოვა საქმიანობის შეწყვეტა ავღანეთში და ქვეყნის დატოვება. ფირმის ხელმძღვანელი მზად არის, შეასრულოს გამტაცებლების პირობები, თუ ისინი გაათავისუფლებენ ინჟინერს. თვით მძევალიც დაუკავშირდა ტელეფონით თავისი ოჯახის წევრებს და დაადასტურა, რომ ნამდვილად ცოცხალია.

* * *

პენსილვანიის შტატის სასამართლომ დაადგინა, რომ ჰომოსექსუალისტებს აქვთ სამსახურში ქალის ტანსაცმლით გამოცხადების და ქალთა საპირფარეშოთი სარგებლობის უფლება. შტატის სასამართლომ მხარი დაუჭირა შედარებით დაბალი ინსტანციის სასამართლოს მიერ წინათ გამოტანილ დადგენილებას, რომელიც პენსილვანიის შტატის ქალაქ ავენტაუნის კოოპერაციულ წესებში იძლეოდა ისეთი ცნებების დამატების უფლებას, როგორიც არის „სექსუალური ორიენტაცია“ და „სქესობრივი კუთვნილება“.

დებიუტი 3 ქულით აღნიშნა

ყაზახეთი — საქართველო
1:2

იხ. მე-7 გვ.

გაუმჯობესდა თუ არა ქვეყანაში კრიმინოგენური ვითარება?

სამართალდამცავი სტრუქტურების რეფორმების და რეორგანიზაციის მიუხედავად, ქვეყანაში, მათ შორის დედაქალაქშიც, კრიმინალური ფაქტები არცთუ იშვიათია. ზოგიერთი ექსპერტი მიიჩნევს, რომ დანაშაულთან ბრძოლა ხშირად პიარის სახეს იძენს; თუმცა არსებობს განსხვავებული პოზიციაც, რომლის თანახმადაც, ამ სფეროში ხელისუფლებამ სერიოზული ნაბიჯები გადადგა და ვითარებაც უკეთესობისკენ შეიცვალა.

იხ. მე-2 გვ.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

რუსეთის მარშრუტი რეზერვში ჩარიცხეს

ფინიშის სწორზე გავიდა საქართველოს ტერიტორიის გავლით თურქეთის ჯეიჰანის ნავსადგურამდე აზერბაიჯანის ნავთობის ტრანსპორტირების პროექტის რეალიზაცია. როგორც ბაქოში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა აზერბაიჯანის ნავთობის სახელმწიფო კომპანიის პრეზიდენტმა ნათიკ ალიევმა, აგვისტოს პირველ რიცხვებში დასრულდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გამავალი 443-კილომეტრიანი მონაკვეთის შევსება და ახლა ნავთობის ნაკადი უკვე საქართველოს ტერიტორიაზე მიედინება. ნათიკ ალიევის თქმით, სამუშაოები გრაფიკის გასწრებით მიმდინარეობს და ეს სახავს იმედს, რომ „საუკუნის პროექტი“ რეალურად დასრულდება მიმდინარე წლის 15 ნოემბრისთვის. სწორედ იმ დღეს, პროექტის მონაწილეთა გაანგარიშებით, ჯეიჰანის ნავსადგურიდან ევროპისკენ აიღებს გეზს აზერბაიჯანული ნავთობით დატვირთული პირველი ტანკერი.

თბილისში დაადასტურეს, რომ საქართველოს 248-კილომეტრიანი მონაკვეთის შევსება გართულებების გარეშე მიმდინარეობს. როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის აპარატში გვითხრეს, აზერბაიჯანულმა ნავთობმა უკვე მიაღწია გარდაბნის რაიონულ ცენტრს, სადაც მდებარეობს ორი სატუმბი სადგურიდან ერთ-ერთი. მილსადენის საქართველოს მონაკვეთმა უკვე მიიღო 2,3 მილიონ ბარელზე მეტი ნავთობი. ამ დღეებში მთავრობის სხდომაზე გამოსვლისას ნოღაიდელმა აღნიშნა: „არანაირი საფუძველი არ არის, შევიტანოთ ეჭვი იმაში, რომ სექტემბრის ბოლო რიცხვებისთვის დასრულდება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის საქართველოს მონაკვეთის შევსება და ნავთობი მიაღწევს თურქეთს“, რომლის ტერიტორიაზეც გადის მილსადენის ყველაზე გრძელი 1076-კილომეტრიანი მონაკვეთი.

იხ. მე-2 გვ.

გიგანტომანიის ეპოქა უნდა დასრულდეს...



სადაა იმის აბსოლუტური გარანტია, რომ დაპირისპირებული მხარე და მის უკან მდგარი ჩვენი „დაუძინებელი მეზობელი“ ხუდონჰესს, რომლის მშენებლობის დასრულება მრავალასეულ მილიონიან ინვესტიციებს მოითხოვს, არ გამოიყენებს საქართველოზე დამატებითი ზეწოლისათვის და პრაქტიკულად, პოლიტიკური შანტაჟისათვის? ჩვენ რუს ინვესტორებს ვაფრთხილებთ, რომ არ მიიღონ მონაწილეობა აფხაზეთში დაწყებულ „პრივატიზაციის“ პროცესში, არ განახორციელონ შესაბამისი ინვესტიციები, რამეთუ შეიძლება ეს მათ დაეკარგოთ და, ამავე დროს, მზადა ვართ, მილიონობით დოლარი ჩავდოთ პროექტში, რომელიც ეკოლოგიურთან ერთად გაზრდილ პოლიტიკურ რისკს შეიცავს.

იხ. მე-3 გვ.

მთავრობა

ამერიკა კიდევ 300 მილიონს გვაძლევს, მევენახეებს კი ერთი ლარიც არ შეხვდებათ

მთავრობის გუშინდელ სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა მთავრობის წევრებს ამერიკის შეერთებული შტატების გადაწყვეტილება ამცნო — „მილენიუმ ჩელენჯ კორპორეიშენის“ დირექტორთა საბჭომ საქართველოს პროექტი მოიწონა, რომლის თანახმადაც საქართველო 300 მილიონ დოლარს მიიღებს.

ზურაბ ნოღაიდელის თქმით, პროექტს ხელი სექტემბერში, საქართველოს პრეზიდენტის აშშ-ში ვიზიტისას მოეწერება, ხოლო მისი განხორციელება მომავალი წლიდან დაიწყება.

ამ თანხიდან 102,2 მილიონი დოლარი სამცხე-ჯავახეთის გზის აღდგენას მოხმარდება, მაგისტრალური გაზსადენის რეაბილიტაციის და ენერგეტიკის „გამოცოცხლებისთვის“ 49,5 მილიონი დოლარი განისაზღვრება, რეგიონული ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის — 60 მილიონი დოლარი, ხოლო განვითარების საინვესტიციო ფონდისთვის 32,5 მილიონი დოლარი დაიხარჯება.

„კმაყოფილნი ვართ იმით, რომ დირექტორთა საბჭომ სწორედ იმ სახით მოიწონა ჩვენი პროექტი, როგორი სახითაც წარვუდგინეთ“, — განაცხადა ნოღაიდელმა.

მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ, სოფლის მეურნეობის მინისტრმა მიხეილ სვიმონიშვილმა ჟურნალისტებს აცნობა, რომ წარმატებით მიმდინარეობს ვენახების პასპორტიზაცია. პასპორტიზაციაზე არანაირი გადასახადი არ არის დაწესებული. ეს არის სამინისტროს მოვალეობა, რომ ადგილწარმოშობის ზონებში აღიწეროს გლეხიც, თითოეული ნერგიც, თითოეული ვაზიც.

მინისტრის თქმით, წლეულს მთავრობა არც ერთ თეთრს არ გამოყოფს ყურძნის შესყიდვაზე. „ეს არის ბაზრის საკითხი და ბაზარმა უნდა მოაწესრიგოს, ვინ რამდენ ყურძენს შეისყიდის...“

მთავრობის სხდომაზე ერთიანი ეროვნული გამოცდები უმაღლეს დონეზე შეაფასეს. კახა ლომაიას თქმით, ამ გამოცდებმა საერთაშორისო სტანდარტებზე უკეთესი შედეგი აჩვენა. აბიტურიენტების პირველი რეაქცია გამოქვეყნებულ შედეგებზე დადებითი იყო, — კმაყოფილია მინისტრი. მისი თქმით, აბსოლუტური უმრავლესობა ამბობს, რომ შედეგები მათ ცოდნას შეესაბამება. „ეს ნიშნავს იმას, რომ პროცესი გამჭვირვალედ ჩატარდა. თუ აპელაციების რაოდენობით ვიმსჯელებთ, მხოლოდ 70-მა აბიტურიენტმა შეიტანა აპელაცია, რაც მთლიანი აბიტურიენტების ერთ პროცენტს შეადგენს“, — თქვა ლომაიამ.

თურმე ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის ინგლისში გასაჩივრებულთა რაოდენობა 5-დან 10 პროცენტამდეა, ხოლო ლიტვაში, როდესაც პირველად ჩატარდა სახელმწიფო გამოცდები, აბიტურიენტთა რაოდენობის 25 პროცენტმა შედეგები გაასაჩივრა. „საქართველოში გასაჩივრებულთა რაოდენობა მხოლოდ ერთ პროცენტს შეადგენს, ეს კი საუკეთესო მაჩვენებელია“, — თქვა ლომაიამ.

ჟურნალისტის შეკითხვაზე, რატომ არ აჩვენებენ აპელაციის დროს აბიტურიენტს ნაწერს, ლომაიამ უპასუხა: — აბიტურიენტი ასაჩივრებს არა ნაწერს, არამედ ქულას. „ნაწერის კონფიდენციალობა დაცულია აპელაციის დროსაც ანუ სააპელაციო საბჭოს წევრებმა არ უნდა იცოდნენ, ვის აპელაციას განიხილავენ, რომ ამან რაიმე ზეგავლენა არ მოახდინოს. ამიტომ აბიტურიენტი ასაჩივრებს ქულას, მაგრამ ჩარიცხვების გამოქვეყნების შემდეგ, ბუნებრივია, ნებისმიერი მსურველისთვის მისი ნაშრომის ასლი ხელმისაწვდომი იქნება“...

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის თქმით, თუ არც აპელაციამ დააკმაყოფილა აბიტურიენტი, მას შეუძლია სასამართლოში გაასაჩივროს სახელმწიფო ორგანოების მიერ გამოტანილი ნებისმიერი გადაწყვეტილება, თუმცა, სასამართლოში ანალოგიური სარჩელის არსებით განხილვას აზრი არა აქვს.

სააპელაციო განცხადების შეტანა 30 ლარი ღირს, რომელიც მომჩივანს აპელაციის გამართლების შემთხვევაში უკან დაუბრუნდება.

თამარ შაიშმელაშვილი

დახმარება

კოდორის მოსახლეობისთვის

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, საქართველოს მთავრობამ ზამთრის სეზონზე კოდორის ხეობის მოსახლეობის სურსათითა და პირველადი მოხმარების საქონლით უზრუნველყოფის მიზნით 520 ათასი ლარი გამოყო. ამის შესახებ გადაწყვეტილება გუშინდელ მთავრობის სხდომაზე იქნა მიღებული.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გულრიფშის რაიონის კოდორის ხეობის მოსახლეობის სურსათითა და პირველადი მოხმარების საქონლით უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობა განახორციელებს.

აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის გია ჩიქოვანის განცხადებით, კოდორის მოსახლეობის სურსათით უზრუნველსაყოფად გათვალისწინებული 520 ათასი ლარიდან - 200 ათასი საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდანაა გამოყოფილი, ხოლო 320 ათასი ლარი - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ბიუჯეტიდან.

ჩიქოვანის თქმით, პროდუქტების შესაძენად 389 ათასი ლარი დაიხარჯება, დანარჩენი თანხა კი მოსახლეობის თბილისიდან კოდორის ხეობაში ტრანსპორტირებას და უსაფრთხოების უზრუნველყოფას მოხმარდება.

ხელისუფლება კოდორის ხეობაში 310 ტონა ფქვილს, 28 ტონა შაქარს, 14 ტონა ზეთს, 28 ტონა მარილს, 14 ტონა ბრინჯს, 14 ტონა სარეცხ საშუალებებს და 20 000 ცალ ასანთს შეიტანს.

გია ჩიქოვანის განცხადებით, აღნიშნული პროცედურების მონიტორინგის განხორციელების შესაძლებლობა ყველა არასამთავრობო ორგანიზაციას მიეცემა.

ინტერპრესნიუსი

ექსპერტთა აზრით...

გაუმჯობესდა თუ არა ქვეყანაში კრიმინოგენური ვითარება?

სამართალდამცავი სტრუქტურების რეფორმების და რეორგანიზაციის მიუხედავად, ქვეყანაში, მათ შორის დედაქალაქშიც, კრიმინალური ფაქტები არცთუ იშვიათია. ზოგიერთი ექსპერტი მიიჩნევს, რომ დანაშაულთან ბრძოლა ხშირად პიარის სახეს იძენს; თუმცა არსებობს განსხვავებული პოზიციაც, რომლის თანახმადაც, ამ სფეროში ხელისუფლებამ სერიოზული ნაბიჯები გადადგა და ვითარებაც უკეთესობისკენ შეიცვალა.

— გიორგი გორაძე, ექსპერტი სამართლებრივ საკითხებში: კრიმინოგენური ვითარება, გარკვეული თვალსაზრისით, გაუმჯობესდა; მაგალითად, გაცილებით ნაკლებია ავტოსატრანსპორტო დანაშაულები, ყაჩაღობები, რადიკალურად შეიცვალა მდგომარეობა ნარკომანიის თვალსაზრისით. ეს უფრო ბოლო წელიწად-ნახევრის მუშაობის შედეგია. კრიმინოგენური ვითარების გაუმჯობესებაზე დიდი ზეგავლენა იქონია პატრულის ინსტიტუტის შემოღებამ, რამაც მეტად გაამართლა. ამასთან, დადებითი შედეგი გამოიღო უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების გაერთიანებამ. ზედმეტი ბიუროკრატიული ორგანოები, განყოფილებები, აღარ არსებობს; აღარ ხდება ზედმეტი კოორდინაცია რამდენიმე უწყებას შორის და ეს ერთი უწყების კომპეტენციაში შედის. თბილისში 15 აგვისტოს ლომბარდზე ყაჩაღური თავდასხმის შემთხვევამ დაგვანახა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიცია, დაცვის სამსახური და სპეცდანიშნულების რაზმები შეთანხმებულად და ეფექტურად მუშაობენ, რამაც დანაშაულზე რეაქცია დააჩქარა. ეს სტრუქტურები სხვადასხვა უწყებების დაქვემდებარებაში რომ ყოფილიყო, სამართალდამცველებს დანაშაულზე სწრაფი და კოორდინირებული რეაგირება გაუჭირდებოდათ.

— ზაქარია ქუცნაშვილი, იურისტი, დამოუკიდებელი ექსპერტი: თუკი კრიმინოგენური ვითარების გაუმჯობესებაში ვიგულისხმებთ დანაშაულების მაჩვენებლის ზრდას ან შემცირებას, ამ თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ შემცირების ტენდენცია არ შეიმჩნევა. თუკი კრიმინოგენური ვითარების გაუმჯობესებებში ვიგულისხმებთ ჩადენილი დანაშაულობის გახსნის მაჩვენებელს, ამ თვალსაზრისით ვითარება მეტ-ნაკლებად, გაუმჯობესდა. დანაშაულობების ჩადენის მაჩვენებელი რომ არ მცირდება, ამის მთავარი მიზეზი ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობაა. ის, რომ დანაშაულობების გახსნის მაჩვენებელი იზრდება, ამის მიზეზი სამართალდამცავ სტრუქტურებში განხორციელებული თვისობრივი ცვლილებებია, რაც გამოიხატა საპატრულო პოლიციის ამოქმედებასა და კრიმინალური პოლიციის განვითარებაში.



— ნანა კაკაბაძე, ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის: ქვეყანაში კრიმინოგენური სიტუაცია მეტად გაუარესდა. ამის მიზეზი ის არის, რომ ჩვენი ხელისუფლება დაკავებულია მხოლოდ პიარით, მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის კი რეალურად არაფერი კეთდება. მეორე ფაქტორია კადრების პრობლემა. როგორც არ უნდა დამალოს ხელისუფლებამ რთული მდგომარეობა, ხალხი ინფორმაციას მაინც იღებს; მათ იციან, რომ საქართველოში კრიმინოგენურ მდგომარეობას არაპროფესიონალები ებრძვიან და ეს ბრძოლა ანგაჟირებულია. როცა დანაშაულობებთან ბრძოლის პოლიტიზება ხდება, ბუნებრივია, ეს შედეგს ვერ მოიტანს.

— ლევან რამიშვილი, თავისუფლების ინსტიტუტის დირექტორი: ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლაში ეფექტური შედეგები შეინიშნება. ამ მხრივ ვითარება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. რაც შეეხება ჩვეულებრივ, კლასიკურ დანაშაულობებს, მათთან ბრძოლაში, როგორც ჩანს, საჭიროა ძირეული რეფორმა, რათა შედეგი დამაკმაყოფილებელი იყოს. თუმცა მხოლოდ სამართალდამცავი ზომებით შედეგს ვერ მივაღწევთ და შესაცვლელია ზოგადი სოციალური ფონიც, რომელიც კარგა ხანს ყალიბდებოდა და განსაკუთრებით, ბოლო ათი წლის განმავლობაში მკვეთრად გაუარესდა. მეეჭვება, რომ ეს ყველაფერი ერთ-ორ დღეში შეიცვალოს და გაუმჯობესდეს.

მედიანიუსი

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

რუსეთის მარშრუტი რეზერვში ჩარიცხეს

(პირველი გვერდიდან)

თბილისში განსაკუთრებით უსვამენ ხაზს იმას, რომ მთელი ტრასის საექსპლოატაციო გადაცემაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს, ასევე, საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი მეორე ნავთობსადენი — ბაქო-სუფსა, რომელიც ჯერ კიდევ 1990-იან წლებში გაიყვანეს. სუფსის ნავსადგურიდან სექტემბერში აპირებენ ნავთობით დატვირთული ტანკერი გაგზავნონ ჯეიჰანში, რათა შეამოწმონ იქაური ტერმინალის ტექნიკური მზადყოფნა მანამ, სანამ იქ მიიღებენ მილსადენით დიდ ნავთობს.

თბილისში ის სარგებელიც გამოიანგარიშეს, რომელიც ქვეყანამ უკვე მიიღო და მომავალშიც მიიღებს პროექტის რეალიზაციის შედეგად. უწინარეს ყოვლისა, როგორც ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა თქვა, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის ექსპლოატაციის უკვე პირველ წლებში, მარტო აზერბაიჯანული ნავთობის ტრანზიტისთვის საქართველო საშუალოდ მიიღებს 20-25 მილიონ დოლარს. „როცა მილსადენი სრული სიმძლავრით ამოქმედდება, ეს შემოსავალი 50 მილიონ დოლარამდე გაიზრდება“, — თქვა მინისტრმა. გარდა ამისა, საქართველოს მონაწილეობამ ნავთობსადენის მშენებლობაში მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების პრობლემის გადაჭრას: საქართველოს მონაკვეთის ტრასაზე სამუშაო მიიღო 4,5 ათასზე მეტმა კაცმა. ამ პროექტის შედეგად მიღებული სარგებელი კიდევ უფრო დიდია აზერბაიჯანისთვის: აზერბაიჯანის ნავთობის სახელმწიფო კომპანიის სპეციალისტების გაანგარიშებით, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის ექსპლოატაციის წლებში (მინიმუმ 25 წელი), ქვეყანა, თვით ნავთობის ამჟამინდელი ფასების გათვალისწინებითაც კი მიიღებს 150-200 მილიარდ დოლარს.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი გათვალისწინებულია წელიწადში 50 მილიონი ტონა ნავთობის გადასატუმბად. ამასთან, მილსადენის გამტარუნარიანობა შეიძლება გაიზარდოს თითქმის ერთი ორად, თუ საჭირო იქნება დიდი მოცულობის ნედლეულის ტრანსპორტირება. და ასეთი მოცულობის ნავთობი შეიძლება სულ მალე გამოჩნდეს: პროექტის მონაწილე უახლოესი მომავლისთვის, ალბათ, ყაზახეთიც გახდება. როგორც ამ დღეებში თქვა აზერბაიჯანის ნავთობის სახელმწიფო კომპანიის ხელმძღვანელმა ნათიკ ალიევმა, ბაქო და ასტანა აპირებენ, განაგრძონ კონსულტაციები ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენთან ყაზახეთის შეერთების შესახებ სამთავრობათშორისო შეთანხმების მომზადების მიზნით. ამის შესაძლებლობა პრეზიდენტებმა ილჰამ ალიევმა და ნურსულთან ნაზარბაევმა განიხილეს ჯერ კიდევ 25 მაისს ბაქოს მახლობლად მდებარე სანგაჩალის დაბაში მილსადენში ნავთობის ჩატუმბვის დაწყების საზეიმო ცერემონიაზე. როგორც აზერბაიჯანის ნავთობის სახელმწიფო კომპანიაში აცხადებენ, ყაზახეთის მხარემ გამოგზავნა თავისი შენიშვნები მომავალი შეთანხმების ზოგიერთ პუნქტთან დაკავშირებით, მაგრამ უკვე ახლა, სავსებით საფუძვლიანად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მუშაობა ამ დოკუმენტის მომზადებისთვის, მიმდინარე წლის დამლევამდე დასრულდება.

ექსპერტთა უმრავლესობა განსაკუთრებით აღნიშნავს იმას, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პროექტის რეალიზაცია ნიშნავს რუსეთის გვერდის ავლით ახალი ენერგეტიკული დერეფნის გამოჩენას. „მოსკოვისთვის განსაკუთრებით არასასიამოვნოა ის, რომ ამ ნავთობსადენთან მიერთებას აპირებს ყაზახეთიც, — განაცხადა „ნეზავისიმაია გაზეტას“ კორესპონდენტებთან საუბრის დროს აზერბაიჯანელმა პოლიტოლოგმა ალფაი აჰმედმა. — ბაქოს მილთან შეერთებით, ასტანა ცდილობს, შეასუსტოს მასზე რუსეთის გავლენა. ამით დაინტერესებული არის, როგორც ყაზახეთის ხელმძღვანელობა, ისე დასავლეთის ქვეყნები და მათ შორის, შეერთებული შტატებიც“. მაგრამ თვით ნავთობსადენის მწყობრში ჩადგომის შემდეგაც კი, აზერბაიჯანი არ აპირებს მთლიანად უარი თქვას ბაქო-ნოვოროსიისკის მარშრუტზე. როგორც ჟურნალისტებთან განაცხადა აზერბაიჯანის ნავთობის სახელმწიფო კომპანიის პრეზიდენტმა ნათიკ ალიევმა, არასწორი იქნებოდა, თუ ერთხელ და სამუდამოდ იტყოდა აზერბაიჯანი უარს ბაქო-ნოვოროსიისკის მარშრუტზე. „ეს მილსადენი გახდება ალტერნატიული და სარეზერვო“, — დასძინა მან.

**სოჰბეთ მამედოვი,
იურის სიმონიანი,**
17 აგვისტო.

ВРЕМЯ

ბაღაფში მოსკოვში თავის წინამორბედზე უფრო ხშირად დადის

თვითაღიარებული აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი სერგეი ბაღაფში 17 აგვისტოს დაბრუნდა სოხუმში. იგი რუსეთის დედაქალაქში იმყოფებოდა და ხვდებოდა ამ ქვეყნის მთავრობის წარმომადგენლებს, რომელთა გვარებს და თანამდებობასაც, როგორც წესი, ასეთ შემთხვევებში არ აზუსტებენ, რათა ამას არ მოჰყვეს დიპლომატიური სკანდალი.

აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ განაცხადა, რომ რესპუბლიკის ხელმძღვანელი რუსეთის დედაქალაქში ხვდება „უწყებების და ორგანიზაციების, მათ შორის, კერძო უწყებების, ხელმძღვანელებს“. მინისტრის თქმით, განიხილავენ ძირითადად, სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებს. თუმცა, შამბამ არაორაზროვნად მიანიშნა, რომ საქმე პოლიტიკასაც ეხება: „როცა ჩვენი ქართველი მეზობლები ვაშინგტონში ჩადიან, ჩვენ მოსკოვს მივაშურებთ. ჯერ ერთი, მოსკოვი უფრო ახლოა, და მეორეც, რუსეთთან ჩვენ ტრადიციულად გვაკავშირებს დიდი ხნის ეკონომიკური ურთიერთობა და ახლა ვცდილობთ არ შევწყვიტოთ იგი“.

უკანასკნელად ეკონომიკური ურთიერთობა შეწყდა რუსეთის ინიციატივით: გასულ ზამთარს, ციტრუსის ალოობის პიკ-სეზონში, კრასნოდარის მხარემ გადაკეტა საბაჟო საზღვარი აფხაზეთთან, რითაც რესპუბლიკის მოსახლეობას, რომლის 90 პროცენტზე მეტსაც რუსული პასპორტები აქვს, კინაღამ დაუკარგა შემოსავლის ძირითადი წყარო. მაშინ არავის დაუმალავს, რომ რუსეთმა გადაწყვიტა ასეთი გზით მოეხდინა გავლენა აფხაზეთში პრეზიდენტის არჩევნების შედეგებზე. პირველმა კენჭისყრამ, რომელიც შემოდგომაზე გაიმართა, ვერ გამოავლინა აშკარა გამარჯვებული. სიტუაცია მეტისმეტად დაიძაბა, საქმე პრეზიდენტობის კანდიდატების მომხრეთა შეიარაღებულ დაპირისპირებამდეც კი მივიდა. რუსეთი მხარს უჭერდა აფხაზეთის ყოფილ პრემიერს რაულ ხაჯიმბას, მის კონკურენტს სერგეი ბაღაფშს კი ადანაშაულებდნენ ღალატში და თითქმის საქართველოს ჯაშუშადაც კი აცხადებდნენ. დეკემბერში აფხაზეთი სამოქალაქო ომის დაწყების ზღვარზე იყო. ამის თავიდან აცილება მოხერხდა მხოლოდ ორი ლიდერის მორიგების წყალობით, რომლებიც შეთანხმდნენ ახალი არჩევნების გამართვის შესახებ. ამ არჩევნებში ისინი უკვე გამოვიდნენ ერთ გუნდად — სერგეი ბაღაფში, როგორც პრეზიდენტობის კანდიდატი, რაულ ხაჯიმბა კი — ვიცე-პრეზიდენტობისა.

კანონმდებლობაში სპეციალურად მიღებული შესწორებების მიუხედავად, რომლებიც აფართოებდნენ ვიცე-პრეზიდენტის ფუნქციებს, ამ „დუეტის“ გამარჯვების შემდეგ ხაჯიმბა მაინც ვერ გახდა დამოუკიდებელი პოლიტიკური ფიგურა. მაგრამ სერგეი ბაღაფში, რომელსაც მოსკოვში მხოლოდ მოწინააღმდეგედ თუ აღიქვამდნენ, რუსეთის მიმართ ფრიად ლოიალური აღმოჩნდა. პრეზიდენტობის პირველი ექვსი თვის განმავლობაში, იგი, მოსკოვში, ალბათ, უფრო ხშირად იმყოფებოდა, ვიდრე მისი წინამორბედი ვლადისლავ არძინბა 11-წლიანი უცვლელი მმართველობის პერიოდში. პროგნოზების საწინააღმდეგოდ, ახალი პრეზიდენტი ძალზე ცდილობს ყველას დაანახოს, რომ აფხაზეთისთვის მზე კვლავ ჩრდილოეთიდან ამოდის.

ბაღაფშის ვიზიტი მოსკოვში დაემთხვა ქართულ-აფხაზური ურთიერთობის ახალ აშკარა გამწვავებას. ორშაბათიდან აფხაზეთში დაიწყო უპრეცედენტო სამხედრო წვრთნა, რომელშიც მონაწილეობს 6 ათასამდე ჯარისკაცი, ოფიცერი და რეზერვისტი. წვრთნა კიდევ რამდენიმე დღეს გასტანს — პრეზიდენტი ბაღაფში, რომელიც კონსტიტუციის თანახმად, აფხაზთა შეიარაღებული ძალების მთავარსარდალიც არის, აპირებს პირადად ადევნოს თვალყური მანევრების დასრულებას. ოფიციალურმა თბილისმა უკვე გამოაცხადა, რომ წვრთნის გამართვა დაუშვებელი იყო, საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა კონფლიქტების მოწესრიგების საკითხებში გიორგი ხაინდრავამ კი რუსეთი დაადანაშაულა იმაში, რომ იგი თვითაღიარებულ რესპუბლიკას აწვდის იარაღს და მის ტერიტორიაზე ამზადებს შეიარაღებულ ფორმირებებს.

გარდა ამისა, საქართველო აღაშფოთა აფხაზთა ხელისუფლების წარმომადგენლების გადაწყვეტილებამ, რომლებსაც არ სურთ, რომ ორი ქართველი ექსპერტი შეიყვანონ საქართველოს რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთის საინსპექციო ჯგუფის შემადგენლობაში. აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ კატეგორიული ფორმით განაცხადა, რომ ეს ორი ქართველი რესპუბლიკაში პერსონა ნონ-გრატად ითვლება. საქართველომ თავის მხრივ ასეთი გადაწყვეტილება დისკრიმინაციულად მიიჩნია და გამოთქვა იმედი, რომ რუსეთი მოახდენს შესაბამის ზემოქმედებას აფხაზურ მხარეზე. მოსკოვში სერგეი ბაღაფშის ვიზიტის დროს, ალბათ, უთუოდ იმსჯელეს ამ ორივე სიტუაციის შესახებ — წვრთნა და რკინიგზა. მაგრამ, ძნელი წარმოსადგენია, რომ მოსკოველმა თანამოსაუბრეებმა ბაღაფშს ურჩიეს პოზიციის შერბილება.

ივანე სუხოვი,
17 აგვისტო.

ВРЕМЯ

ბავშვები

საბერძნეთში დაისვენებენ

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსა და საბერძნეთის რესპუბლიკის განათლების სამინისტროს ინიციატივით, აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან დევნილი 23 ბავშვი 23 აგვისტოდან 13 სექტემბრის ჩათვლით საბერძნეთში დაისვენებს.

პროექტის განხორციელება საბერძნეთში საქართველოს საელჩოს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს და საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ურთიერთშეთანხმებული მუშაობის შედეგად გახდა შესაძლებელი.

ნარკომანია

თვითმკვლელობა „სვეტობის“ ნიშნით

(პირველი გვერდიდან)

რას? ჩვენ გავიძახით, რომ საქართველოში 25 ათასი ნარკომანიაო. სინამდვილეში კი, 140-150 ათასია. ნარკომანთა რაოდენობა კატასტროფულად იზრდება, ასევე კატასტროფულად ახალგაზრდავდება. ვამტკიცებთ, 2004 წელს ჩვენთან ნარკომანთა რაოდენობა 10 პროცენტით (დაახლოებით 2 500 კაცით) გაიზარდაო. ამერიკის საგარეო საქმეთა დეპარტამენტი კი მშვიდად აცხადებს, რომ საქართველოში 2004 წელს ნარკომანთა და მის მომხმარებელთა რაოდენობა 150 000 კაცით გაიზარდაო. რას ვშვრებით, ხალხო, თვალებს ვიბრმავებთ?

გუშინ შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა ბრიფინგი გამართა. ფონიჭალაში, თბილისზე მიკრულ დასახლებაში, ვინმე ამირან ჰუსეინოვს 4 კილოგრამი და 300 გრამი ოპიუმი უპოვეს. ეს არის სარეკორდო მაჩვენებელი. 1998 წელს ამოუღიათ 3 კილოგრამი. ახლა კი 4 და 300.

ვითომ კანონი გამკაცრდა, ვითომ ბრძოლა გამძაფრდა, მაგრამ რა? შედეგი რა არის? ფაქტობრივად, არაფერი. რატომ? აი, მთავარი კითხვა.

უნდა შეიცვალოს საზოგადოებრივი აზრი. ქურდული ავტორიტეტების მიმდევრები, ნარკოტიკების მომხმარებლები, რომლებიც ითვლებიან პრივილეგირებულ, პატივცემულ ადამიანებად, რომლებსაც თვალებში შევციცინებთ, ყველა სურვილს ვუსრულებთ, — განზე უნდა გავწიოთ, თავიანთი ადგილი მივუჩინოთ. ხალხი უნდა ჩაერთოს იმ ბრძოლაში, რომელსაც მიზნად აქვს დასახული ჩვენი მომავალი თაობის, ჩვენი შვილებისა და ჩვენი შვილიშვილების გადარჩენა, მათი სიცოცხლის დაცვა. ჯილდოდ 1000 ლარს მიიღებს ის, ვინც პოლიციას აცნობებს წამლის ბარიგების (უშუალოდ მწარმოებლების?) ვინაობას.

სხვათა შორის, გუშინ დილას თბილისის რამდენიმე უბანში, საცხოვრებელ კორპუსებში, გაჩნდა წარწერები: „ამ სადარბაზოში ცხოვრობს წამლის ბარიგა!“ ასეთი წარწერები გაჩნდა სართულებზეც, ბინებზეც. ვინ გააკეთა? ჯერჯერობით არავინ იცის, მაგრამ გაჩნდა პრეცედენტი: მოსახლეობა ერთვება საყოველთაო ბრძოლაში. და ეს მისასალმებელია. რატომ? სხვაგვარად დავიღუპებით, საბოლოოდ დავიღუპებით!

არის ასეთი „ლეგენდა“ ერთხელ ქართველმა კანონიერმა ქურდებმა, მოსკოვის ციხეებში, აკრძალეს ნარკოტიკების შეტანა. მიაღწიეს კიდეც ამას. და ეს გააკეთეს წმინდა კაცური, მორალური მოტივებით. ჩვენ ხომ გარეთა ვართ, მოდით, ერთიანად აღვუდგეთ წინ მომავალი თაობის დაღუპვას. ამაზე უკეთესს რას გავაკეთებთ?

ბადრი იაშვილი

ინფორმაცია

ალიევი სახსრებს არ დაიშურებს

აზერბაიჯანის ხელისუფლება რუსეთთან და საქართველოსთან საზღვრის გამაგრებას აპირებს და აცხადებს, რომ სახელმწიფო ამისთვის სახსრებს არ დაიშურებს.

როგორც აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა ქვეყნის სასაზღვრო სამსახურის მეთაურთა შემადგენლობასთან გამართულ თათბირზე განაცხადა, აუცილებელია თანამედროვე ინფრასტრუქტურა შეიქმნას რუსეთთან და საქართველოსთან საზღვარზე, სადაც საბჭოთა პერიოდში არანაირი საინჟინრო ნაგებობები არ არსებობდა.

ალიევმა აღნიშნა, რომ ამ მეზობელ სახელმწიფოებთან საზღვრის საერთო სიგრძე დაახლოებით 1000 კილომეტრია, ამიტომ „აქ ყოველ ნაბიჯზე სასაზღვრო სტრუქტურების შექმნა ძალზე რთულია“. „ეს დროს და სახსრებს მოითხოვს, მაგრამ ჩვენ უნდა შევეცადოთ“, — თქვა აზერბაიჯანის ლიდერმა.

ალიევი მიიჩნევს, რომ სახელმწიფო საზღვრების გამაგრება აზერბაიჯანში სტაბილურობის განმტკიცების მნიშვნელოვანი ფაქტორია.

— დღეს, აზერბაიჯანიდან არც ისე შორს მდებარე ადგილებში ყოველდღიურად საშინელი მოვლენები — ტერაქტები, ძალადობის აქტები ხდება. აზერბაიჯანი ამ რეგიონში სტაბილურობის, უსაფრთხოების კუნძულია და ჩვენ ამას უნდა გავუფრთხილდეთ, — თქვა ალიევმა და აქვე აღნიშნა, რომ თუ საზღვრები სათანადო დონეზე არ იქნება დაცული, ქვეყნის წარმატებები, შესაძლოა, ეჭვქვეშ დადგეს.

საარჩევნო უბნები — ერთი დღით

წინასწარი არჩევნების ცესკო, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას წერილობით მიმართავს, რათა წინასწარი არჩევნებისათვის 17 სექტემბერს, ოთხ საარჩევნო ოლქში მათი საარჩევნო უბნებისათვის გამოყოფილი შენობები ერთი დღით დაუთმოს.

ამ საკითხთან დაკავშირებით, გუშინ წინასწარი არჩევნების ცესკომ პრესკონფერენცია გამართა.

— ოპოზიცია მოწადინებულია წინასწარი არჩევნები ჩატარდეს იმავე წესებითა და პირობების დაცვით, რაც დადგენილია არჩევნებისათვის, — ნათქვამია ოპოზიციის მიმართვაში.

„მემარჯვენეების“ წარმომადგენლის მამუკა კაციტაძის განცხადებით, მათ იმედი აქვთ, რომ ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან ამ საკითხზე შეთანხმებას მიაღწევენ.

წინასწარი არჩევნები ისნის, ტყიბულის, ბათუმისა და შუახევის საარჩევნო ოლქებში გაიმართება 17 სექტემბრისთვის.

განიხილავენ სააპელაციო განცხადებებს

ერთიანი ეროვნული გამოცდების სააპელაციო განაცხადების მიღება გუშინ შუახევში, ხულოში, ყაზბეგში, თიანეთში, წალკასა და თეთრ წყაროში დღის მეორე ნახევრიდან დაიწყეს.

როგორც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ინფორმაციაშია მითითებული, აბიტურიენტების მიერ სარეგისტრაციო პუნქტებში პირველადი მონაცემების შედეგების გაცნობა 16 აგვისტოს დაიწყო და 19 აგვისტოს 18.00 საათზე დასრულდება.

ერთიან ეროვნულ გამოცდებში 31 174 აბიტურიენტმა მიიღო მონაწილეობა, თუმცა, სხვადასხვა მიზეზით გამოცდებს 1 500 აბიტურიენტი გამოეთიშა. ტესტები 565 გამსწორებელმა შეამოწმა. მაქსიმალური შეფასება (100 ქულა) ქართულ ენასა და ლიტერატურაში ერთმა აბიტურიენტმა, ზოგად უნარებში — 2-მა, მათემატიკაში 12-მა, უცხო ენებში კი 40-მა აბიტურიენტმა მიიღო.

აპელაციას ცალკეულ საგნებში მიღებული შეფასება ექვემდებარება. სააპელაციო განაცხადის ღირებულება 30 ლარს შეადგენს, რომელიც აბიტურიენტს პრეტენზიის დადასტურების შემთხვევაში სრული მოცულობით დაუბრუნდება.

აპელაციების შედეგები აპელაციის შეტანიდან არაუგვიანეს 18 დღის შემდეგ გახდება ცნობილი.

კონსენსუსის იმედით

აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტ სერგეი ბაღაფშ მიაჩნია, რომ აფხაზეთსა და საქართველოს შეუძლიათ კომპრომისს მიაღწიონ და უსაფრთხოების შესახებ ხელშეკრულება გააფორმონ.

— დღესდღეობით მხარეთა პოზიციები პერსპექტიულია და შესაძლოა, ამ თვალსაზრისით მიღწეული იქნას კონსენსუსი, ანუ აფხაზეთსა და საქართველოს შორის უსაფრთხოების საკითხზე ხელშეკრულებას მოეწეროს ხელი, — განაცხადა ბაღაფშმა მოსკოვში გამართულ პრეს-კონფერენციაზე.

მისი თქმით, აფხაზური მხარე სამშვიდობო დიალოგის გაგრძელების მომხრეა. ამასთან ერთად, ბაღაფშმა აღნიშნა, რომ რიგ საკითხებთან დაკავშირებით, ქართულ მხარესთან გარკვეული უთანხმოება ჯერ კიდევ რჩება.

ინტერპრესნიუსი

ხორციელდება საგანგებო ღონისძიებები

ოპერატიული მონაცემებით, საგადასახადო დეპარტამენტის თანამშრომლებმა ფინანსურ პოლიციასთან ერთად თბილისის ტერიტორიაზე დიდი ოდენობის — 14102 კოლოფი უაქციზო სიგარეტი ამოიღეს. აქედან, მარტო 16 აგვისტოს ამოღებულია 1774 კოლოფი 14 დასახელების უაქციზო სიგარეტი, ხოლო 15 აგვისტოს, ქ. წამებულის ქუჩაზე განლაგებულ ორ ობიექტში უაქციზო სიგარეტთან ერთად დიდი ოდენობით აღურიცხავი საქონელიც აღმოაჩინეს.

გარდა ამისა, გამოვლინდა საკონტროლო სალარო აპარატების დადგმისა და გამოყენების წესების დარღვევის, მათ შორის, აპარატის უქონლობის, გამოუყენებლობისა და ჩეკის გაუცემლობის 190 შემთხვევა. კანონის დამრღვევი მეწარმეების მიმართ განხორციელდა როგორც ადმინისტრაციული, ისე საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული ფინანსური სანქციები.

აღნიშნული საგანგებო ღონისძიებები, რომელიც მიმდინარე წლის 29 ივლისიდან დაიწყო და ამჟამადაც გრძელდება, ფინანსთა მინისტრის ბრძანებით ხორციელდება.

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს
საგადასახადო დეპარტამენტი.**

…დატრიალდა, დატრიალდა კარუსელი?

კაცი არ გადმოუტატებულა და პარლამენტის თავმჯდომარედ ნიშნავენ

გამსახურდიას ხელისუფლების მსგავსად, სააკაშვილის ხელისუფლებასაც სათანადო კადრების ნაკლებობას საყვედურობენ. ჯერჯერობით საქართველოს ვერც ერთი პოსტსაბჭოური ხელისუფლება პარტიულობის პრინციპით კადრების დაკომპლექტებას ვერ ასცდა. არ ვარგა, როცა პროფესიონალიზმზე მეტად ფასობს პარტიული იდეებისადმი ერთგულება ან, ვთქვათ, რევოლუციური დამსახურება.

სააკაშვილის ხელისუფლება, ამ ყოველივესთან ერთად, გამოირჩევა ახალგაზრდა, გამოუცდელი კადრების საპასუხისმგებლო თანამდებობებზე დანიშვნით. ეს არც გამსახურდიას და არც შევარდნაძის მმართველობისთვის არ იყო სიმპტომატური. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ საქართველოში ესა თუ ის პარტია კლანურობისა და ძმაბიჭობის პრინციპით იქმნება, ძნელი მისახვედრი არ იქნება ნებისმიერი კარუსელის დატრიალების აუცილებლობა.

ექსპერტების აზრით, „კარუსელის“ ინტენსიური დატრიალება ხელისუფლების სისუსტეს მიანიშნებს. ამბობენ, რომ ნაციონალურ მოძრაობაში კადრების უკმარისობაა. ამიტომაც იძულებითია ერთი და იგივე პიროვნებების დაუსრულებელი „გადაადგილ-გადმოადგილება“, რაც ხშირად ხელს უწყობს ნაირ-ნაირი ჭორის გავრცელებას.

ექვსიოდე თვის წინათ, ერთი საკმაოდ პოპულარული გაზეთი ასაბუთებდა, რომ გია მაისაშვილი შესაძლოა პრემიერ-მინისტრად მოგვევლინოდა... ახლა კი ისინის მაჟორიტარ კანდიდატს ბიძინა ბრეგაძეს პარლამენტის მომავალ თავმჯდომარედ წარმოსახავენ, ნინო ბურჯანაძეს კი ოპოზიციაში უშვებენ...

ნათქვამია, ბავშვი ჯერ არ დაბადებულიყო და აბრამს არქმევდნენო. შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე ჯერ დეპუტატიც არ გამხდარა და პარლამენტის თავმჯდომარეობა ვინ უწინასწარმეტყველა?

თუმცა... გამორიცხული არაფერია. ქვეყანაში, ძირითად თანამდებობებზე ბავშვები სხედან და არც ბრეგაძის პარლამენტის თავმჯდომარეობა უნდა გაგვიკვირდეს სამომავლოდ.

ამის გარდა, კულუარებში მორიგ დიდ საშემოდგომო გადაადგილებაზეც ლაპარაკობენ. გარდამავალ პრემიერ-მინისტრად წოდებულ ზურაბ ნოღაიდელს ფინანსთა და ეკონომიკის გაერთიანებულ მინისტრად წარმოსახავენ, მის ადგილზე კი, ვარაუდით, გიგი უგულავას, მიხეილ მაჭავარიანს ან კოტე კემულარიას სვამენ.

შემთხვევითი არ იყო, ალბათ, კემულარიას ამას წინანდელი „გალაშქრება“ ბენდუქიძის წინააღმდეგ. მან ეკონომიკის ყოფილი მინისტრის 2004 წლის 19 ოქტომბრის ბრძანებულების გაუქმება მოითხოვა, რომელიც სახელმწიფო ქონების კონკურსის ფორმით პრივატიზებას ითვალისწინებდა. ამტკიცებდა, ანტიკონსტიტუციურიაო. ბევრის აზრით, ეს ნაბიჯი იუსტიციის მინისტრის მიერ ბენდუქიძის დისკრედიტაციის მიზნით საკუთარ აქტივში ქულის ჩაწერას უფრო ჰგავდა, ვიდრე რაიმე შეცდომის მხილებას. აღმოჩნდა, რომ ბრძანებულება უკანონო და ანტიკონსტიტუციური სრულებითაც არ გახლდათ.

მიხეილ მაჭავარიანს დიდი შანსი აქვს, მაგრამ ჩააბარებს ამ პოსტს პრეზიდენტი ისევ ქვანიას გუნდის წევრს?

არ არის გამორიცხული, პრემიერის პოსტზე „კმარას“ აქტივისტი გიგი უგულავა დაწინაურდეს. ამას მოწმობს მისი მიზანმიმართული აღმასვლა კარიერის კიბეზე – უშიშროების მინისტრის მოადგილეობიდან სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორობამდე, პრეზიდენტის ადმინისტრაციის აპარატის უფროსობიდან თბილისის მერობამდე. იგი დღემდე პრეზიდენტის ერთგულ კადრად მოიაზრება.

თუმცა საეჭვოა პრემიერ-მინისტრის პოსტზე კანდიდატი უცხო ძალებისგან დამოუკიდებლად დასახელდეს.

ამბობენ, რომ საშემოდგომო კარუსელი შინაგან საქმეთა მინისტრს ირაკლი ოქრუაშვილით ჩაანაცვლებს, თავდაცვის მინისტრად კი გივი თარგამაძე მოგვევლინება, მოარული ხმების მიხედვით, ცალკე გამოიყოფა უშიშროების სამსახური, რომელსაც ირაკლი ალასანია უხელმძღვანელებს, ვანო მერაბიშვილს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელად გადაიყვანენ.

ფაქტია, რომ მმართველ უმრავლესობაში კადრების ცვლა ავადმყოფობად იქცა. სოციალური პრობლემებით შეწუხებული ხალხი კი დაიღალა კარუსელებით და საკადრო შოუ-მასკარადებით, რადგან ასეთი გადაადგილებები მათ ცხოვრებაზე სასიკეთოდ სრულებითაც არ აისახება.

თამარ შაიშმელაშვილი

კერძო აზრი

აი, დროშა, აშორდია...



ჩვენი ცხოვრება ყოველდღიური მოულოდნელობითაა აღსავსე, გვესმის და ვხედავთ კარგსაც და არასასიამოვნოსაც. სიკეთე თანდათანობით ზომიერად იკრებს ძალ-ღონეს, ამიტომ ვერ ვიტყვით, სიხარულისაგან ლამის გული გამისკდაო.

აი, ეს უსიამოვნო ამბები საკმაოდ მძაფრი და მართლაც გულისმომკვლელია.

ბოლო დღეებში ჩვენი შეშფოთება ქართველი მოსახლეობის ეთნიკური ნიშნით განცალკევების საშიშროებამ გამოიწვია. თითქოს მივეჩვიეთ კიდეც, როცა ანეკდოტებიდან დაწყებული დიდი მოცულობის რომანების ჩათვლით, ვსაუბრობთ კახელის, გურულის, სვანის, ხევსურის, მეგრელის, აჭარლის, იმერელის და სხვათა თავისებურებებზე, ხასიათზე, მეტყველებაზე, ტემპერამენტზე და სხვა განმასხვავებელ ნიშნებზე.

ყურადღება ექცევა დიალექტსაც, რომელიც მართლაც განსხვავდება ერთმანეთისაგან, ზოგი მეტად, ზოგიც – ნაკლებად, თუმცა ყველა, მათ შორის მეგრული (თითქმის იგივე ლაზური), სვანური მიწყივ-დაბადებიდან ქართული ენის კილოკავია, მათი წარმომავლობა საყოველთაოდ ცნობილია, ამიტომ აღარაფერს ვამბობ.

იმის გამო, რომ სვანური და მეგრული დანარჩენი ქართველებისთვის შედარებით ძნელად გასაგებ დიალექტებს მიეკუთვნება, ეს მომენტი ყოველთვის იყო ქართველთა არაკეთილმოსურნეებისთვის ფარული საბრძოლო იარაღი. ქვეყნის დაყოფა-დაქუცმაცებისთვის ამაზე უკეთესს ვერც ინატრებდნენ. ასეთი ქვებუდანობა დაიწყო საქართველოს სახელმწიფოებრიობის დაკარგვის შემდეგ, როცა რუსეთის იმპერია ქვეყნის ასიმილაციის, მისი თვითმყოფადობის დამხობა-განადგურების გეგმის განხორციელებას შეუდგა.

არ ღირს იმის განმეორება, თუ რა მზაკვრული ხერხებითა და მეთოდებით შეძლო ჩრდილოელმა მეზობელმა ჩვენი ქვეყნის მიმართ დევიზის „დივიდე ეტ იმპერა“ აღსრულება. მადლობა ღმერთს, 1918 წელს დამოუკიდებლობის გამოცხადებამ მოუსწრო და ქართველ ხალხში კვლავ გამოაცოცხლა ერთიანობის, თავისუფლებისა და თვითმყოფადობის ნება-სურვილი.

სამწუხაროდ, სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა. იმპერიული რეჟიმი ტოტალიტარიზმმა შეცვალა, რაც ერთმანეთისაგან დიდად არ განსხვავდებოდა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან სულ რაღაც 3-4 წელიწადში ქართველ ინტელიგენტთა შორის გამოჩნდნენ უძღები შვილები, რომლებმაც მიზნად დაისახეს სამეგრელოს გამოცალკევება და მისი ავტონომიური სტატუსით მოწყობა. ისინი რაზმავდნენ მომხრეებს როგორც საკუთრივ სამეგრელოში, ისე საქართველოს სხვა კუთხეებში მცხოვრებ მეგრელთა შორის.

ხელისუფლებამ ასეთი ანტიქართული, აშკარად ანტიეროვნული გამოხდომების ძირშივე ჩაკვლის მაგივრად, „დემოკრატიის“ ნიღაბი აიფარა და სამეგრელოს ავტონომიის საკითხი სამსჯელო საგნად გახადა. 1925 წლის 24 სექტემბერს თბილისში, ოპერის თეატრის შენობაში მოეწყო სადისკუსიო კრება, რომელსაც იმდენი ხალხი მოაწყდა, რომ თეატრის კარებთან ხელჩართული ბრძოლა გაჩაღდა.

კრების პრეზიდიუმში ისხდნენ: თედო სახოკია, აკაკი ფაღავა, დიომიდე თოფურიძე, ბართლომე პატარაია და ანდრო თოდუა. პირველი სიტყვა თედოს მისცეს. მრავალჭირგამოვლილმა, ამავე დროს დინჯმა და წინდახედულმა კაცმა თავისი გამოსვლის პირველი სიტყვებიდანვე დამსწრეთ თავისი აღშფოთება და მრისხანება გადადო, რამაც ბევრ ქვებუდანას იმედი გაუცრუა და ენა დაუდუმა. გამოცდილმა ორატორმა გამოააშკარავა როგორც რუსეთის ადრინდელი ზრახვები, ისე საბჭოთა იმპერიის მიერ წაქეზებული „ავტონომისტების“ რეციდივები:

„ავტონომისტების“ საკითხი წამოყენებულია ერთ ჯგუფ ავანტიურისტების მიერ. სამეგრელო ყოველთვის და ყველა საკითხში საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო და მომავალშიც ასეთ განუყოფელ ნაწილად უნდა დარჩეს, მეგრული ენის საკითხი არასოდეს არ წამოჭრილა საქართველოში. ეს საკითხი დაისვა მხოლოდ რუსეთის ჩვენს ქვეყანაში შემოჭრის შემდეგ. რუსეთის თვითმპყრობელურმა მთავრობამ კარგად იგრძნო საქართველოს გაერთიანების საშიშროება და ამიტომ იგი ხელოვნურად ცდილობდა გამოეწვია საქართველოს დაყოფა და დანაწილება, მისი, ასე ვთქვათ, დაქუცმაცება.

რუსეთის ბიუროკრატიას კარგად ჰქონდა შეგნებული „დაყავი და იბატონეს“ პრინციპი და კიდევაც ამ პრინციპის მიხედვით აწესრიგებდა საქართველოს ფარგლებში ყველა იმ საკითხს, რომელიც ასე თუ ისე შეადგენდა საქართველოს სასიცოცხლო ინტერესებს...

სამოციან წლებში რუსეთის მთავრობამ სამეგრელოს სკოლებიდან განდევნა ქართული ენა. 1890 წლამდე გრძელდებოდა სამეგრელოს სკოლების ეს აუტანელი სასკოლო რეჟიმი.

ეს საკითხი კიდევ უფრო მწვავედ დააყენეს ამიერკავკასიის სასწავლო ოლქის ცნობილმა მზრუნველმა იანოვსკიმ და ქუთაისის სახალხო სკოლების მეთვალყურე შავრაზმელმა ლევიცკიმ. მთავრობის ეს შავრაზმელი აგენტი არა მარტო სამეგრელოს, არამედ მთელი საქართველოს სკოლებში ცდილობდა ეგრეთ წოდებული „მუნჯური“ მეთოდის საშუალებით ქართული ენის განდევნას, მის მთლიანად მოსპობას, გაუქმებას. ამ მიზნის მისაღწევად ლევიცკიმ დაავალა ხონის სემინარიის მასწავლებელს პეტროვს და ამ სემინარიის მაშინდელ მოწაფეს აშორდიას მეგრული ანბანის შედგენა რუსული ასოებით. ამრიგად, განსაკუთრებით სამეგრელოს სკოლებში, ქართული ენის სწავლება სრულიად მოისპო. ეს ენა ჯერ კიდევ ბოგინობდა მხოლოდ სამრევლო სკოლებში, რადგან ეს სკოლები გამართული იყო ეკლესიებთან, სადაც ღვთისმსახურება ქართულ ენაზე წარმოებდა.

იმ მიზნით, რომ ქართული ენის სწავლება სამრევლო სკოლებშიაც მოესპოთ, განედევნათ, ლევიცკიმ ცნობილ აფერისტ აშორდიას დაავალა საღვთო სჯულის და წირვა-ლოცვის საღვთო წიგნების თარგმნა მეგრულ ენაზე. აშორდიამაც ეს დავალება სიამოვნებით შეასრულა. მაგრამ აშორდიას ამ სამარცხვინო ნაბიჯს მთელი სამეგრელოს მოსახლეობა და საქართველოს სასულიერო და საერო საზოგადო მოღვაწეები ერთხმად წინ აღუდგნენ და ყველანი განუხრელად მოითხოვდნენ ეკლესიებში ღვთისმსახურების ქართულ ენაზე განგრძობას.



ლევიცკისა და აშორდიას მხარს უჭერდა შავრაზმელი, ანაფორაში გახვეული დეკანოზი ვოსტორგოვი, რომელიც იმ ხანებში სასულიერო სკოლების მთავარ მეთვალყურედ იქნა მოწვეული. დეკანოზი ვოსტორგოვი ამტკიცებდა, რომ მეგრელებს არავითარი ნათესაობა არა აქვს ქართველებთან, მეგრელები ცალკე ერს შეადგენსო. დეკანოზი ვოსტორგოვი იმდენად გაკადნიერდა, რომ ეს საკითხი პრესაშიც კი გადაიტანა და თავის განზრახვას მოჩმახულ აზრებს ვითომდა ასაბუთებდა.

დეკანოზ ვოსტორგოვის მიერ პრესაში გამოტანილი საკითხი დაუნდობლად გააკრიტიკა აკადემიკოსმა ნიკო მარმა და შავრაზმელი, ანაფორაში გახვეული „რაინდი“ პირდაპირ მიწასთან გაასწორა. დეკანოზ ვოსტორგოვის უნიადაგო პოზიციებს ამაგრებს სოხუმის ეპისკოპოსი არსენი, რომელმაც ბრძანება გასცა, რომ სამურზაყანოში, სადაც მთელ მოსახლეობას თითქმის მთლიანად მეგრელები შეადგენენ, წირვა-ლოცვა შემოღებულიყო რუსულ ენაზე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ღვთისმსახურების მეგრულ ენაზე შემოღების განზრახვამ დიდი აღშფოთება გამოიწვია მთელი სამეგრელოს მკვიდრთა და საქართველოს სასულიერო და საერო მოღვაწეთა მხრივ. მთელი სამეგრელო, როგორც ერთი კაცი, ფეხზე დადგა ასეთი უხამსობის წინააღმდეგ და მისი კოლექტიური გულისწყრომა და აღშფოთება გამოიხატა ნეტარხსენებულის, მაშინდელ გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის, ყოვლად სამღვდელო **გრიგოლის** დასაბუთებულ მოხსენებაში. სამეგრელოს წარმომადგენელი ერისკაცნიც, სხვათა შორის, **ნიკო დადიანი,** მისთვის ჩვეული ოსტატობით ამტკიცებს მთელს უმგვანობას და უსაფუძვლობას ლევიცკების, ვოსტორგოვებისა და აშორდიების ავანტიურისტული გამოსვლების წინააღმდეგ.

პირუთვნელი ისტორია თავის დროზე აღბეჭდავს თავის ფურცლებზე იმ ავანტიურისტების „საგმირო“ საქმეებს, რომლებიც ასე თავგამოდებით ცდილობენ საქართველოს სხეულიდან სამეგრელოს ჩამოგლეჯას და საშვილიშვილოდ გადასცემს მომავალს ჩვენი ქვეყნის თაობას“.

იხ. მე-4 გვ.

ინფორმაცია

არჩევანი: ხალხი თუ ხელისუფლება?

„საქართველოს ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერი შალვა ნათელაშვილი გუშინ, სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ აშშ-ს კონგრესის აპარატის 8-კაციან დელეგაციას შეხვდა.

დახურულ კარს მიღმა შეხვედრა ერთი საათის განმავლობაში მიმდინარეობდა. როგორც ნათელაშვილმა შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, დელეგაციის წევრებთან შეხვედრა ორმხრივი კონსულტაციების შედეგია.

მისი თქმით, შეხვედრაზე საქართველოში არსებული შიდა პოლიტიკური ვითარება განიხილებოდა. „მე კონგრესის აპარატის დელეგაციის წევრებს საქართველოში არსებული მძიმე ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ ვუამბე და განვუცხადე, რომ ამერიკამ არჩევანი უნდა გააკეთოს ან ქართველ ხალხზე, ან სააკაშვილის ბოლშევიკურ რეჟიმზე,“ – განაცხადა ნათელაშვილმა. მისი თქმით, ამერიკის კონგრესის დელეგაციის წევრებს ამგვარი ინფორმაციის შემდეგ, რა თქმა უნდა, უარყოფითი რეაქცია ჰქონდათ. „მოხარული ვარ, რომ ბოლოს და ბოლოს საქართველოში არსებულ რეჟიმთან დაკავშირებით საზოგადოებრივი აზრი იცვლება როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ,“ – განაცხადა ნათელაშვილმა.

კონგრესის აპარატის 8-კაციანი დელეგაცია საქართველოს 14 აგვისტოს ეწვია. დელეგაციას პოტომაკის ფონდის დირექტორი ფილიპ პეტერსენი ხელმძღვანელობს. კონგრესმენები საქართველოში ვიზიტის ფარგლებში პრემიერ-მინისტრს ზურაბ ნოღაიდელს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს და უშიშროების საბჭოს წევრებს შეხვდნენ. დღესვე, აშშ-ს კონგრესის აპარატის წევრები პანკისის ხეობას მოინახულებენ და საქართველოს ხვალ დატოვებენ.

„ჟინვალჰესი“ ოთხი დღის განმავლობაში რამდენიმე საათით გაჩერდება

საქართველოს ენერგოსისტემა ოთხი დღის განმავლობაში 06.00 საათიდან 18.00 საათამდე „ჟინვალჰესის“ მიერ გამომუშავებულ სიმძლავრეს ვერ მიიღებს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შპს „ჟინერის“ პროექტების დირექტორმა ანზორ დუნდუამ განუცხადა, „ჟინვალჰესის“ ადმინისტრაციამ ეს გადაწყვეტილება ენერგეტიკის მინისტრთან შეთანხმების საფუძველზე მიიღო. „დღის საათებში ჰესი გაჩერდება, საღამის 18.00 საათიდან 06.00 საათამდე კი ჩვეულ რეჟიმში იმუშავებს. ამ გრაფიკით მუშაობა „ჟინვალჰესის“ წყალგამყვანი გვირაბის დაზიანებული მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების მოსამზადებელ ეტაპს უკავშირდება,“ – განაცხადა დუნდუამ.

მისი თქმით, უახლოესი ოთხი დღის განმავლობაში ჩამოყალიბდება ჰესის მუშაობის რეჟიმები და რეაბილიტაციის პროგრამა. ამასთან, გამოინახება გვირაბის დაზიანებული მონაკვეთის რეაბილიტაციისთვის აუცილებელი 1,5 მილიონი ლარი.

„ჟინვალჰესზე“ გვირაბის დანგრეული 160-მეტრიანი მონაკვეთის სასწრაფო რეაბილიტაცია პრემიერ-მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის „ჟინვალჰესზე“ სტუმრობის დროს გადაწყდა. „საქჰიდროენერგოპროექტის“ დირექტორმა ანზორ ჭითანავამ დანგრეული მონაკვეთის სასწრაფო რეაბილიტაცია მოითხოვა. ჰიდროექსპერტი მიიჩნევს, რომ „ჟინვალჰესის“ წყალგამყვანი გვირაბის პარალიზების რეალური საფრთხე არსებობს. „ჟინვალჰესი“ საღამოს, პიკიზე 80 მეგავატს გამოიმუშავებს.

რუსული პასპორტის მონა

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტი სერგეი ბაღაფში აცხადებს, რომ ერთი წლის შემდეგ აფხაზეთის მთელი მოსახლეობა რუსეთის მოქალაქე იქნება.



„ეს პროცესი გრძელდება, საჭიროა კიდევ ნახევარი-ერთი წელი, რათა აფხაზეთის მთელი მოსახლეობა რუსეთის მოქალაქე გახდეს“, – აღნიშნა ბაღაფშმა გუშინ, მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე.

მისივე თქმით, ამჟამად აფხაზების 84 პროცენტი რუსეთის მოქალაქეა, პენსიონრების 70 პროცენტი კი რუსულ პენსიას იღებს.

იმავე პრესკონფერენციაზე თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა სერგეი ბაღაფშმა საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრის აუცილებლობა გამორიცხა.

„ამ ეტაპზე შეხვედრა არ მზადდება. არ ვფიქრობ, რომ შეხვედრა საჭიროა“, – განაცხადა ბაღაფშმა. მისივე თქმით, შეხვედრის გამართვის შემთხვევაში, მხარეები სარკინიგზო მიმოსვლის საკითხებზე და ენერგეტიკის პრობლემებზე იმუშავებენ.

ბაღაფში ტურისტებს ითვლის

წელს, აფხაზეთში ტურისტული ბუმი შეინიშნება. ამის შესახებ, აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა სერგეი ბაღაფშმა გუშინ მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. მისი თქმით, წელს აფხაზეთში, როგორც არასდროს, ბევრი დამსვენებელი ჩავიდა.

„სეზონის დასაწყისიდან აფხაზეთის საზღვარი ერთ და მეორე მხარეს 2,5 მილიონზე მეტმა ადამიანმა გადაკვეთა. თუ მათი 10-12% აფხაზეთის მოქალაქეები არიან, რომლებიც სოჭში საყიდლებისთვის მიდიან, დანარჩენები რუსეთის მოქალაქეებია“.

მისი თქმით, თუ შარშან, რიწის ტბა 25 ათასმა ადამიანმა მოინახულა, წელს ამ ადგილს უკვე 66 ათასი ადამიანი ეწვია.

ბაღაფშმა აღნიშნა, რომ რუსეთის იმ მოქალაქეების გარდა, რომლებიც ბიჭვინთაში, გაგრაში, ახალ ათონსა და სოხუმში ისვენებენ, ყოველდღიურად რამდენიმე ათასი ადამიანი რუსეთიდან აფხაზეთში, მაგალითად ახალი ათონის მღვიმეში, ერთდღიანი ექსკურსიით ჩადის.

ბაღაფშის აზრით, რუსეთის მოქალაქეებს აფხაზეთში იზიდავს როგორც ეკოლოგია, ისე მართლწესრიგი. მან ასევე აცნობა ჟურნალისტებს, რომ „აფხაზეთის ხელისუფლება ტურისტული ინფრასტრუქტურის მოდერნიზებას გეგმავს, რადგან ახლანდელ ტურისტთა ასეთ მოზღვავებას ვერ უმკლავდება“.

ინტერპრესნიუსი

გვეხმაურებიან

გიგანტომანიის ეპოქა უნდა დასრულდეს...

დიდი ინტერესით გავეცანი „საქართველოს რესპუბლიკის“ ამა წლის 6 ივლისის ნომერში გამოქვეყნებულ საზოგადოებრივი მოძრაობის – „უკან, დედაბუნებისაკენ“ – პრეზიდენტის, საქართველოს ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, დამსახურებული იურისტის კოკი ნარმანიას წერილს. მასში ბატონი კოკი, მისთვის დამახასიათებელი უშუალობით, გულწრფელობით და ღრმა პატრიოტული მუხტით გამოხატავს თავის დამოკიდებულებას ხუდონჰესის მშენებლობისადმი. მისი წერილის პათოსი ერთმნიშვნელოვანია – საქართველოში უნდა დამთავრდეს დიდი, გარემოსათვის დამანგრეველი ეფექტის მომტანი ჰესების მშენებლობა. ის, თითქმის პერმანენტული, სტიქიური უბედურებები, რაც სვანეთსა და საქართველოს სხვა რეგიონებს თავს ატყდება, ბუნებაზე ადამიანთა ძალმომრეობის შედეგია. ამიტომ, ახალი გიგანტური ჰესის მშენებლობის დაწყება საჭიროებს ყველა ფაქტორის აწონ-დაწონვას, მით უფრო, რომ საზოგადოებაში, როგორც ამას სამართლიანად აღნიშნავს ბატონი კოკი, ამ საკითხისადმი ნამდვილად არ არის ერთგვაროვანი დამოკიდებულება. ასევე, ვიზიარებ ავტორის მოსაზრებას, რომ ჩვენს საზოგადოებაში არაა დაძლეული საბჭოური პერიოდისდროინდელი ანტი და არაეკოლოგიური აზროვნების სტერეოტიპი, რომლის მიხედვითაც „ჩვენ არ უნდა დაველოდოთ ბუნებისაგან მოწყალებას, არამედ ძალით უნდა გამოვგლიჯოთ იგი მას“.

ჩვენთვის ნამდვილად არ არის სულერთი, თუ როგორ იქნება დაცული ქვეყნის არა მარტო ენერგეტიკული, არამედ ეკოლოგიური უსაფრთხოება. არ შეიძლება ადამიანმა არ გაიზიაროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რიო-დე ჟანეიროს 1992 წლის დეკლარაციაში ჩამოყალიბებული პრინციპი: **თანამედროვე ადამიანების მოთხოვნები დაკმაყოფილდეს ბუნებისადმი ზიანის მიუყენებლად ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მომავალი თაობების სიცოცხლეს.** ქვეყნის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა – ენერგეტიკული – უნდა განხილულ იქნას და გადაწყდეს საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესების კონტექსტში, რომელიც დასახელებულთან ერთად გაითვალისწინებს ეკოლოგიურ, სოციალურ და სხვა ასპექტებსაც. დამატებითი კილოვატი ელექტროენერგიის წარმოების ფონზე გამოუსწორებელი ზიანი არ უნდა მიადგეს ბუნებას, ეკოსისტემას... არადა, როგორც მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მსხვილი ჰესების მშენებლობისა და ექსპლუატაციის პრაქტიკა ადასტურებს, დიდი ჰესები, მათი კაშხალები და „მათ უკან“ მდგარი წყალსაცავები, როგორც წესი, აუარესებენ კლიმატს, ზრდიან „აღძრული მიწისძვრების“ ალბათობას.

საქართველოში, რომელსაც უზარმაზარი ჰიდროენერგეტიკული რესურსები გააჩნია, შეიძლებოდა რესურსების დივერსიფიცირება და ქვეყნის რეგიონებში სხვადასხვა სიმძლავრის მცირე და საშუალო სიმძლავრის ჰესების მშენებლობა. ეს საშუალებას მოგვცემდა, გაგვეძლიერებინა ქვეყნის ენერგეტიკული უზრუნველყოფა და, იმავდროულად, მინიმუმამდე შეგვემცირებინა ის რისკები, რაც ენგურზე ახალი საბაზრო ჰიდროელექტროსადგურის აშენებას მოჰყვება აფხაზეთის პრობლემისა და ჩვენი ჩრდილოელი „შარიანი“ მეზობლის ქმედების გამო.

მცირე ჰესების აშენებით არა მარტო შევამცირებთ ენერგეტიკულ რისკებს (როგორც ამბობენ, ყველა კვერცხი ერთ კალათაში არ ჩაიდება), არამედ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში შეიქმნება დამატებითი სამუშაო ადგილები, გაუმჯობესდება ეკონომიკური მდგომარეობა. **არა ჰიდროენერგეტიკული გიგანტის მშენებლობა გარემოზე მისი ზემოქმედების ყველა ფაქტორის ბოლომდე გაუთვალისწინებლად, არამედ მთელს ქვეყანაში მცირე და საშუალო სიმძლავრის ჰესების მშენებლობა უნდა გახდეს ჩვენი უახლოესი წლების ენერგეტიკული უზრუნველყოფის ძირითადი მიმართულება. სწორედ ასეთი ჰესების მშენებლობა უნდა სარგებლობდეს მაქსიმალური სახელმწიფოებრივი მხარდაჭერით.**

ამასთან, ვფიქრობ, საქართველოში ელექტროენერგიაზე ფაქტობრივი და მით უფრო, პოტენციური მოთხოვნილების გათვალისწინებით, **არა მარტო ჰესების მშენებლობა, არამედ ელექტროენერგიის წარმოება, თუ იგი ქვეყნისშიდა მოხმარებისათვის მიიმართება, დიდი ხნით (არანაკლებ 10-15 წლით) უნდა გათავისუფლდეს დამატებული ღირებულების გადასახადისაგან.** ეს მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ეროვნული მეურნეობის დაჩქარებულ განვითარებას აქედან გამომდინარე ყველა სოციალურ-ეკონომიკური შედეგით.

როგორც ცნობილი ჟურნალისტი ნატო კორსანტია ამ ცოტა ხნის წინათ გამოქვეყნებულ საინტერესო პუბლიცისტურ ნარკვევში „თბილისმა მიგვატოვა“ წერს, **კოდორის ხეობის მოსახლეობამ უშუქობის პრობლემა საკუთარი ძალითა და ფანტაზიით დაძლია(!).** აქ, არა თუ თითოეულ სოფელს, არამედ ზოგიერთ ოჯახსაც... საკუთარი ჰესი აქვს, რითაც საკუთარ ენერგეტიკულ უსაფრთხოებას უზრუნველყოფს. მოკლედ, ქართული ანდაზისა არ იყოს, „გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო“.

აღნიშნულ თემატიკასთან დაკავშირებით არსებობს კიდევ ერთი ფაქტორი – გეოპოლიტიკური და საქართველოსთვის სტრატეგიული: ხუდონჰესი (აშენების შემთხვევაში) და ენგურჰესი პრაქტიკულად ძალიან ახლოს იმყოფებიან ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონასთან. უფრო მეტიც, ენგურჰესის მართვის პულტი სეპარატისტების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზეა... თავის დროზე ენგურჰესის მშენებლობას, დიდ ეკონომიკურ ეფექტიანობასთან ერთად მოჰყვა საკმაოდ მნიშვნელოვანი ეკოლოგიური ცვლილებები არა მარტო მდინარის ხეობაში, არამედ მისმა არსებობამ ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებს დამატებითი სიმწვავე და „ფსონის გაზრდა“ შემატა. დარწმუნებული ვარ, რომ არა ენგურჰესი, კონფლიქტი აფხაზეთში ვერ მიიღებდა ამგვარ სიმწვავეს, კონფლიქტის გავრცელების არეალიც უფრო შეზღუდული, ხოლო სეპარატისტთა პრეტენზიები და თბილისზე ზემოქმედების ბერკეტები – უფრო მოკრძალებული იქნებოდა...

ასეთ პირობებში, სადაა იმის აბსოლუტური გარანტია, რომ დაპირისპირებული მხარე და მის უკან მდგარი ჩვენი „დაუძინებელი მეზობელი“ ხუდონჰესს, რომლის მშენებლობის დასრულება მრავალასეულ მილიონიან ინვესტიციებს მოითხოვს, არ გამოიყენებს საქართველოზე დამატებითი ზეწოლისთვის და პრაქტიკულად, პოლიტიკური შანტაჟისათვის? ჩვენ რუს ინვესტორებს ვაფრთხილებთ, რომ არ მიიღონ მონაწილეობა აფხაზეთში დაწყებულ „პრივატიზაციის“ პროცესში, არ განახორციელონ შესაბამისი ინვესტიციები, რამეთუ შეიძლება ეს მათ დაეკარგოთ და, ამავე დროს, მზადა ვართ, მილიონობით დოლარი ჩავდოთ პროექტში, რომელიც ეკოლოგიურთან ერთად გაზრდილ პოლიტიკურ რისკს შეიცავს.

სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში საზოგადოების წევრთა უფლებების დაცვაში ყურადღების კონცენტრირება, როგორც წესი, სამართლებრივ ასპექტებზე ხდება. დადგა დრო, არანაკლები ყურადღება დაეთმოს ეკოლოგიურ ასპექტებსაც. ამასთან დაკავშირებით, არ შეიძლება არ დაეთანხმო ბატონ კოკის, რომ **ადამიანის კონსტიტუციურ უფლებას წარმოადგენს ეკოლოგიურად უსაფრთხო გარემოში ცხოვრება და არავის, არანაირი მოტივით არა აქვს უფლება, ხელყოს იგი...**

იოსებ არჩვაძე.

⊙ განუკითხაობა

დოლარებით გადამწვანებული გზები და უმოწყალოდ გაძარცული მეგზევეები,

ანუ არის თუ არა სამართალმემკვიდრე „ჯგუფი“ და, რაც მთავარია, ვინ გადაიხდის მოტყუებულთა ხელფასს?

მეზობელი მესტუმრა სოფლიდან. რუსთაველი მოიშველია — კაცს გაჭირვებისას უნდა ძმა და თვისიო. დაჯდა შემდეგ და მოყვა დაწვრილებით თავისი სატკივარი: თავისუფლებისათვის ბრძოლამ როგორ დატოვა უმუშევარი და ამ ხუთიოდე წლის წინათ საჯავახო-გრიგოლეთის მონაკვეთზე გზის მშენებლობა რომ უნდა დაწყებულიყო, რა პროტექციითა და თავის მტვრევით მიიღეს იქ სამუშაოდ.

— გზა, ჩემო ბატონო, იცით თქვენ, არც მთლად ურიგო გამოგვივიდა, მაგრამ ასორმოცდაათამდე კაცის თითო წლის ხელფასმაც დაგვიკრა თავი — დაასრულა ჩემმა სტუმარმა და დასძინა, თუ როგორ დაეძებს ეს ამოდენა ხალხი დაკარგულ ხელფასებს და როგორ ვერ აღწევენ ვერავითარ შედეგს.

— ყველაზე ცუდი ის გახლავთ, ჩემი აზრით, რომ ხალხი, რომელმაც ჩვენი ფული შეახრამუნა, თავისუფლად დასეირნობს. არადა, ვარდების რევოლუციის შემდეგ თუ ასე გაგრძელდებოდა, სწორედ რომ, ვერ ვიფიქრებდი. თუმცა, როგორც ვუყურებ, ესენიც შერჩევით იჭერენ. იცით თქვენ, მეტყევე კაცი ვარ მე და ამ ტერმინის დედააზრში ჩახედული ვარ, — განაგრძნობდა ჩემი სტუმარი.

გამოხშირივით დაჭერებზე და ალაგ-ალაგ პატიოსნებაზე ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ გზის აღნიშნულ მშენებლობას ოთხიოდე საგაზეთო წერილი მეც მივუძღვენი და ერთ-ერთის გამო „დუელიც“ კი დამინიშნეს გზის უზენაესმა მშენებლებმა. აქაოდა, როგორ გაბედე და დაწერე, ხელფასს ართმევენო ხალხს. „დუელი“ საჯავახოს უბნის საქმიან ეზოში შედგა ჩემსა და მრავალრიცხოვანი ამალით მობრძანებულ მაშინდელ მეგზეთა უფროსს შორის.

იმათი ის თავკაცი წასულია ახლა და, როგორც ჩვენში იტყვიან, წასულზე (გაქცეულზეც) ან არაფერს ამბობენ, ან აქებენო. საქებარი რომ არც გაქცეულს არაფერი ჰქონდა და არც მაშინდელ მის თანმხლებთ, ამის შესახებ არაფერს ვიტყვი. ერთსაც დავძენ: რევოლუციის შემდეგაც შევეხე ამ საკითხს. მაგრამ ამაოდ. შედეგი არაფერი მოჰყვება, თორემ დაწერას რა თავი უტკივა-მეთქი.

ჰოდა, შენც შემოულაწუნე, თუ კაცი ხარო, შემომეხვეწა.

ვცდი, იქნებ ამ ერთხელ მაინც ჭამოს სამართალმა პური. სხვა თუ არაფერი, საჯავახოში „დუელისას“ ხალხი რომ ახლდა გენერალურ მეგზევეს, ისინი კვლავაც თავიანთ ადგილებზე ბრძანდებიან. თანაც, მაშინ თუ ეხებოდათ „ქუვეით-ჯორჯიან როუდი“, ახლა სახელგადაკეთებულმა წარმოებამ რა დაუშავათ, რატომ ვერ ერევიან მის საქმიანობაში? თუ მართლა ისეა საქმე, ავი ენები რომ ლაპარაკობენ — ძალიან, ძალიან დიდი „კრიშა“ ჰყავთ ახლა მეგზევეებსო?

ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროთ, თუმცა ხალხის განრისხებას რომ ცუდი შედეგი მოსდევს, არ უნდა დაავიწყდეთ.

ისე, სიმართლეს რომ თვალი გავუსწოროთ, საჯავახო-გრიგოლეთის მონაკვეთის მსგავსი გზა დღეს ქვეყნის გზებს შორის, ნამდვილად რომ, ძნელად მოინახება. რუდუნებითაც უვლიან, ცივ ნიავს არ აკარებენო, რომ იტყვიან, ისეა, მაგრამ რა ვუყოთ იმ ადამიანებს, რომელთა მზის გულზე თუ ქარწვიმასა და თოვლ-ჭყაპში დაღვრილი ოფლით გაკეთდა ეს მართლაც მშვენიერი გზა?

ხალხმა საქმე გააკეთა, ანაზღაურება კი შეუჭამეს. არადა, ვიცი, რომ ბევრი ვინმე შეწუხდა საქმის წაღმა მოსაბრუნებლად.

არა — ბასტიონი გახდა „როუდის“ აღება. გაქრა, აორთქლდა იმოდენა ობიექტი. დიახ, როგორც ითქვა, უნამუსო კაცებმა ფული შეახრამუნეს. მუშები საქმეს არკვევენ — სიმწრით გამომუშავებული ხელფასი უიმედოდ დაეკარგათ. ლაპარაკია თაღლითური გზით მიტაცებულ ნახევარი მილიონ ლარზე. სხედან ახლა ფულის დამკარგავები და მოსთქვამენ, ზღვას ერთვის მათი ცრემლი, ცას სწვდება მათი გოდება. მათ გულშემატკივართა მცდელობა — ნათელი მოჰფინონ საქმეს, ამაო ჯახირია და სხვა არაფერი. რატომ?

მე საჯავახოდან დავიწყე ძიება. ვთქვი კიდეც, ადრე მქონდათქო ამ საქმესთან შეხება და კაი მაგრადაც მომხვდა, მაგრამ ახლა, როგორც გვარწმუნებენ, უფრო ადვილია სიმართლის პოვნა. აჰა და, ვნახოთ?

საჯავახოში უპირველესად ის შევიტყვე, რომ „ქუვეით-ჯორჯიან როუდის“ ნაცვლად უბანი შპს „საინჟინრო მშენებლობის ჯგუფს“ ეკუთვნის, როგორც არ უნდა ითქვას, სიახლესთან გვაქვს საქმე.

რამდენადაც ვიცი, ნათლიები თუ ნათლიმამები ორგანიზაციას თუ დაწესებულებას სახელს რომ უცვლიან, ძველის სიკეთე და ცოდვები ამით არ წაიშლება. მოცემულ შემთხვევაში სახელგადარქმეულმა შპს-მ „როუდის“ ყველა სიკეთე გაითავისა. ხელმრუდობის შედეგები კი...

დიახ, შპს „ჯგუფს“ ვერავითარი სურვილი ვერ შევნიშნე, დაეხმარონ მათი წინამორბედების მიერ მოღორებულ ყოფილ თუ ახლანდელ თანამშრომლებს, უბრალოდ გზა მაინც ასწავლონ, სად და როგორ ეძებონ დანაკარგები.

ერთი სიკეთე, რასაც შპს „ჯგუფი“ აკეთებს, მართლაც მენიშნა, ეს ხელფასების დროული და უდანაკარგო ანაზღაურებაა ამჟამად. ვიფიქრე, რახან ასეთი კეთილები არიან, იქნებ ის გზაც მიმასწავლონ, აბობოქრებული ხალხი ოდნავ მაინც რომ დაამშვიდოს-მეთქი.

ენა კიევამდე მოგიყვანსო, უთქვამთ და, კითხვა-კითხვით და ძიებით ვიპოვნე შპს „საინჟინრო-სამშენებლო ჯგუფი“, რომლის ოფისი ვაჟა-ფშაველას პროსპექტის დასაწყისში მდებარეობს. დაწესებულებას ჭეშმარიტად განათლებული ახალგაზრდა კაცი იაკობ ლეკვეიშვილი უდგას სათავეში. მას ყველაფერზე შეუძლია ისაუბროს და საკმაოდ დამაჯერებლადაც. მაგრამ მისი დაწესებულების წინაპარი რომ უსინდისობდა, ამის დაჯერება არ სურს ან არ უნდა ამ საკითხზე საუბარი. მისმა ერთ-ერთმა მოადგილემ ისიც კი გვითხრა, გაუნათლებელი ხალხი იყვნენ, ხელშეკრულებაც კი არ გააჩნიათო.

დიდება შენდა, უფალო! რას არ გაიგონებ განათლებულის ენით მოჟღურტულეთაგან.

განა განათლებულნი იყვნენ ათასობით და ასი ათასობით ის ადამიანი პრივატიზაციის ქვეტექსტს რომ ვერ „ჩაწვდნენ“ და ადგილის მწევრებივით არ დაიტაცეს სახალხო დოვლათი? დიახ, პატიოსანი საზოგადოების დიდ ნაწილს არ ხელეწიფება მრუდე კანონებით სარგებლობა და უკუღმა ხელრთვა. ამის მცოდნეთათვის მოიცლის დრო და ხანი.

შვილს რომ მამის ვალის გადახდა მოეთხოვოს, ამაში არაფერია ცუდი. მით უმეტეს, რომ შპს „ჯგუფის“ თავკაცთა ნაწილი დღესაც აქ არის და საქმიანობს.

შპს „ჯგუფი“, როგორც ადგილზე გვითხრეს, კერძო დაწესებულებაა და იგი გასული წლის იანვარში ჩამოყალიბდა სწორედ „როუდის“ ბაზაზე. შესაძლოა კი არავითარი პასუხი არ მოეთხოვოს წინაპრის ქონების მიმთვისებელ მემკვიდრეს? როგორც იურისტებმა განგვიმარტეს, ასეთი რამ წარმოუდგენელია. მაშ რაშია საქმე, იქნებ მართლაც დიდ „კრიშასთან“ მივიჩიხეთ?

ეს თუ ასეა, მაშინ თქმა არ უნდა, ვერ ებრძვიან რიგიანად „კრიშებს“.

შეთამაშებული ტონი, რომელიც ჩვენთან საუბრისას ირჩიეს „ჯგუფის“ თავკაცებმა, ვიცოდით, ნათელს ვერ მოჰფენდა საძიებელ საკითხს, ამიტომ იყო, რომ მდგომარეობაში მცირეოდენი გარკვევის სურვილმა „საავტომობილო გზების მშენებლობის“ დეპარტამენტთან მიგვიყვანა. მაინც დეპარტამენტია, მაინც სახელმწიფო სტრუქტურაა და იქნებ... თავი არ მოგიკვდეთ... უწყების პირველ და მომდევნო პირებთან შეხვედრა ჩემებრ მოკვდავისთვის აუხდენელი ნატვრის ტოლფასია. ამას შეჩვეულები გახლავართ. მაგრამ ამ ბოლო ხანებში მომცრო და მომცრო თავკაცებიც კი პირშეკრულებივით გვერიდებიან. ხისკენ პირი მიქნია და, ჯავრი აქაურობას, ზოგჯერ ასე მგონია ვიღაცის თუ ვიღაცეების მიერ დარიგებულებივით იქცევიან. იმ ვიღაცას, ალბათ, ნათქვამი აქვს, რის პრესა, რა მასმედია, ქვეყანა ჩვენია და...

ერთი სიტყვით, საგზაო დეპარტამენტში საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს, ქალბატონი რუსუდან ხუბულავას ნახვაღა მოვახერხე, რომელმაც შესაშური დამაჯერებლობით განმიმარტა, რომ თურმე ამგვარი საკითხები, მე რომ მაწუხებს, დეპარტამენტის ხელმძღვანელობის ფუნქციებში არ შედის.

მაშ, რა საჭიროა გზა, თუ სალოცავამდე არ მიგვიყვანს-მეთქი, მინდოდა მეთქვა, მაგრამ ქვეყნის გზების სვე-ბედის გამგებელი უწყების მუშაკს ვეღარ ვაკადრე ამგვარი შეკითხვა.

ვთქვათ და, დეპარტამენტის „ფუნქციაში“ არ შედის გზაზე დასაქმებულთა ხვედრი. ისიც დავუშვათ, რომ არც ახალი მემკვიდრეა წინაპრის საქმიანობაზე პასუხისმგებელი, ისიც დავუშვათ, რომ ახალი მემკვიდრე ანუ შპს „საინჟინრო სამშენებლო ჯგუფი“ ბრწყინვალედ იხდის ბიუჯეტის ვალს, მუშა-მოსამსახურეებს უზრუნველყოფენ სამჯერადი კვებით, დროულად აძლევენ ხელფასს.

როგორ? ყველაფერი ამის გაკეთება, ვითომ, არ ევალებათ? ხოლო რაც გევალებათ და შენი გასაკეთებელია, იმით თავის მოწონება, როგორ ვთქვა და, უზნეობის მანიშნებელია.

გარდა ამისა თუ გზის მშენებლობაზე დასაქმებულთა ხვედრი არ ანაღვლებთ, მაშ რა არის საგზაო დეპარტამენტის პრიორიტეტი? თუ მართლა ისეა საქმე, რომ ამბობენ — წინათ რომ მანეთებით იფარებოდა, ის გზები ახლა დოლარებითაა გადამწვანებულიო!

ვითომ დასტურ ასეა საქმე?

დავით ასკურავა

⊙ ინფორმაცია

ენერგეტიკული შეზღუდვები მოიხსნება

ქვეყანაში არსებული ენერგოშეზღუდვები 2-3 დღეში მოიხსნება. ეს განცხადება გუშინ, მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა გააკეთა.



მისი თქმით, საქართველოს მთავრობა ზამთრის სეზონისთვის ემზადება და ჰესებზე სარემონტო სამუშაოებს ახორციელებს. ამის პარალელურად, რემონტი მიმდინარეობს „თბილსრესის“ ენერგობლოკებზეც, გამორთულია „ენგურჰესის“ ერთი აგრეგატი, რის გამოც პიკის საათებში ელექტროენერგიის მცირე შეზღუდვებია დაწესებული. „დღეს, ქვეყნის მასშტაბით ჰესებზე მიმდინარე სარემონტო სამუშაოების გამო, პიკის საათებში 30-დან 100 მეგავატამდე ენერგოდეფიციტია, რაც არ არის საგანგაშო“, — აღნიშნა გილაურმა.

ენერგეტიკის მინისტრმა „თელასის“ მედიასთან ურთიერთობის მენეჯერის ვალერი ფანცულაიას მისამართით მკაცრი განცხადებები გააკეთა.

ერომანეთს აბრალებენ

ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარმა ელექტროენერგიის მოხმარების არარეალური ლიმიტები დააწესა, რომლის შესრულებასაც ცენტრალური სადისპეტჩერო ვერ ახერხებს.

ბაზრის მიერ დაწესებული ლიმიტების მიხედვით, დედაქალაქმა საღამოს პიკზე 215 მეგავატის სიმძლავრე უნდა მიიღოს, „საქართველოს გაერთიანებულმა სადისტრიბუციო ენერგოკომპანიამ“ კი 285 მეგავატი. გუშინ, საღამოს, ცენტრალურ სადისპეტჩეროს ლიმიტების შესასრულებლად სიმძლავრე არ ეყო, რის გამოც პიკის საათის დროს დედაქალაქი მხოლოდ 200 მეგავატით, ხოლო „გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია“ 210 მეგავატით იყო დატვირთული.

„სახელმწიფო ელექტროსისტემასა“ და საბითუმო ბაზარში ამასთან დაკავშირებით კომენტარს არ აკეთებენ. „სახელმწიფო ელექტროსისტემაში“ აცხადებენ, რომ ბაზრის ლიმიტებს იცავენ, ბაზარში კი განმარტავენ, რომ ცენტრალური სადისპეტჩერო მათ მიერ დაწესებული ლიმიტებით ხელმძღვანელობს. კონკრეტული ინფორმაციის მისაღებად ენერგოორგანიზაციების წარმომადგენლები ჟურნალისტებს ენერგეტიკის სამინისტროში აგზავნიან.

„ენგურჰესის“ ერთი აგრეგატი 5 აგვისტოს გამოირთო. ამჟამად, აგრეგატის სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს, რომელთა დასრულებაც 21 აგვისტოსთვის იგეგმება. აგრეგატის ჩართვამდე, პიკის საათის დროს ენერგოსისტემა 140-მეგავატიანი დეფიციტით იმუშავებს. დეფიციტი იქნება დღის საათებშიც, ამიტომ ცენტრალური სადისპეტჩერო გამანაწილებელ ენერგოკომპანიებს შეზღუდავს. თავის მხრივ, შეზღუდვები უნდა განახორციელონ კომპანიებმაც.

აგრეგატის გამორთვის გამო, ენერგოსისტემაში საღამოს პიკზე დეფიციტი წარმოიქმნა, ამიტომ საბითუმო ბაზარმა 10-21 აგვისტოს ელექტროენერგიის მოხმარების ლიმიტები დეფიციტის გათვალისწინებით დაგეგმა.

პროცესი გადაიდო

კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის სულხან მოლაშვილის პროცესი გუშინ, თბილისის საქალაქო სასამართლოში განსასჯელის გამოუცხადებლობის გამო გადაიდო.

როგორც სასამართლოში განაცხადეს, პროცესზე წარმოდგენილი იქნა ცნობა მოლაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შესახებ. პროცესზე საბრალდებო დასკვნის წაკითხვა უნდა დასრულებულიყო.

სულხან მოლაშვილი თბილისის პროკურატურის თანამშრომლებმა 2004 წლის 23 მარტს დააკავეს. მას ბრალად ედება თანამდებობრივი მდგომარეობის არაერთგზის ბოროტად გამოყენება. გამოძიების მიხედვით, მოლაშვილმა თავისი დანაშაულებრივი ქმედებებით სახელმწიფოსა და იურიდიულ პირებს 3 მლნ. ლარის ოდენობის ზარალი მიაყენა.

პატიმარს „მარიხუანა“ აღმოაჩნდა

იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თბილისის №1 საპყრობილის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა სასამართლო პროცესიდან დაბრუნებულ პატიმარ დიმიტრი მჭედლიშვილს ნარკოტიკული ნივთიერება „მარიხუანა“ აღმოუჩინეს.

ქაღალდში შეფუთული მომწვანო ფერის მცენარეული ნივთიერება განსასჯელს მარჯვენა წინდის ყელში ჰქონდა დამალული.

იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მონაცემებით, 26 წლის დიმიტრი მჭედლიშვილს ავტოსატრანსპორტო საშუალების გატაცება ედება ბრალად.

საქმეს იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი იძიებს.

ყაჩაღობაში ეჭვმიტანილებს ასამართლებენ

თბილისის საქალაქო სასამართლო კოსტავას ქუჩაზე, 15 აგვისტოს მომხდარ ყაჩაღობაში ეჭვმიტანილთათვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხს განიხილავს.

საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში წარმოდგენილია ყაჩაღობაში ეჭვმიტანილი ხუთივე დაკავებული — 28 წლის შოთა დგებუაძე, 24 წლის გიორგი გახოკია, 19 წლის დავით ქვანია, 19 წლის თემურ პაპასკირი და 24 წლის გიორგი ხორგუანი. პროცესი სპეცდანიშნულების რაზმის წევრების თანხლებით მიმდინარეობს. იგი ღიაა და აღკვეთის ღონისძიების შერჩევის საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილება რამდენიმე საათში გამოცხადდება.

ინტერპრესნიუსი

⊙ კერძო აზრი

აი, დროშა, აშორდია...

(მესამე გვერდიდან)

ამ შეხვედრის მონაწილე, თედოს მეგობარი, ელინური მითებისა და „ილიადას“ მთარგმნელი **ალექსანდრე მიქაბერიძე** მოგვიანებით, 1942 წელს იტყვის: „თედოს სრული რწმენით და გაბედულებით წარმოთქმული სიტყვის შემდეგ კრების მონაწილეებმა ერთხმად უარყვეს ავტონომისტების მიერ წამოყენებული საკითხი სამეგრელოსათვის ავტონომიის მინიჭების შესახებ და, ამრიგად, კრებამ სამეგრელო იხსნა სამუდამოდ მოსალოდნელი დაღუპვისაგან“.

როგორც აღნიშნავდნენ, თედოს სიტყვა ყუმბარასავით გასკდა დარბაზში, „ვაშამ“ და ოვაციამ მოიცვა იქაურობა. ყველას ერთსულოვნად მიაჩნდა, რომ ასეთი პროვოკაციები პირველ რიგში სამეგრელოს მოსახლეობისათვის იყო დამღუპველი.

ჩვეულებრივ დიდი ციტატების მოშველიებისას მკითხველს ბოდიშს უხდიან და ალბათ მეც ასე უნდა მოვქცეულიყავი, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ შექმნილ სიტუაციას და ამ განწყობით ჩავუღრმავდებით დიდებული ქართული მამულიშვილის სიტყვას, დავრწმუნდებით, რომ ეს გამოსვლა თავიდან ბოლომდე აქტუალურია სწორედ ახლა, როცა სვანები ცალკე ეთნიკურ უმცირესობად უნდა ვცნოთ, ხოლო მათი დიალექტი ცალკე ენად.

ვფიქრობ, შეშფოთება მართლაც გვმართებს, რადგანაც ქართული ენა აშკარად იდევნება სამურზაყანოსა და ჯავახეთში. გარდა ამისა, ჩვენს შორისაც აღმოჩნდნენ ადამიანები, თვით საქართველოს ადამიანის უფლებათა პირველი დამცველი სოზარ სუბარი, რომელიც მხარს უჭერს ბიბლიის სვანურად თარგმნას, ამის მოტივად კი მოჰყავს თავისი პირადი მაგალითი — ნანობს, რომ სვანი კაცი სვანურად კარგად ვერ ლაპარაკობს და ენა დავიწყებას ეძლევაო.

ძვირფასო სოზარ! მეც მინდა სვანურ დიალექტზე საუბარი, მაგრამ ამისათვის ბიბლიის სვანურად თარგმნას სულაც არ ვთვლი საჭიროდ. ამ წმინდა წიგნს თქვენ და მე ქართულადაც კარგად წავიკითხავთ. თუ ენის შესწავლა გსურთ, გადაშალეთ დიალექტოლოგიური ლექსიკონები, რომლებშიც ჩვენმა მეცნიერებმა ყველა კუთხის კილოკავი ძალზე უხვად წარმოადგინეს.

სხვათა შორის, სტუდენტობის დროს ჩემთან ერთად ცხოვრობდნენ გალელი ქორა ჯოლია, სოხუმელი შოთა ბაღათურია და შოთა ჯოჯუა, ზუგდიდელი აპოლონ გამსახურდია, ოჩამჩირელი აპოლონ ფიფია და სხვები, რომლებთან ურთიერთობა საკმარისი აღმოჩნდა ლექსიკონის გარეშე ზედმიწევნით კარგად მესწავლა მეგრული ენა.

რაში გვჭირდება დღეს თავისუფალ ქვეყანაში კვლავ გავითამაშოთ ლევიცკი-აშორდიას მტრული ოინბაზობა? თქვენ, როგორც ახალგაზრდა მოღვაწეს და ქვეყნის ომბუდსმენს, გევალებათ არა ერთი კაცის, თუნდაც საკუთარი თავის, არამედ საქართველოს ყველა მოქალაქის, ჩემი და ჩემი შვილების, შვილიშვილების უფლებების დაცვა, რათა მათ ქვეყანა არ დაუნგრიონ, არ დაუქუცმაცონ და საბოლოოდ არ აღგავონ პირისაგან მიწისა.

თქვენ გეუბნებიან, რომ ამ კონვენციაზე მიერთება, აქედან გამომდინარე, ბიბლიის სვანურად თარგმნა, გარეშე ძალამ შესაძლოა პოლიტიკური ვნებების დასაცხრომად გამოიყენოს, ჩვენ კი ეროვნულ განხეთქილებამდე მიგვიყვანოსო (გაზ. „ალია“, 6-7 აგვისტო, 2005 წ.).

თქვენი პასუხი ძალზე მშვიდი და გულცივია: „15 წლის განმავლობაში აჭარა ფაქტობრივად გასული იყო საქართველოს სამართლებრივი სივრციდან და ეს ხდებოდა გარეშე ძალების აქტიური ჩარევით. აჭარაში მომხდარმა რევოლუციამ კი გვიჩვენა, რომ ის აჭარის მოსახლეობის ინტერესებში ნამდვილად არ შედიოდა“.

თქვენი ლოგიკა ასეთია: მერე რა, გავიდეს სამეგრელო და სვანეთი საქართველოს იურისდიქციიდან, მოვახდენთ რევოლუციას და დავიბრუნებთ, რადგან ეს იქაური მოსახლეობის ინტერესებში არ შედისო.

გეკითხებით: რა გვრჯის, შვილოსა, რატომ მიგვყავს საქმე რევოლუციამდე, რატომ ვიტკივებთ აუტკივარ თავს, როცა შეგვიძლია, არ მივუერთდეთ იმ კონვენციას და ბიბლიაც ქართულ ენაზე წავიკითხოთ?

ანდა რა მაგალითია აჭარა, როცა ის მხოლოდ ერთ „დიალექტზე“, სულხან-საბას ენაზე მეტყველებს? სად — ენა და სად — ქვეყნის ხელმძღვანელობის წაყრუებით ამ რეგიონში ერთი თავნება კაცის ახირება?

ღმერთმა დამიფაროს, ახალგაზრდა სუბარს დავაბრალო, რომ ის შეგნებულად იქცევა. მაგრამ მან უნდა გაიგოს, რომ მისი გამოსვლა ძალზე საშიშ ხასიათს ატარებს, კარგად ჩაუღრმავდეს ერისა და ქვეყნის წინაშე მდგარ სადღეისო სიძნელეებს და დასკვნების გასაკეთებლად მასზე უფრო ცოტა მეტად გამოცდილი მოღვაწეებისაგან მიიღოს რჩევა-დარიგება.

წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყანა დიდი პრობლემების წინაშე აღმოჩნდება, ხოლო ამ საქმეში ნებსით თუ უმეცრებით ჩართულ პიროვნებებს გარანტირებული აქვთ XXI საუკუნის აშორდიას წყეული სახელი.

რამაზ სურმანიძე,
ქ. ბათუმი.
9 აგვისტო, 2005 წ.

⊙ კონტრაბანდა

ვაითუ, მებაჟეების ხელიც ურევია...

რუსეთის მაგივრად — „დეზერტირკაზე“

მოქალაქე ომარ ალიევმა დიდი ოდენობით კვების პროდუქტები საქართველოში საბაჟო-გამტარი პუნქტის წითელი ხიდის გავლით უკანონოდ შემოიტანა. საბაჟო სამსახურში მან განაცხადა, რომ ტვირთი აზერბაიჯანიდან რუსეთში მიჰქონდა და საქართველო მხოლოდ ტრანზიტად უნდა გადაეკვეთა, რითაც იმპორტის საბაჟო გადასახადი აიცილა თავიდან.

ფინანსურმა პოლიციის ოპერატიული დეპარტამენტის თბილისის სამმართველოს მუშაკებმა, კანონის დაცვით, ოპერატიული ღონისძიებები განახორციელეს (ფარული ვიდეოგადაღება და მეთვალყურეობა), რითაც დადასტურდა, რომ ო. ალიევმა რუსეთის ნაცვლად, თბილისში, დეზერტირების ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩამოტვირთა თავისი პროდუქცია და გარდაბნის რაიონში, თავის საცხოვრებელ სახლში, მშვიდად დაბრუნდა. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

ყველაფერს „ერთ ქვაბში ხარშავდა“

ინდმეწარმე „თემურ ჩხარტიშვილმა“ აჭარაში 720 ტომარა სხვადასხვა კატეგორიის ცემენტი შემოიტანა და მხოლოდ ერთი კატეგორიის მიხედვით განაბაჟა. გარდა ამისა, თ. ჩხარტიშვილმა ცემენტს 3610 მეტრი პლასტმასის მილებიც მოაყოლა, რომელიც საერთოდ არ განუბაჟებია. კონტრაბანდულ პროდუქციას ექსპერტიზა უტარდება, ფინანსური პოლიციის აჭარის სამმართველოში მიმდინარეობს საქმის გამოძიება.

დანაშაული კი აღიარა, მაგრამ...

შპს „ბექამ“ რუსეთის ფედერაციიდან ოთხჯერ შემოიტანა „ბალტიპრომმიასოს“ მიერ წარმოებული ხორცის კონსერვები „გოვიადინა ბოგატირსკაია“ და „სვინინა ბოგატირსკაია“. საზოგადოების დირექტორმა ნუნუ მგალობლიშვილმა საბაჟო სამსახურს ოთხივეჯერ (!) გაყალბებული ანგარიშ-ფაქტურები წარუდგინა, რითაც საბაჟო გადასახადი ხელოვნურად შეამცირა.



საზოგადოების გენერალურმა დირექტორმა აღიარა მის მიერ ჩადენილი დანაშაული და საგადასახადო აქტით დარიცხული თანხაც ბიუჯეტის სასარგებლოდ უკვე გადაიხადა. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

გამოძიებასთან თანამშრომლობით

2004 წლის ზაფხულიდან 2005 წლის თებერვლამდე მესროფ ფალადიანმა რუსეთიდან საქართველოში დიდი ოდენობით სამრეწველო საქონელი 10-ჯერ შემოიტანა, მათ შორის 3-ჯერ — საბაჟო წესების დარღვევით, რითაც სახელმწიფო ბიუჯეტი მნიშვნელოვნად დააზარალა. ფინანსური პოლიციის ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა მ. ფალადიანის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღძრეს, თუმცა აღსანიშნავია, რომ კანონდამრღვევმა დანაშაული აღიარა და გამოძიებასთან თანამშრომლობს.

ერგნეთიდან — ერევანში, თბილისის გავლით

თბილისიდან ერევანში მიმავალ მატარებელში ფინანსური პოლიციის სპეციალურ დავალებათა სამმართველოს თანამშრომლებმა, წინასწარი ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, დიდი ოდენობით კონტრაბანდული საქონელი აღმოაჩინეს.

ფინანსური პოლიციის მიერ სადახლოში გაჩერებულ სამგზავრო მატარებელს საფოსტო ვაგონი ჰქონდა მიბმული, სადაც ყველანაირი სახის სამრეწველო საქონელი თუ სურსათი იყო ჩატვირთული.

— ცხადია, რომ საფოსტო ვაგონში დატვირთულ საქონელს არც ექსპორტის დეკლარაცია ჰქონდა და არც სხვა რამ საბუთი. თუმცა, სადახლოს მებაჟეებმა იგი უპრობლემოდ გაატარეს. სავარაუდოდ, სისხლის სამართლის საქმე მებაჟეებზე სამსახურებრივი გულგრილობის მუხლით აღიძვრება, — განაცხადა ფინანსური პოლიციის სპეციალურ დავალებათა სამმართველოს უფროსმა თორნიკე კობახიძემ.

ოპერატიული ინფორმაციის თანახმად, კონტრაბანდული პროდუქცია ერგნეთშია ნაყიდი. კონქტრაბანდა სადახლოს სადგურზე გადმოიცალა, სამგზავრო მატარებელმა კი გზა ერევნისკენ განაგრძო. ფინანსური პოლიციის ინფორმაციით, კონტრაბანდული პროდუქცია სომხეთის სამ მოქალაქეს ეკუთვნოდა. მათ მიმართ სისხლის სამართლის საქმე საბაჟო წესის დარღვევის მუხლით აღიძვრება.

300 ათასი „შეეშალათ“

შპს „ხისრო XXI“-ის დირექტორი ვინმე ტაბატაძეა. ამ ფირმამ 2005 წელს საქართველოდან რუსეთში, საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის აღმოსავლეთის საბაჟოთი 95 ტონა კონიაკის სპირტი გაიტანა. ექსპორტის დროს საგადასახადო დეკლარაციაში ტვირთის ღირებულებად 187 ათასი დოლარი იყო მითითებული, რეალურად კი ეს სპირტი 489 ათასი დოლარი ღირს. ფირმის ხელმძღვანელობამ საბაჟო დეკლარაციაში ყალბი მონაცემები შეიტანა, რის შედეგადაც თავი აარიდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის გადახდას. მიმდინარეობს გამოძიება, არ არის გამორიცხული საბაჟოს თანამშრომლების პასუხიმგებლობის საკითხიც დადგეს.

ოთარ ტურაზელიძე

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

„აფხაზეთი კბილებამდეა შეიარაღებული“

როგორც ვიტყობინებოდით, 16 აგვისტოს აფხაზეთში დაიწყო ამ ბოლო წლების განმავლობაში უდიდესი სამხედრო წვრთნა. თვითაღიარებული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრმა სულთან სოსლანიევმა „კომერსანტის“ კორესპონდენტს ოლგა ალენოვას განუცხადა, რომ მანევრების მიზანია არა მარტო შეიარაღებული ძალების მოქმედების შემუშავება საქართველოს მხრიდან თავდასხმის შემთხვევაში, არამედ სხვა თვითაღიარებულ რესპუბლიკებთან სამხედრო კავშირის შექმნაც.

— ამჟამინდელი წვრთნა გაცილებით უფრო მასშტაბურია 2005 წლის გაზაფხულზე გამართულთან შედარებით. რა საჭიროა ზაფხულში, საკურორტო სეზონის დროს ასეთი წვრთნის გამართვა?

— წვრთნა ნამდვილად დიდმასშტაბიანია, მასში 5 ათასზე მეტი კაცი მონაწილეობს. მისი მიზანია 2005 წლის სამხედრო დოქტრინის შემუშავება, მთავარი ამოცანა კი ის არის, რომ მზად ვიყოთ სავარაუდო მტრის თავდასხმის მოგერიებისთვის.

— უკვე რამდენჯერ ითქვა თავდასხმის მოგერიების შესახებ. ამის წანამძღვრები არსებობს?

— რა თქმა უნდა, არსებობს. მტრულ ნაბიჯებს დგამს ჩვენი აღმოსავლელი მეზობელი. გაიხსენეთ, თუ როგორ დააკავეს ამ ცოტა ხნის წინათ მათ აფხაზეთისთვის განკუთვნილი საქონლით დატვირთული გემი, ქართველები ზრდიან თავიანთ ტექნიკურ პოტენციალს ჩვენი საზღვრების მახლობლად, თავიანთი არმიის აღჭურვილობას. ისინი უშუალოდ აცხადებენ, რომ კავკასიის ზონა შედის შეერთებული შტატების გეოპოლიტიკური ინტერესების სფეროში. ამერიკელი ინსტრუქტორები მოქმედებენ თვით საქართველოში, აწვდიან მას იარაღს, დაფინანსებას. ყოველივე ეს ჩვენს შეშფოთებას იწვევს და აქედან სათანადო დასკვნებიც გამოგვაქვს. თუმცა, ჩვენ მუდამ ვუსვამთ ხაზს იმას, რომ ყველა ეს პრობლემა მხოლოდ მშვიდობიანი გზით უნდა მოგვარდეს.

— რა შეგიძლიათ დაუპირისპიროთ ქართულ არმიას?

— ტექნიკური და ფინანსური მომარაგების თვალსაზრისით, ჩვენ, რა თქმა უნდა, მას ვერ შევედრებით, მაგრამ ჩვენ გვაქვს ადამიანის ფაქტორი, აფხაზეთი კბილებამდეა შეიარაღებული. აქ მთელი მოსახლეობა მზად არის, რომ საჭიროების შემთხვევაში იარაღი აიღოს ხელში. საქართველოს არმიაში კი 18 წლის ბიჭები მსახურობენ.

— საქართველოს ხელმძღვანელობა მუდამ აცხადებს, რომ აფხაზურ არმიას რუსეთი უმაგრებს ზურგს და სწორედ ეს უნერგავს რწმენას აფხაზებს.

— არავინ არ გვეხმარება. ჩვენ თვითონაც გავართმევთ თავს ყველაფერს. ტექნიკაც და შეიარაღებაც საკმარისი გვაქვს.

— წინა წვრთნაზე ცნობილი გახდა, რომ აფხაზურ არმიაში გამოჩნდა ახალი მოიერიშე-თვითმფრინავები. ესეც შიდა რეზერვია?

— ახლა ხომ ბაზარია! მთავარია გქონდეს ფული, და როგორ იარაღსაც გინდა, ისეთს იშოვი. ეს პრობლემა არ არის.

— ფული საიდან გაჩნდა?

— ამოქმედდა საკურორტო სფერო, დაიწყეს გადასახადების გადახდა, რესპუბლიკა ნელ-ნელა ფეხზე დგება, არმიის დაფინანსება 60 პროცენტით გაიზარდა, სამხედრო მოსამსახურეთა ხელფასებიც ერთი ორად გავადიდეთ. ამ ბოლო ნახევარი წლის განმავლობაში საერთოდ შეიცვალა დამოკიდებულება არმიის მიმართ. ჩვენს პრობლემებს პირველ რიგში წყვეტენ.

— საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა კონფლიქტების მოგვარების საკითხებში გიორგი ხაინდრავამ განაცხადა, რომ ეს სამხედრო წვრთნა არღვევს ყველა მიღწეულ მორიგებას.

— არაფერს არ ვარღვევთ. წვრთნა ეწყობა უშიშროებისა და შეიარაღების შეზღუდვის ზონების ფარგლებს გარეთ. ისეთი არანაირი მიზნები არ გვაქვს დასახული, რომლებიც არ შეესაბამებოდეს 2005 წლის თავდაცვით დოქტრინას. იგი კი თავდაცვითი ხასიათისაა. თუ ვინმე თავს დაგვესხმება, ჩვენ მზად ვიქნებით. ჩვენ არ ვაპირებთ ენგურის გაღმა გადასვლას, ისინი თვითონ მოვიდნენ აქ 13 წლის წინათ და უკანაც გავაბრუნეთ.

— წინა წვრთნის დროს ბევრი შეცდომა იყო დაშვებული. თქვენ, მგონი, რამდენიმე მეთაურიც გაათავისუფლეთ.

— არ იყო სხვადასხვა გვარეობის ჯარებს შორის გამართული ურთიერთმოქმედება, მათი ზუსტი მართვა, იყო პრობლემები ჯარების მართვის საქმეში. ყველა ამ პრობლემაში გავერკვიეთ. რაც შეეხება მეთაურებს, მხოლოდ ფლოტის სარდალი შევცვალეთ.

— წინა წვრთნის შემდეგ აგორდა სკანდალი — ქართული მხარე ამტკიცებდა, რომ თქვენს ნაწილებში რუსი კადრის სამხედროები მსახურობენ. ეს მართლა ასეა?

— აბა, მე ვინ ვარ? კადრის სამხედრო.

— თქვენ ხომ გადამდგარი ხართ.

— რუსეთიდან ჩვენთან არავის არ გზავნიან. ჩვენთან იმყოფებიან რუსეთის მოქალაქეები, რომლებსაც აფხაზეთის მოქალაქეობაც აქვთ. ისინი აქ საკუთარი სურვილით ჩამოდიან. ამ საკითხში ჩვენი და რუსეთის ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა. რუსეთს ხომ ეკისრება სამშვიდობო საქმიანობის ძირითადი ტვირთი და იგი წარმატებითაც ართმევს თავს ამ ამოცანას. ეს ქართულ მხარეს სურს, რომ აქედან წავიდნენ რუსი სამხედროები და მათ ნაცვლად კოლექტიური ძალები განალაგონ. მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, თუ ვინ იქნებიან ისინი. ეს იქნება ნატო. რაში გვჭირდება ნატო, როცა არ ვიცით, სიკეთეს მოგვიტანს იგი თუ უბედურებას? მშვიდობისმყოფლები აქ 12 წელია დგანან და ჩვენც მშვიდობიანად ვცხოვრობთ. ამიტომაც ჩვენ მხარს ვუჭერთ სამშვიდობო ძალების აქ ყოფნას და ისინიც აქედან არავითარ შემთხვევაში არ უნდა წავიდნენ.

— აფხაზეთმა შეიძლება შექმნას სამხედრო ბლოკი სხვა თვითაღიარებულ რესპუბლიკებთან ერთად?

— ეს ლოგიკურია. თუ ჩვენი ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა, თუ ჩვენ როგორმე უნდა გავიტანოთ თავი, ვგულისხმობ აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს, რატომ არ შეიძლება სამხედრო ბლოკის შექმნა? არანაირი ტერიტორიული პრეტენზიები ჩვენ არ გვაქვს, მაგრამ, ვინმე თუ დააპირებს, რომ ჯერ სამხრეთ ოსეთს გაუსწორდეს, შემდეგ კი — ჩვენ, დიდხანს ლოდინს არ დავიწყებთ. ჩვენ მივიღებთ საჭირო ზომებს, შევქმნით კავშირებს. იგივე შეგვიძლია ვთქვა ყარაბაღის და დნესტრისპირეთის შესახებაც.

— მაგრამ ყარაბაღს სულ სხვა „მტერი“ ჰყავს...

— ჩვენ ვხელმძღვანელობთ თვითაღიარებული რესპუბლიკების საერთო ინტერესებით.

„კომერსანტი“, 17 აგვისტო.

Коммерсантъ

რუსეთში 300 ტონა უკანონოდ შემოტანილი მობილური ტელეფონები ამოიღეს

როგორც რუსი მილიციელები ამტკიცებენ, მათ ამოიღეს ქვეყანაში უკანონოდ შემოტანილი 300 ტონა რადიო-ელექტრონული საშუალებები, რომელთა საერთო ღირებულება 10 მილიონ დოლარს აღემატება.

რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახური იტყობინებოდა, რომ მილიციელებმა გადაკეტეს „ქვეყანაში ელექტრონული საშუალებების, კომპიუტერების მაკომპლექტებელი ნაწილების და სხვა მოწყობილობის შემოტანის მნიშვნელოვანი არხი“.

ინფორმაციაში ხაზგასმულია: გამოძიების დროს დადგინდა, რომ კონტრაბანდული საქონელი ფინეთიდან და გერმანიიდან შემოჰქონდათ სატვირთო თვითმფრინავებით „შერემეტიევოს“ აეროპორტის ტერმინალებში, მოგვიანებით კი იგზავნებოდა აეროპორტის დროებითი შენახვის საწყობებში, საიდანაც ყალბი დოკუმენტებით გადაჰქონდათ შიდა საწყობში საბაჟო კონტროლის გავლის გარეშე.

ამის შემდეგ კონტრაბანდული ტვირთი ავტოტრანსპორტით გადაჰქონდათ იმ მსხვილი კომპანიების საწყობებში, რომლებიც მთელი რუსეთის ტერიტორიაზე ახორციელებენ ფიჭური ტელეფონების რეალიზაციას.

კონტრაბანდული საქონლის ყალბ დოკუმენტებს აფორმებდნენ რამდენჯერმე შემცირებული საბაჟო ღირებულებით ცრუმაგიერი ფირმების მეშვეობით.

როგორც რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის თანამშრომელმა ანატოლი პლატონოვმა განაცხადა, კონტრაბანდაში ეჭვმიტანილია ორი მსხვილი კომპანია, რომლებსაც მოსკოვში შემოაქვთ ფიჭური ტელეფონები.

მილიციელთა თქმით, გაჩხრიკეს მობილური ტელეფონების საცალო გაყიდვის ბაზრის პრაქტიკულად ყველა მსხვილი მონაწილის კუთვნილი საწყობები და სალონები.

ამავე დროს, როგორც ჟურნალისტური გამოძიების შედეგად დადგინდა, ფიჭური ქსელების თითქმის ყველა მფლობელმა განაცხადა, რომ მათ საწყობებსა და სალონებში ჩხრეკა არ განხორციელებულა.

წინასწარი მონაცემებით, კონტრაბანდის შედეგად რუსეთის ბიუჯეტისთვის მიყენებული ზარალის თანხა ყოველთვიურად 2,5 რუბლს აღემატება.

მომხმარებელთა უფლებების დაცვის კონფედერაციის გამგეობის თავმჯდომარის დიმიტრი იანინის თქმით, რუსეთში საბაჟოს გვერდის ავლით შემოაქვთ მობილური ტელეფონების დაახლოებით 90 პროცენტი. ტელეფონის საბაჟო მოსაკრებელი შეადგენს მისი ღირებულების 5 პროცენტს და პლუს დამატებითი ღირებულების გადასახადი. ამრიგად, 200-დოლარიანი ტელეფონის განბაჟებისთვის მისმა მფლობელმა 46 დოლარი უნდა გადაიხადოს.

ავსტრალია 20 ათას იმიგრანტს მიიღებს

ავსტრალიამ გამოაცხადა, რომ უახლოეს მომავალში მიიღებს 20 ათას კვალიფიცირებულ უცხოელ სპეციალისტს. ეს 1960-იანი წლების შემდეგ საზღვარგარეთიდან კადრების მოზიდვის ყველაზე მასობრივი კამპანიაა.

ავსტრალიას სჭირდება ავტომობილის ელექტრიკოსები, კალატოზები, ექიმები, ავტომექანიკოსები, ბუღალტრები და ზოგიერთი სხვა პროფესიის წარმომადგენლები.

ევროპაში და ინდოეთში, კერძოდ, ლონდონში, ბერლინში, ამსტერდამში და მადრასში გაიხსნება სპეციალური გაცნობითი ხასიათის გამოფენები, რომელთა მიზანი იქნება საჭირო კადრების მოზიდვა.

„თავდაპირველად დაგეგმილი გვაქვს, გამოფენები გავხსნათ ამ ქალაქებში. იმედი გვაქვს, რომ მომავალ წელს შევძლებთ რაღაც ამისი მსგავსის გაკეთებას მსოფლიოს სხვა ქალაქებშიც — იმ ინფორმაციის შესაბამისად, რომელიც იმ დროისთვის გვექნება“, — თქვა საიმიგრაციო უწყების წარმომადგენელმა აბდულ რიზვიმ.

როგორც მან აღნიშნა, ავსტრალიის მთავრობა „ყველგან დაიწყებს ქვეყნისთვის საჭირო სპეციალობების მქონე ადამიანების ძებნას“.

ავსტრალიას ხშირად აკრიტიკებენ ძალზე მკაცრი საიმიგრაციო პოლიტიკის გამო.

მაგრამ, როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, ავსტრალიაში ძალზე მწვავედ იგრძნობა მუშახელის უკმარისობა, ამან კი შეიძლება საფუძველი შეურყიოს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას.

1950-იან და 1960-იან წლებში ავსტრალია ახორციელებდა დიდი ბრიტანეთიდან იმიგრანტების მოზიდვის ფართომასშტაბიან კომპანიას. მაშინ ავსტრალიაში საცხოვრებლად გადავიდა დაახლოებით მილიონი კაცი.

◎ ჟურნალი

„მიზიდულობის მომხიბლავი ველი“

ჰიპერტროფირებული, ზოგჯერ მახინჯი ფორმები, რომლებსაც საბჭოთა დროში სავსებით ბუნებრივ მცნებებსა და გრძნობებს ანიჭებდნენ, პირდაპირსაწინააღმდეგო შედეგებს იწვევდა, ხშირად კი საერთოდ აუფასურებდა მათ. გავიხსენოთ თუნდაც ყბადაღებული ხალხთა მეგობრობა, — ნეტავ, საიდან უნდა მოსულიყო ეს მეგობრობა, როდესაც საზღვრებით გაყოფილ ცალკეულ ადამიანებსაც კი, როგორც ადრე უშლიდნენ მეგობრობას, ისე უშლიან დღესაც.

ბედნიერ გამონაკლისს ამ გაგებით, წარმოადგენდა ადრე ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სქელტანიანი ჟურნალი ანალოგიური სახელწოდებით, რომელმაც ყოველგვარი გაზვიადების გარეშე მართლაც დიდი როლი ითამაშა ყოფილი საბჭოთა კავშირის ეროვნული ლიტერატურებისა და მრავალი ნიჭიერი ავტორის ბედ-იღბალში, ამ ჟურნალთან თანამშრომლობდნენ და იბეჭდებოდნენ ბულატ ოკუჯავა, ევგენი ევტუშენკო, ჩინგიზ აიტმატოვი, ოთარ ჭილაძე, მიხეილ ქვლივიძე, ედიშე ჩარენცი, რუსტამ იბრაგიმბეგოვი და ბევრი სხვა ცნობილი პროზაიკოსი, პოეტი და დრამატურგი ყველა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკიდან.

ჟურნალი „დრუჟბა ნაროდოვ“ ერთ-ერთია იმ მცირერიცხოვან ჟურნალებს შორის, რომლებიც გადარჩნენ და „ახალ დროშიც“ აგრძელებენ სიცოცხლეს. ამ გამოცემის დღევანდელ დღეზე გვესაუბრება მისი ამჟამინდელი რედაქტორი ალექსანდრე ებანოიძე.

— როგორც ჩანს, თქვენი ჟურნალი არამცთუ იმის რაღაც რუდიმენტი არ გამხდარა, რაც წარსულში დარჩა, არამედ ახლა უკვე ახალ პირობებში აგრძელებს განვითარებას...

— იცით, ჟურნალი რუდიმენტი არ გამხდარა, მაგრამ მიუხედავად ამისა, იმ ფუნქციების ნაწილის შენარჩუნებას, რაც მას ადრე ჰქონდა, ჩვენ ახლაც ვცდილობთ. საუბარია ურთიერთინფორმირებაზე პოსტსაბჭოთა სივრცეში მიმდინარე ლიტერატურული პროცესების შესახებ. ამ სივრცეში ხომ ბევრი ძალიან ნიჭიერი მწერალი მუშაობს — იაან კროსი ესტონეთში, აღასი აივაზიანი სომხეთში და ა.შ. ჩვენთან, საქართველოშიც მთელი პლეადაა, კლასიკოსებით — ჭაბუა ამირეჯიბით და ოთარ ჭილაძით დაწყებული (ჩვენ ახლა პროზაიკოსებზე ვამახვილებთ ყურადღებას), მომდევნო თაობამდე, — ესენი არიან: რეზო ჭეიშვილი, რეზო მიშველაძე; ახალი თაობა ავიღოთ — შოთა იათაშვილი და ა.შ. ბუნების მიერ ნიჭიერი ადამიანების აღწარმოების პროცესი არ წყდება...

— რადგან ქართულ ლიტერატურას შეეხეთ, გასულ შემოდგომაზე თქვენ გამოუშვით ნომერი, რომელიც მთლიანად ქართული პროზისა და პოეზიის თარგმანებს მიეძღვნა...

— დიახ. შარშან, პირველად ჩვენი ჟურნალის 70-წლიანი არსებობის მანძილზე, გამოვიდა მთლიანად ქართული ლიტერატურისადმი მიძღვნილი ნომერი. ამის შემდეგ ჩვენ გავაკეთეთ უკვე ლატვიური, სომხური ნომრები და ინფორმაციის ნაკლებობასთან დაკავშირებით ეს მიმართულება ამართლებს. იმ ნომერში დაიბეჭდა ოთარ ჭილაძის რომანის „გოდორი“ დასაწყისი (ის ამ წლის მე-11 ნომერში მთავრდება), რომელიც კრიტიკოსთა აზრით, ევროპული მასშტაბის ლიტერატურულ მოვლენად იქცა, ჩემს მიერ უკვე დასახელებული მიშველაძის, ჭეიშვილის ნოველისტიკა, არჩილ ქიქოძეც, განსვენებული ჯემალ ქარჩხაძეც, შესანიშნავი კინორეჟისორი და პროზაიკოსი გოდერძი ჩოხელიც და პოეტური განყოფილებაც, და ძალზე მწვავე პოლიტოლოგიაც, ვინაიდან ეს უკვე თბილისში მომხდარი ნოემბრის მოვლენების შემდეგ იყო...

შესანიშნავად არის წარმოდგენილი თანამედროვე ქართული პროზა და პოეზია, მასალა სერგო ფარაჯანოვის თბილისურ პერიოდზე, გრიგოლ რობაქიძის ძველი ესე „საქართველოს სული“. ერთი სიტყვით, ქართული ნომრის უცილობელ წარმატებას დსთ-ს და ბალტიისპირეთის სხვა ქვეყნების წარმომადგენლების მუშაობისთვის ინიცირება მოჰყვა. ჩემი აზრით, ეს ქართული ლიტერატურის მაღალი დონის და რუსეთში ამგვარი კულტურული ინფორმაციისადმი ინტერესის უეჭველი დასტურია.

და რაც შეეხება ამ ფუნქციის შენარჩუნებას — ეს ახალ პირობებში ჟურნალის ახალი მოდელის მოძებნის მცდელობაა. ახლა ამ, ჯერ კიდევ საერთო კულტურული სივრცის ირგვლივ იმდენად მცირე ინფორმაცია შემოდის — იგივე იაან კროსს ხომ მხოლოდ რუსულ თარგმანში შეუძლია წაიკითხოს იგივე ჭაბუა ამირეჯიბი, გაიგოს რა პროზაა ეს და იქნებ, თავისთვისაც რაღაც ამოკრიბოს. და ჩვენ აი, ეს იდეა გაგვიჩნდა (ბუნებრივია, ჩვენთვის ყოველი ხმა ძვირფასია და ჩვენთან ცალკეული პუბლიკაციები გრძელდება) — წარმოვადგინოთ ეროვნული ლიტერატურის პანორამა...

— არა მოზაიკა, არამედ სწორედ პანორამა...

— სწორედაც რომ, და ქართულით დავიწყეთ, ვინაიდან, ჯერ ერთი, მდიდარი ლიტერატურაა, საუცხოო არჩევანია, ამ 15 წლის განმავლობაში რუსეთისთვის საინტერესო ამბები ხდებოდა. ალბათ, იმასაც, რომ მთავარი რედაქტორი ქართველია, რაღაც ორგანიზაციული შეხება ჰქონდა ამასთან... ნომერი, ჩემი აზრით, მეტად წარმატებული იყო, ასე აღიქვეს იგი მოსკოვში.

— ანუ ეს იყო არა წმინდად ლიტერატურული ნომერი, არამედ საქართველოში მიმდინარე პროცესების თავისებური სარკეც...

— რა თქმა უნდა. ნომერში ხუთი პოლიტოლოგიური მასალაა — 2003 წლის ნოემბრის მოვლენების შესახებ, რომლებსაც წინ უსწრებს საქართველოს ბოლო 15 წლის ქრონიკა, რომელიც სპეციალურად მოგვიმზადა მამუკა არეშიძემ. აქვეა დიდი მწერლის ოთარ ჩხეიძის ინტერვიუ — „შემოქმედება აუხსნელი ძალდატანებაა“. და აი, ამის შემდეგ უმალ ამოძრავდნენ სხვა ლიტერატურების წარმომადგენლები, შეიძლება ითქვას, რიგში ჩადგნენ. გამოვუშვით ლატვიური ნომერი (უფრო სწორედ, დაახლოებით ჟურნალის ნახევარი), მერე სომხური ნომერი გამოვიდა, ახლა ლიტვის რიგია და ა.შ. ეტყობა, არსებულ ვითარებაში ამა თუ იმ ლიტერატურის დღევანდელი პანორამის ჩვენებამ გაამართლა.

— და ალბათ, არ ღირს რაღაც ცენტრისკენულ ძალებზე ლაპარაკი, — ეს კულტურათა ურთიერთინტერესის გამოხატულებაა...

— ბუნებრივია. აი, ვთქვათ, მე ლიტვა და ლატვია დავასახელე (ესტონელებმაც მოგვიკაკუნეს კარზე და ნიადაგს სინჯავენ), მათ წმინდა პრაგმატული ინტერესი აქვთ. მათ თავის საკმაოდ ცნობილ თავშეკავებულობასაც გადმოაბიჯეს, იმიტომ რომ ეს ევროპაში პირდაპირი გასასვლელია. მათ ეგონათ, რომ სკანდინავია ელოდება მათ და მათი თარგმნა უნდა, მაგრამ განვლილი 15 წლის გამოცდილებამ აჩვენა, რომ დასავლეთის გამომცემლობები მაინც რუსულენოვანი თარგმანებით ეცნობოდნენ ნიჭიერ მწერლებს. ზოგ ლიტერატურაში არიან ისეთი მთარგმნელები, რომლებიც პირდაპირ ორიგინალის ენასთან მუშაობენ, — ჩვენ ვიცნობთ და ვაფასებთ ჩეხ ვაცლავ ჩერნის, გერმანიაშიც არის ქართულიდან მთარგმნელი, რომელმაც ოთარ ჭილაძე თარგმნა. მაგრამ საკმაოდ ბევრი უკვე რუსული თარგმანებიდან ითარგმნებოდა. და, რაღა თქმა უნდა, არ შეიძლება ღვთით ბოძებული ნიჭის, ლიტერატურული ტალანტის არაპროდუქტიულად გამოყენება, მისი პატარა ესტონეთში ან, ვთქვათ, სომხეთში დატოვება, ის მსოფლიოს უნდა მოედოს და ჩვენ სწორედ ამ ფუნქციის შენარჩუნებას ვცდილობთ.

— ახლანდელ პირობებში ასეთ ჟურნალს თავის შენახვა, ალბათ უჭირს...

— სამწუხაროდ, უჭირს. და მე მინდა ჩვენი პრობლემების გაგებისთვის მადლობის სიტყვები ვუთხრა რუსეთის კულტურისა და კინემატოგრაფიის სააგენტოს. ამ საკითხთან დაკავშირებით მე ბევრ სახელმწიფო და სახელმწიფოთაშორის სტრუქტურას მივმართე, რამდენადაც რაღაც სეგმენტში ჩემი ჟურნალი მაინც სახელმწიფო ფუნქციას ასრულებს. იყო უამრავი დადებითი ემოცია, გამოხმაურება, ოქმით გაფორმებული გადაწყვეტილებებიც კი, კონკრეტული მხარდაჭერა კი არავისგან მიმიღია გარდა მიხაილ შვიდკოისა, რომელსაც ესმის პრობლემა და რომელიც აცნობიერებს რუსული კულტურისა და რუსული ენის მნიშვნელობას, რომელზე თარგმნილი ბევრი პატარა ლიტერატურაც მსოფლიო ასპარეზზე გავიდა.

სხვათა შორის ჩინგიზ აიტმატოვმა ერთხელ მოსწრებულად თქვა: „დღეს „დრუჟბა ნაროდოვ“ ის ერთადერთი ცხენია, რომლითაც პატარა ხალხის მწერალს დიდ სამყაროში გასვლა შეუძლიაო“. სააგენტო იმითაც გვეხმარება, რომ რუსულ პროვინციაში ბიბლიოთეკებს ჩვენი ჟურნალის ტირაჟის მეოთხედს უწერს. ეს ხომ მხოლოდ ბიბლიოთეკებისა და ჟურნალის (ჩვენი საკუთარი ბიუჯეტი ამისგან შედგება) მხარდაჭერა კი არა, არამედ ლიტერატურის პოპულარიზაციაც არის. ისინი მთელი პოსტსაბჭოთა სივრციდან მოწვეული ახალი თაობის მთარგმნელებისთვის მასტერკლასების — სემინარების ჩატარებაშიც კი დაგვეხმარნენ. ამასთან, იქ ბალტიისპირელები ლამის ყველაზე აქტიურად და გულმოდგინედ მუშაობდნენ. ყველანი ჩამოვიდნენ, გარდა თურქმენეთისა, ისე რომ მე უკვე რაღაც მოსავალს ვიმკი, თარგმანები უკვე შემოდის.

რაღაცნაირად თითქოს ცოდვას ვგრძნობთ, რომ ძალიან ფაქიზ, რთულ პროფესიაში „ვიტყუებთ“ ადამიანებს, ეს სამუშაო კი ახლა ძალიან ცუდად ნაზღაურდება. და ჩვენ გვინდა პრობლემა გადავწყვიტოთ — საუკეთესო თარგმანისთვის პრემიები მაინც გავცეთ.

— დღეს ლიტერატურული ჟურნალი, ისიც „სიყვითლეს“ მოკლებული, არა მარტო ძნელი, არამედ არაშემოსავლიანი საქმეც არის...

— პრობლემა, ცხადია, ბევრი გვაქვს. მაგრამ ზოგჯერ რაღაცნაირად ჩემთვის გავიფიქრებ ხოლმე: მაინც რატომ ვაკეთებ ამას ასე ჯიუტად? მე მაინც ვგრძნობ, რომ ჟურნალის ეს ფუნქცია მნიშვნელოვანია. მე ისევე, როგორც ძალიან ბევრ ადამიანს, რუსული კულტურის, რუსული ლიტერატურის კოლოსალური სიყვარული მაქვს. ერთ-ერთ ჩემს სტატიას ასე დავარქვი „მიზიდულობის მომხიბლავი ველი“ — ჩემთვის ის მართლაც ასეთია. და იმისათვის, რომ ლიტერატურა სრულფასოვნად ასრულებდეს ამ თავის ფუნქციას, მე რაღაცის გაკეთებას ვცდილობ...

აფეთქებები ბაღდადში

სულ ცოტა 43 კაცი დაიღუპა და 76 დაიჭრა ბაღდადში სამი ბომბის აფეთქების შედეგად.

მოთარეშე-კამიკაძეების მიერ ავტომობილში დადებული ორი ბომბი აფეთქდა ბაღდადის ცენტრში მდებარე ავტოვაგზალში.

ამ ავტოვაგზალიდან სრულდება რეისები ქვეყნის სხვადასხვა რაიონში, ამიტომაც იქ დილ-დილაობით ხალხმრავლობაა.

ერთი ბომბი აფეთქდა ვაგზლის შენობაში, მეორე კი მის შესასვლელთან, ათი წუთის შემდეგ.

„აფეთქდა ავტობუსი. როცა ჩვენ ვაგზლის შენობიდან გამოვრბოდით, კიდევ ერთი ავტობუსი აფეთქდა, რომლის გვერდითაც პოლიციის მანქანები იყო გაჩერებული“, — თქვა ერთ-ერთმა თვითმხილველმა.

15 წუთის შემდეგ აფეთქდა მესამე ბომბი საავადმყოფოს მახლობლად, სადაც მიჰყავდათ პირველი ორი აფეთქების დროს დაჭრილი ადამიანები. ამ აფეთქების შედეგადაც დაიღუპა რამდენიმე ადამიანი.

ერაყის პოლიციას მიაჩნია, რომ სამივე აფეთქება კოორდინირებული იყო.

პრესაში გაჟონა მონაცემებმა ბრაზილიელის მკვლელობის შესახებ

ბრაზილიელი ჟან შარლ დე მენეზესი პოლიციელებმა მოკლეს ლონდონის მეტროში, რადგან იგი ამფეთქებელ-კამიკაძედ მიიჩნიეს.

ეს მოხდა 22 ივლისს, ლონდონის მეტროს სტოკველის სადგურში. როგორც ცნობილია, ერთი დღით ადრე, 21 ივლისს, ბოროტმოქმედებმა სცადეს ბომბების აფეთქება ლონდონის მეტროპოლიტენსა და სარეისო ავტობუსში.

როგორც აი-თი-ენის ტელეკომპანიამ დაადგინა, პოლიციელთა მტკიცების საწინააღმდეგოდ, დე მენეზესი არ გადაახტა ტურნიკეტს, როცა მას პოლიციელები მისდევდნენ, და მშვიდად შევიდა სადგურში.

ტელეკომპანიის მიერ მიღებული ინფორმაციის თანახმად, იგი მაშინ გაიქცა, როცა გაიგო სადგურთან მოახლოებული მატარებლის ხმა. დე მენეზესი მოკლა სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმულმა პოლიციელმა, რომელიც მასთან ერთად შევიდა ვაგონში.

მოკლულს ეცვა ჩვეულებრივი ჯინსის ქურთუკი და არა თბილი პალტო, რომლის ქვეშაც, როგორც პოლიციელები ამტკიცებდნენ, შეიძლებოდა ბომბის დამალვა.

პოლიციის წინააღმდეგ შეტანილი საჩივრების განმხილველი დამოუკიდებელი კომისია, რომელიც იძიებს ჟან შარლ დე მენეზესის მკვლელობას, არც უარყოფს და არც ადასტურებს ამ მონაცემებს.

კომისიამ ასევე გამოთქვა სინანული იმის გამო, რომ ეს მონაცემები ხელში ჩაუვარდათ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს.

◎ თაობათა უწყვეტი ჯაჭვი

ღმერთის საჩუქარი



2004 წლის ზაფხული „ალექსანდრეს“ ბაღში ანანოსთან ერთად

თითქოს უჩვეულო არაფერი მომხდარა – შვილიშვილი ვის არ შეძენია და მეც მარგუნა ღმერთმა შარშან ეს საჩუქარი. მაგრამ მერე მოხდა, რაც მოხდა: გადამრია, მეცხრე ცაზე ამიყვანა ციცქნა ანა-ანანომ, მაწერინა ლექსები და ჩანახატები... ვასეირნებდი საბავშვო ეტლით ჩვილს ჩვენს საცხოვრებელ სახლთან ახლოს „ალექსანდრეს“ ბაღში და, თვითონ რომ მშვიდად ეძინა, მე ფიქრებში ვესაუბრებოდი, ვუყვებოდი, რაც გონებაში წამოტივტივდებოდა – წარსული, აწმყო... ასოციაციები დღევანდელობასთან...

ეს ყოველივე ქაღალდზე გადამქონდა და სათაურით – „ღმერთის საჩუქარი“ – შარშან ამ დროს (22 აგვისტოს) დაიბეჭდა კიდეც გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“.

პუბლიკაციას საკმაოდ კარგი რეაქცია მოჰყვა, ისეთმა ხალხმა მომიწონა, რომლებიც ჰაიჰარად, ტყუილუბრალოდ არ ისვრიან საქებარ სიტყვებს. ერთმა ისიც კი მითხრა, ეს რა მშვენიერი ფორმა „ჩაგივლია“ მოგონებების საწერადო, აუცილებლად განაგრძე, გადაეცი შენი კოდი შთამომავალს, იცოდეს შვილიშვილმა, ვის ფესვზეა ამოყრილი, ვინ იყო მისი წინაპარი, რით სუნთქავდა, რა ცხოვრება გამოიარა, რა ხალხში ტრიალებდა, რა სიხარულები და ტკივილები განიცადაო. აბა, საფიქრალ-სასაუბროს რა გამოლევდა (ან რა გამოლევს) ანანოსთან, ჭკუაში დამიჯდა მეგობრის რჩევა – გადავიტანე ეს მონოლოგი ქაღალდზე, უფრო სწორად, განვაგრძე ერთი წლის წინანდელი პუბლიკაცია, მოვამზადე დასაბეჭდად და რედაქციის მხარდაჭერით გთავაზობთ მის ნაწყვეტს. ვნახოთ, რა გამოვიდა.

კვირა დილაა, ანანომ ადრე ინება გაღვიძება, მოვამზადეთ ეტლი, ჩავაწვინეთ შიგ შილიფად ჩაცმული ჩვილი (ცხელა) და ჰერი, „ალექსანდრეს“ ბაღისკენ. ზაფხულის მზე ჯერ არ წამომართულა, ბაღში შედარებით გრილა. უზარმაზარი ნეკერჩხლის ძირში ამორჩეულ „ჩვენს“ ძელსკამზე „ბომჟი“ დაგვხვდა პირდაღმა გაშხლართული, უცებ შეიძლება ვინმე შეკრთეს, ადამიანის ცხედარს გადავაწყდიო, იფიქროს, მაგრამ მე უკვე დიდი ხანია შევეჩვიე ასეთ სურათს – დილაადრიან ბაღში ძელსკამებზე უამრავ გაუბედურებულ არსებას ვხედავ.

„რა ვქნათ, ანანიკო?.. აი, აუზის სიახლოვეს ერთი ძელსკამი თავისუფალია და ჩამოვსხდეთ, მალე შადრევნებსაც ჩართავენ და, რომ იცოდე, უკეთესიც კი იქნება იქ ყოფნა...

... აი, ასეეე... ანანო, ჩვენი ნაცნობი „ბომჟი“ პირს იბანს აუზში, გაჩეჩილ, ქღალ წვერზე ისხამს წყალს, ხელს გვიწევს, შენზე მანიშნებს, როგორ არისო... ეეეე... ბაბუ, იცოცხლე, ამ დროებამ „ბომჟი“ და მათხოვარი მოამრავლა... ზოგი წამოსულია სახლიდან – სიღატაკეს გამოექცა, ქუჩა-ქუჩა ხეტიალი არჩია... ზოგიც გამოგდებულია, ზედმეტ ბარგად აწვა ოჯახს... სამათხოვრო და „გასაბოსიაკებელი“ რა ჭირდა ქართველ კაცს?! არცთუ ისე დიდი ხნის წინათ, როგორც წესი, უმეტესად საკოლმეურნეო ბაზრების სიახლოვეს, ტანსაცმელამოგანგლული, არყის მოტრფიალე „მოძმე“ ერის შვილი თუ დაბანცალებდა და იმასაც უმალ მოაცილებდა ხოლმე იქაურობას მილიცია. ახლა სამწუხაროდ, ქართველებიც არაყს მიეძალნენ, ბაბუ... არაყს და ნარკოტიკს... უმუშევრობით თავგზააბნეული, ყოველგვარ უცხოურს ბრმად დახარბებული ქართველი, იაფფასიან არაყს და მრავალნაირ ნარკოტიკს (რამდენსაც გინდა იშოვნი) ძალუმად მიეტანა, ამის გამო ხშირია მოწამვლის, სიკვდილიანობის შემთხვევა... ვინ დაგიდევს!.. მრავალმილიონიან, სიგრძე-განედებზე გადაჭიმულ ქვეყნებს კიდევ რა უჭირთ, მე ჩემი ერთი ციდა ქვეყანა, ერთი მუჭა ხალხი მტკივა, ბაბუ!.. თუ რაიმე არ გამოსწორდა, ადამიანები (მეტადრე – ახალგაზრდები), რწმენით თუ არ აენთნენ, მე არ ვიცი, 20-30 წლის შემდეგ, თქვენი თაობა რანაირ საქართველოს ჩაიბარებს“.

... „– ანანო-ბანანო!..“ – ისმის ბაღის სიღრმიდან. რა თქმა უნდა, უშანგი უკვე „პოსტზეა“ – „ალექსანდრეს“ ბაღის მეეზოვე ალიონზე ცხადდება და კეთილსინდისიერად ასრულებს თავის საქმეს – გასული დღისა თუ ღამის ნაგავს, ათას ხარახურას ურიკაზე აგროვებს, ზოგს წვავს, ზოგსაც სპეციალურ სანაგვე მანქანას ატანს. ღიმილიანი კაცია, ესიყვარულება ბაღში მოთამაშე ბავშვებს, ანანოზე იძახის, ეს ვინ არი კაცო, პირდაპირ, შესაჭმელიაო... ხანდახან მუხლს ჩახრის, ძელსკამზე ჩამოჯდება, ანანოს შორიდან ეალერსება, თან თავის ამბებს ჰყვება. ნუკრიანელი ყოფილა უშანგი, კაი სიმღერა სცოდნია. ბედის საძებრად თბილისში ჩამოსულა, წარმოიდგინეთ, გამართლებია. ვიღაცას მისი სიმღერა რომ მოუსმენია, უთქვამს, მიდი „პლეხანოვზე“ – სახელმწიფო ანსამბლში ანზორ კაესაძესთან, გნახავს, გაგსინჯავსო... მართლაც, მოუსმენია ბატონ ანზორს ჩვენი უშანგისთვის და უყოყმანოდ მიუღია ანსამბლში.

– შემოვლილი მაქვს ყოფილი საბჭოთა კავშირის ქალაქები, ჩეხოსლოვაკიაშიც ვარ ნამყოფი გასტროლებზეო, – ამბობს სიამაყით. მერე სიამაყეს ნაღვლიანი ტონი ცვლის, ხანდაზმულობამ თავისი ქნა, გამომიშვეს ანსამბლიდან და ახლა მეეზოვედ ვმუშაობ, კიდე მადლობა ღმერთს, ლუკმა პურის ფულს – დღეში 5 ლარს – მაძლევს მერიაო.

„ესეც ადამიანის ბედია, ბაბუ... ახლა ამ კაცს – სახელმწიფო ანსამბლის ყოფილ მსახიობს, კახური სიმღერების შესანიშნავ შემსრულებელს, მოხუცებულობის გვარიანი პენსია უნდა ჰქონდეს (ასე იყო იმ „პირსისხლიანი“ კომუნისტების დროს), ხან ნუკრიანში – თავის კარ-მიდამოში ფუსფუსებდეს, ვაზს უვლიდეს, ხან თბილისში ჩამოდიოდეს, ახლობლებთან, მეგობრებთან დროს ატარებდეს, რაღაცა უხაროდეს... და ასე ელოდეს მიქელ-გაბრიელის თავზე წამოდგომას. ახლა კი, სარჩოს ფული რომ იშოვოს, ბაღს ასუფთავებს, ალაგებს, არაფერს ერიდება...

მე განა მეეზოვის შრომას ვაკნინებ, ბაბუ... (სხვათა შორის, ახალმა დროებამ დაგვანახა, რომ არცერთნაირი კეთილსინდისიერი შრომა საძრახისი და უკადრისი არ არის). პირიქით, მეეზოვეები დიდ საქმეს აკეთებენ ამ ჩვენს საყვარელ და საკმაოდ დაბინძურებულ დედაქალაქში, ოღონდ ყოველმა ადამიანმა იმ შრომის ნაყოფი უნდა იგემოს, რასაც წლების განმავლობაში ემსახურებოდა... ესეც, ალბათ, მოგვარდება, ბაბუ... დრო უნდა ახლის შენებას, დრო, მუყაითი შრომა და მოთმინება...

ხშირად ვიხსენებ ერთ სიუჟეტს, ამ რამდენიმე წლის წინათ, ტელევიზორში რომ ვნახე. საუბარი იყო ისრაელის სოფლის მეურნეობაზე, აჩვენეს ფართობი, რომელზეც პამიდვრის ჩითილი იყო დარგული... როგორ წვეთ-წვეთობით ესხმებოდა მილებიდან წყალი თითოეულ ძირს და, ასე სასოებით მოყვანილი მოსავალი როგორ გაჰქონდათ ისრაელიდან საექსპორტოდ... ასე წვეთ-წვეთობით, მოთმინებით, გარშემო მტრებთან ბრძოლით, სამშობლოს განუზომელი სიყვარულის გრძნობით ააშენა ბიბლიურმა ერმა, შეიძლება ითქვას, ბაღნარი ქვიშაზე, ჩვენ კი ღმერთისგან ბოძებული ბაღნარი გავაპარტახეთ, ბაბუ... აი, ვის უნდა მიბაძოს ყოველმა ქართველმა, თუ მას საკუთარი, თავისუფალი ქვეყნის აშენება სურს!..

შენ გაიზრდები და წაიკითხავ, გაეცნობი, ბაბუ, ებრაელი ხალხის ბედუკუღმართ ისტორიის და ალბათ ერთ რამეს შეამჩნევ: ეს ხალხი ყოველთვის წინ იყურება, წარსულით კი არ ყელყელაობს, ახლისა და ახლის შექმნას ფიქრობს. შენმა თაობამ უნდა შეძლოს, ბაბუ, წინ გახედვა, უამრავი პერსპექტივის, ამოუწურავი პოტენციის სასიკეთოდ გამოყენება, რაც ჩვენ სამშობლოს მართლაც სამაგალითო ქვეყნად აქცევს“.

... უცებ სამივე შადრევანმა ერთად ამოიშხუილა, წყალი რამდენიმე მეტრზე ავარდა, სოკოს ფორმა მიიღო და ირგვლივ შხეფებად მიმოიფრქვა, ჩვენც კინაღამ მოგვწვდა. შხეფი დაეცა თუ შადრევნის ხმაურმა გააღვიძა, ანანომ წამოიტირა, ულამაზესი წამწამები ააფახულა, ვუყყავებ, ვუმღერი... წყნარდება ანა, ნეკერჩხლის ფართო-ფართო ფოთლებს ათვალიერებს.

მოპირდაპირე ძელსკამზე ორი ჯარისკაცი ჩამოჯდა. ცხელ ლავაშს ილუკმებიან ბიჭები, რაღაცაზე იცინიან.

„აი, ბაბუ, რას მოესწრო ჩვენი სამშობლო – თავისი ჯარისკაცები ჰყავს, რომლებიც უკვე საქართველოს იცავენ და არა „საბჭოთა ქვეყანას“. სამოცდაათი წელიწადი საბჭოთა არმიაში მსახურობდა ქართველი კაცი. თვრამეტწელშესრულებულები ხომ მიჰყავდათ და მიჰყავდათ, ერთი ხანობა, სტუდენტებსაც ამწესებდნენ... ჰოდა, მომიწია მეც, ბაბუ... სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი ვარ – მაღლაკიდან ჩამოსული. ის დროა, ხრუშჩოვმა და კენედიმ კინაღამ ომი რომ დაიწყეს. დაძაგრულია მსოფლიო.

გადაირია ცხონებული დედაჩემი – რაღაცა ვიღონოთ, კაცო, სად ვუშვებთ ერთადერთ ბიჭსო, – უთხრა მამაჩემს. მანაც, ცხონებულმა, თბილისში ნაცნობი იპოვა და ქე ჩამოვრჩი იმ გაწვევას. მეორე გაწვევამდე კი საბჭოთა კავშირის ახალმა თავდაცვის მინისტრმა (მგონი მალინოვსკიმ) შესწორება შეიტანა გაწვევის წესებში – სტუდენტები აღარ მიჰყავდათ და მეც გადავრჩი, მაგრამ, ბოლობოლო, მაინც „მიკრეს თავი“ ჯარში და ქათქათა ბათუმის ზედა „გოროდოკში“ გავატარე მხოლოდ ერთი წელი (როგორც ნასტუდენტარმა), მაგრამ რა წელი!..

... ანანო, ჩაგეძინა, ბაბუ?.. იძინე, ეტლი ცოტა აქეთ ჩამოვწიოთ, ქარმა არ დაუბეროს და შადრევნის შხეფები არ მოგწვდეს. აი, ასეეე...

ბათუმი საოცრებაა, ბაბუ... წამოიზრდები და მე ჩაგიყვან იქ... კარგა ხანია, აღარ ვყოფილვარ ბათუმში, რაც ეს უბედურებები ჩვენ თავს ტრიალებს, ვერ ჩავედი... მეგობარიც ბევრი აღარ შემრჩა ამ ქალაქში, მაგრამ ვინც არიან, ჭეშმარიტად, გულითადი ხალხია... აი, ჩემი მიშა მახარაძე... როგორ დაწინაურდა – აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეა, ერთ დროს ჩემი სტუდქალაქელი ძმა – ნიჭიერი ფილოსოფოსი, პუბლიცისტი, თავისი კუთხის გულმხურვალე პატრიოტი... იქ მეგულვიან ჩემი ძვირფასი კოლეგები, ქართული ჟურნალისტიკის ამაგდარი ხალხი – მიშა გორგილაძე, ანზორ ზამბახიძე, ავთო დიასამიძე, ნუგზარ ჯაფარიძე და სხვები... ყველას ვენაცვალე... მაგრამ, რა ხალხი წავიდა!.. მაგალითად, გიორგი სალუქვაძე... მაგალითად, ალი სამსონია... მთელ დღეებს მათთან ვატარებდი გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ რედაქციაში...

საქმე ის არის, ბაბუ, რომ სამხედრო ნაწილში მისვლისას, ნაცნობი ბიჭი შემხვდა და დამარიგა, სპორტსმენებზე დიდი მოთხოვნილებაა, თან შეღავათებია და, შენც რა გენაღვლება, თქვი, ვითომ მოჭიდავე ხარო. არც საბუთი მაქვს სპორტსმენის და არც არაფერი. განვაცხადე მაინც, სამბისტი ვარმეთქი და უმალ სპორტსმენების რიგში დამაყენეს. ერთი კვირის შემდეგ დაგვირიგეს სპეციალური საშვები, რათა უპრობლემოდ გავსულიყავით ნაწილიდან ბათუმის სპორტდარბაზში სავარჯიშოდ... მეც – „სპორტსმენი“, „სამბისტი“ – საუზმის შემდეგ გავდიოდი ქალაქში, მაინცდამაინც სასეირნო ამინდები არ იდგა (დეკემბერი იყო) და „საბჭოთა აჭარის“ რედაქციაში ნაცნობ-მეგობრებთან ან ბათუმელ ნათესავებთან ვატარებდი დროს. გავუმხილე სპორტდარბაზში ჭიდაობის მწვრთნელს, მაიორ კაცს (გვარს არ დავასახელებ) რა მოჭიდავეც ვიყავი და ისიც ვუთხარი, ეს ერთი წელიწადი იქნებ გამაძლებინომეთქი. გამიგო იმ ღვთისნიერმა, რალა დროს შენი ჯარი იყოო, და თუ სადმე შეკრებები ჰქონდა ნამდვილ მოჭიდავეებს, მეც მათ მიმათვლიდა ხოლმე, არადა, სინამდვილეში, მე სოფელში მივდიოდი. ჩავუტანდი მერე ბათუმში ჩემს „ტრენერს“ დედაჩემის გაზრდილ ქათმებს და მამაჩემის დაყენებულ ღვინოს და ასე გადიოდა დრო უშფოთველად.

იცოცხლე, ჩვენი სამხედრო ნაწილი ინტერნაციონალური იყო. ჩვენს „როტაში“ აზერბაიჯანელები ჭარბობდნენ. ნეტა, სად არის ახლა ჩემი მამედა, ჩემი აზერბაიჯანელი „დოსტი“, ხშირად მიფიქრია, ვინ დაიდო მისი ცოდვა, ვინ გაამწესა ჯარში ეს მეტრნახევრიანი ყმაწვილი.

ავდექი ერთხელაც და სამახსოვრო ფოტო გადავიღე ჩემი ჯარის მეგობართან, – მამედ მამედოვი ტაბურეტზე დავაყენე და გვერდით დავუდექი. როგორც იქნა, დამეტოლა ჩემი მამედა...

პატრულები უკვე მცნობდნენ, ანანო, არავინ მაჩერებდა, ღიმილით მაძლევდნენ „ჩესტს“: „ტოვარიშჩ სპორტსმენ!“ დავდიოდი, მაგრამ რითი, არ იკითხავ, ბაბუ?.. სამხედრო ფორმის დარიგებისას აღმოჩნდა, რომ ჩემი ფეხის ზომა ჩექმა მთელ საწყობში არ ჰქონდათ, რაღას იზამდნენ, მომცეს „ვალინკები“, დროებით ატარე, არა უშავსო. მეც დავდიოდი „ვალინკებით“ ბათუმის ქუჩებში. ჰოდა, მოგვიანებით, შენი ბებო რომ ცოლად შევირთე, ხარაგაულში – წერეთლებში ქორწილია და სიძე კაცს თავი მომწონს კიტრივით, ერთი ბათუმელი ქალიშვილი (ბებოს მეგობარი) გაცნობისას გაოცებული მომაჩერდა, ეს ბიჭი ბათუმის ქუჩებში დამინახავს, „ვალინკებით“ დადიოდაო...

აი, „ხოხმა“ იქ იყო!.. საცოდავი სვეტა სანიკიძე – ცქრიალა, მხიარული ქალი, მთელ ბათუმში ცნობილი ექიმი... მისი ვაჟკაცი ქმარი დემურ ტყეშელიაძე... რა მოულოდნელად წავიდნენ ამ ქვეყნიდან ორივენი...

... დღეს ზღაპარში მგონია თავი, ბაბუ. რუსი იდგა ყველგან – ვარძიის დასათვალიერებლად რომ წასულიყავი, საშვი თბილისში უნდა აგეღო, თორემ აწყურში რუსი ჯარისკაცი არ გაგატარებდა... მგონი, უკვე გადიან, ბაბუ, საქართველოდან... რა საქმეა – ორასი წლის შემდეგ ეს დღეც დგება. ეროვნულ არმიას ჯერჯერობით ბევრი რამ აკლია, მაგრამ თანდათან ვისწავლით. რუსის ჯარში თუ ზოზინ-ზოზინით მივდიოდით და „დიდ საბჭოთა კავშირს“ ვიცავდით, ქართულ ჯარში საკუთარი სამშობლოს დასაცავად სამსახური ყველაფერზე მაღლა უნდა დავაყენოთ!.. ისრაელზე რომ გიყვებოდი წეღან, როგორც ამბობენ, ისრაელში სუფრასთან არ დასვამენ, ქალს არ გაატანენ ისეთ კაცს, რომელსაც ჯარში არ უმსახურია... შენც ეცადე (ალბათ მე ვერ მოვესწრები), ისეთ ვაჟკაცს აჩუქო გული, ვინც ქართულ არმიაში გამოიწრთო და ჯარისკაცული ცხოვრება ნახა, ვინც იცის რომ „ყველა ნიჭზე ძლიერია ქვეყნის დაცვის ნიჭი“. ასეთ კაცთან ცხოვრება არ გაგიჭირდება, ბაბუ...“

ცხრა საათი სრულდება. ანანოს ჭამის დროც მოვიდა. არ გამიჯავრდნენ, უნდა მივგვარო „უფროსობას“.

... და ჩვენ თაბუკაშვილის ქუჩას მივუყვებით აკაციების ჩრდილში.

ვილენ მარდალეიშვილი

სურათებზე: „ალექსანდრეს“ ბაღში ანანოსთან ერთად; „საბჭოთა სამშობლოს“ ორი ჯარისკაცი – ვილენ მარდალეიშვილი და მამედ მამედოვი (დგას ტაბურეტზე).

◎ გვირეკავენ, გვეკითხებიან

– 15 წელზე მეტია, მე და ჩემი მეუღლე ერთ ოჯახად ვცხოვრობთ, გვყავს ორი შვილი, მაგრამ ჩვენი ქორწინება შესაბამის სახელმწიფო ორგანოში რეგისტრირებული არ არის.

გთხოვთ, განმიმარტოთ, აუცილებელია თუ არა ხელის მოწერა, რომ ჩვენი ოჯახი კანონიერად ჩაითვალოს?

ლევან ტაბიძე

– საქართველოში ჯერ კიდევ 1944 წლის 8 ივლისიდან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მხოლოდ რეგისტრირებული ქორწინება წარმოშობს მეუღლეთა კანონიერ უფლება-მოვალეობას. აქედან გამომდინარე, გირჩევთ, დაუყოვნებლივ დააგვირგვინოთ თქვენი ერთ ოჯახად ცხოვრება იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის მწარმოებელ ტერიტორიულ ორგანოში.

* * *

– ვარ აფხაზეთიდან დევნილი. 1995 წლიდან სამედიცინო-საექსპერტო კომისიამ დამიდგინა ინვალიდობის II ჯგუფი და დამენიშნა პენსია. არ მაქვს შრომის წიგნაკი, მიჭირს არქივებში სიარული შრომის სტაჟის დამადასტურებელი საბუთების აღსადგენად.

გთხოვთ, განმიმარტოთ, ახალი საპენსიო კანონის ძალაში შესვლის შემდეგ მივიღებ თუ არა გადიდებულ პენსიას?

რობერტ ქვლივიძე

– ვინაიდან შეკითხვაში არ მიუთითებთ ასაკს, არც იმას აღნიშნავთ რამდენი წლის შრომის სტაჟი გაგაჩნიათ და ინვალიდობით რა სახის პენსია გაქვთ დანიშნული (სახელმწიფო თუ სოციალური), მოკლებული ვართ კანონიერ შესაძლებლობას, მოგცეთ ზუსტი განმარტება მომავალში რა ოდენობის პენსია დაგენიშნებათ.

აღნიშნულ საკითხზე გირჩევთ მიმართოთ სოციალური დაზღვევის ფონდის რაიონულ განყოფილებას საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ახალი საპენსიო კანონის ამოქმედებისთანავე, რაც, სავარაუდოდ, 2006 წლის 1 იანვრიდან უნდა განხორციელდეს.

აღნიშნულ დრომდე კი გირჩევთ, თუ შესაძლებელია, შეაგროვოთ თქვენი შრომის სტაჟის დამადასტურებელი საბუთები.

ირინე ღლონტი

**დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ:
93-16-90; 93-28-54.**

განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ

შპს „ფოთის საზღვაო ნავსადგური“ აცხადებს კონკურსს ფოთის საზღვაო ნავსადგურის №6 ნავმისადგომის საინჟინრო გამოკვლევისა და კაპშეკეთებითი (აღდგენითი) სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შემუშავებაზე.

ჩასატარებელი სამუშაოების სახეობა – ნავმისადგომის საინჟინრო გამოკვლევა და მისი აღდგენის პროექტის შემუშავება.

პროექტირების სტადიები – 2 სტადია :

– პროექტი, შეკეთების ვარიანტების ტექნიკური გადაწყვეტილებების წინასწარი შემუშავებით;

– მუშა დოკუმენტაცია, დამტკიცებული ვარიანტის მიხედვით.

1. პროექტირების განსაკუთრებული პირობები:

1.1. ობიექტის ძირითადი ტექნიკური მახასიათებლები:

– I კატეგორიის ობიექტი. ნავმისადგომი გაანგარიშებული უნდა იქნეს I კატეგორიის დატვირთვებზე, ნავმისადგომის კონსტრუქცია – ესტაკადური ტიპის სიგრძით 220 გრძ.მ., რკინაბეტონის ხიმინჯოვან საფუძველზე, მათ შორის სანავმისადგომო ხაზის სიგრძე – 213,3 მეტრი, ნავმისადგომის კორდონთან სიღრმე – პორტის „0“-დან 9,75 მეტრი;

– საანგარიშო გემი – „პოლტავას“ ტიპის ბალკერი 15 ათას ტონამდე დედვეიტით;

– მუშაობის რეჟიმი – მთელი წლის განმავლობაში, სადღეღამისო;

1.2. გადამტვირთავი ტერმინალის დანიშნულება, ტვირთბრუნვა, ძირითადი ტექნოლოგიური მოწყობილობანი შენარჩუნებული უნდა იქნეს უცვლელად;

1.3. პროექტირების დაწყებამდე საჭიროა ჩაუტარდეს ტექნიკური მდგომარეობის წყალქვეშა და წყალზედა საინჟინრო გამოკვლევები ნავმისადგომის ჰიდროტექნიკურ და სხვა ნაგებობებს, საინჟინრო ქსელებს, ღია სასაწყობო მოედანს, რომლებიც საჭიროებენ აღდგენას და ტოპოგრაფიული აგეგმვა №6 ნავმისადგომს მისი მიმდებარე ტერიტორიით;

1.4. ტექნიკური გადაწყვეტილებების ვარიანტების შემუშავება:

– ტექნიკურ გადაწყვეტილებებში განხილულ უნდა იქნეს ნავმისადგომის აღდგენის ვარიანტები;

– ამწისქვეშა და სარკინიგზო გზები, ტერიტორიის საფარი და საინჟინრო ქსელები მათი პარამეტრების შეუცვლელად ექვემდებარება აღდგენას მოქმედი ნორმების შესაბამისად;

1.5. საპროექტო დოკუმენტაცია შემუშავებულ უნდა იქნეს №6 ნავმისადგომის კონსტრუქციული ელემენტებისა და სასაწყობო მოედნის დეფორმაციის პროცესების ადგილის ქონის გათვალისწინებით ტექნიკური გადაწყვეტილებების შეთანხმებისა და დამკვეთის მიერ ნავმისადგომის აღდგენის ვარიანტის დამტკიცების შემდეგ;

1.6. მშენებლობის დასრულება და ექსპლუატაციაში გაშვება არ საჭიროებს რიგითობას;

1.7. გათვალისწინებული უნდა იქნეს ნავმისადგომის კორდონთან და მიმდებარე აკვატორიაში სარემონტო ფსკერდაღრმავება სიღრმეების აზომვის გეგმის საფუძველზე;

1.8. ტერმინალის საინჟინრო ქსელები ჩართული უნდა იქნეს №6 ნავმისადგომის საზღვართან არსებულ საინჟინრო ქსელებთან დამკვეთის მიერ წარდგენილი ტექნიკური პირობების შესაბამისად;

1.9. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის შემუშავების დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს №6 ნავმისადგომის ზურგში №4, 5 ნავმისადგომებზე სარკინიგზო მისასვლელი დროებითი გზების მოწყობის აუცილებლობა;

1.10. №6 ნავმისადგომის მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობები მიღებული უნდა იქნეს ფოთის ნავსადგურის საარქივო მასალების შესაბამისად;

1.11. სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (კრებსითი და ლოკალური ხარჯთაღრიცხვები) შემუშავება უნდა მოხდეს ფასწარმოქმნისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

1.12. პროექტის სახელმწიფო კომპლექსური ექსპერტიზის გავლა და დამტკიცება უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

1.13. კონკურსში მონაწილე ორგანიზაციას უნდა გააჩნდეს ხარისხის საერთაშორისო სერტიფიკატი და საზღვაო ჰიდროტექნიკური ნაგებობების პროექტირებაზე შესაბამისი ლიცენზია;

1.14. სამუშაოთა შესრულების დამთავრების აუცილებელი ვადა – 2006 წლის 15 მაისამდე.

2. დაინტერესებულმა იურიდიულმა პირებმა (ქართველმა „მომწოდებელმა“ – ქართულად, ხოლო უცხოელმა „მომწოდებელმა“ – ინგლისურ ან რუსულ ენაზე), თავისი ქვეყნის კანონით დადგენილი შესაბამისი უწყებებიდან უნდა წარმოადგინონ საკვალიფიკაციო მონაცემები **2005 წლის 01 სექტემბრამდე** ელექტრონული ფოსტით besojojua@yahoo.com ან ფაქსით: +(995 393) 7-01-48, ხოლო ელექტრო ვერსიით ან ტელეფაქსით გამოგზავნილი საკვალიფიკაციო მონაცემების დედნები უნდა წარედგინოს შპს „ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ საკონკურსო კომისიას **2005 წლის 06 სექტემბრამდე** შემდეგ მისამართზე: **ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. №52, საზღვაო ნავსადგურის ადმინისტრაციული შენობა**.

3. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

3.1. საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის:

– ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმე;

– ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

– ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი იყო თუ არა მსჯავრდადებული;

– ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან – გააჩნია თუ არა კონკურსში მონაწილეს საგადასახადო დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტისადმი (დაურთეთ დამადასტურებელი დოკუმენტები);

3.2. მონაწილის იურიდიული სტატუსი (ასლი თან დაურთეთ), რეგისტრაციის ადგილი, რეკვიზიტები, მოღვაწეობის ძირითადი ადგილი;

3.3. უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში შესრულებული ანალოგიური სამუშაო:

№	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
1. 2.					

3.4. სამუშაოთა შესასრულებლად საჭირო ინსტრუმენტების, მოწყობილობა და მექანიზმების ჩამონათვალი:

№	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
1. 2.					

3.5. კონკურსში მონაწილე ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაცია და გამოცდილება:

№	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
1. 2. 3.				

4. კონკურსში მონაწილე უცხო ქვეყნების წარმომადგენლებმა 3.1. პუნქტში ჩამოთვლილი ყველა ცნობა უნდა წარმოადგინონ თავისი ქვეყნის კანონით დადგენილი შესაბამისი უწყებებიდან;

5. იურდიული პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-3 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი აღმოჩნდება ყალბი.

6. საკვალიფიკაციო მონაცემების ჩაბარების შემდეგ საკონკურო კომისია განიხილავს საკვალიფიკაციო მონაცემებს და დამტკიცებულ პრეტენდენტებს **2005 წლის 10 სექტემბრამდე** აცნობებს სხდომაზე მიღებულ გადაწყვეტილებას.

7. კონკურსში მონაწილე პრეტენდენტებს საკონკურსო დოკუმენტაციის პაკეტის მიღება შეუძლიათ **შპს „ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ ადმინისტრაციული შენობის I სართულზე შესყიდვების განყოფილებაში, (ტელ/ფაქსი: +(995393) 7-01-48) 2005 წლის 11 სექტემბრიდან 2005 წლის 18 სექტემბრამდე** ქართველი პრეტენდენტებისთვის 300 (სამასი) ა.შ.შ. დოლარის ეკვივალენტის ლარებში, თანხის გადახდის შემდეგ **(საკონკურსო მოსაკრებლის ანგარიში – ა/№ 623607, ბანკის/კოდი: № 220101606, საიდენტიფიკაციო/კოდი: № 2150809999)**, გაერთიანებული ქართული ბანკის №23-ე ფილიალი, ან უცხოელი პრეტენდენტებისთვის 300 (სამასი) ა.შ.შ. დოლარის გადახდის შემდეგ **(Citi Bank N.A. New York, USA SWIFT CITUS 33, ABA 021000089, United GEORGIAN Bank Poti Branch, Swift UGEBGE 22, C/A 36021436 in favor of Poti Port, ace № 273617)**.

8. საკონკურსო წინადადება ქართველმა „მომწოდებელმა“ წარმოადგინოს – ქართულად, ხოლო უცხოელმა „მომწოდებელმა“ – ინგლისურ ან რუსულ ენაზე. საკონკურსო წინადადების დოკუმენტების დედანი უნდა იყოს წარმოდგენილი დალუქულ კონვერტებში.

9. საკონკურსო წინადადების წარმოდგენის ბოლო ვადაა: **2005 წლის 30 სექტემბერი, შპს „ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ ადმინისტრაციული შენობის I სართული, შესყიდვების განყოფილება, ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. №52**.

10. საკონკურსო წინადადებების განხილვის შედეგების საფუძველზე საკონკურსო კომისია 2005 წლის 05 ოქტომბრამდე აცხადებს კონკურსში გამარჯვებულს.

11. კონკურსში გამოიყენება საკონკურსო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია – საკონკურსო წინადადების მთლიანი ღირებულების არანაკლებ 3 პროცენტის ოდენობით.

12. საკონკურსო წინადადების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადას.

13. კონკურსში პრეტენდენტის გამარჯვების შემთხვევაში გამოიყენება ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია, დასადები ხელშეკრულების ფასის 5 პროცენტის ოდენობით.

14. ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების მოქმედების ვადის ბოლომდე.

15. კონკურსში გამარჯვებულის გამოსავლენად უპირატესობა მიენიჭება შემდეგ კრიტერიუმებს: სამუშაოების დაწყების ვადებს, შესასრულებელი სამუშაოების ხანგრძლივობას, ანგარიშსწორების პირობებს, სამუშაოების ღირებულებას მთლიანობაში.

16. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისგან: **შპს „ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ შესყიდვების განყოფილება საკონტაქტო პირი – შესყიდვების განყოფილების სპეციალისტი ბესარიონ ჯოჯუა (ელ-ფოსტა besojojua@yahoo.com, ტელ/ფაქსი: +(995393) 7-01-48, ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. №52 ან ჰიდროტექნიკურ და საინჟინრო ნაგებობათა განყოფილების უფროსი ზენაიდ კაჭაროვსკი (ელ-ფოსტა ikelbakiani@potiport.com, ტელ/ფაქსი: + (995393) 7-01-18 ტელ: +(995393) 7-01-35, ქ. ფოთი, ნ. ნიკოლაძის მოედანი №1, სამშენებლო კომპლექსის ადმინისტრაციული შენობის მე-2 სართული.**

სს „ეკოსპეცმშენი“ აცხადებს აქციონერთა კრებას 2005 წლის 15 სექტემბერს 12 საათზე, მისამართი: თბილისი, ნუცუბიძის 56.

დღის წესრიგი: 1. მიმდინარე საკითხების განხილვა.

ადმინისტრაცია.

წიგნი

როცა სიტყვა მოწოდებად და ფიცად იქცევა

უშუალოდ წიგნზე საუბრის დაწყებამდე უპრიანია, რამდენიმე სიტყვა მივუძღვნა ავტორს, რომელსაც ახლახან დაბადების 75 წლისთავი შეუსრულდა.

ვილი კაჭარავას საზოგადოება იცნობს პრინციპულობით, თავმდაბლობით, მოვალეობისადმი უდიდესი პასუხისმგებლობით, ადამიანებზე ზრუნვით, ქვეყნის ერთგულებით, წარსულისადმი მოწიწებით, მომავლისადმი რწმენით. სწორედ ამ თვისებებმა აქციეს იგი გამორჩეულ მოღვაწედ.

წიგნში დაბეჭდილია მეცნიერთა, საზოგადო მოღვაწეთა, თანამშრომელთა, სტუდენტთა მოგონებები და მადლობის სიტყვები.

აი, ერთ-ერთი ამონარიდი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ არჩილ კიკნაძის მოგონებიდან: **„ბატონ ვილი კაჭარავას უწევდა დაუნდობელი ბრძოლა ბრაკონიერ წარმოება-დაწესებულებების და ზოგიერთი ბუნებისდაცვითი ორგანიზაციის პასუხისმგებელ პირებთან, ასეთების საჯარო გასამართლება. როდესაც რუსთავში ადგილობრივი ცემენტის ქარხნის „ჰიგიენა“ მაღალ დონეზე განიხილებოდა, ბატონმა ვილიმ ცნობილი გამოთქმა თავისებურად დააკონკრეტა: „რუსთავში ან ადამიანი იმოქმედებს, რომ კვამლი ნაკლები იყოს, ან კვამლი „იზრუნებს“, რომ ნაკლები ადამიანი იყოს“.**

წყლის დაბინძურების პრობლემის განხილვისას გამოთქმა: „როგორც თევზი წყალში“, შეცვალა: „როგორც თევზი გაჭრილ ბადეში“...

ბატონი ვილი კაჭარავა საქართველოს პირველი და დღემდე უკანასკნელი „წითელი წიგნის“ ერთ-ერთი ორგანიზატორი და სულისჩამდგმელია.

1985 წელს, როდესაც საქართველოში ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის დაარსებიდან ათი წლისთავი აღინიშნა, მან დიდი შრომის ფასად გამოსცა წლების მანძილზე გაწეულ სამუშაოთა ნუსხა-მატიანე, რომელშიც გამორჩეული ადგილი დაეთმო ისეთ პრობლემებს, როგორიც არის: მიწის, წიაღის, წყლის, ატმოსფერული ჰაერის, ცხოველთა სამყაროს დაცვის, ბუნებისდაცვითი პროექტირების და ექსპერტიზის, განათლების და კანონმდებლობის სათანადო დაცვის და საფუძვლიანად შესწავლის საკითხები.

აქვე დავძენთ, რომ შემოგვრჩა წლების მანძილზე შექმნილი უნიკალური ფოტომასალა. **„მთელი ეს უნიკალური მემკვიდრეობა, — გულისტკივილით ამბობს ბატონი ვილი, — ამჟამად დაფანტულია, დაკარგულია ან ისე სავალალოდ გამოიყურება, რომ მათი გამოყენება შეუძლებელია“.**

ამოცანა ის არის, რომ ძველმა და ახალმა ბუნების დამცველებმა გამონახონ დრო და საშუალება ამ უნიკალური ბუნებისდაცვითი პრაქტიკისა და მეცნიერებისთვის მეტად საჭირო მასალის გადარჩენისა და საჭიროებისამებრ გამოსაყენებლად. ამასთან დაკავშირებით ბატონი ვილი იგონებს: „განა შეიძლება „ხუდონი ჰესის“ აშენება-არაშენების ისტორიის დავიწყება?! ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტმა ამ ჰესის დამპროექტებლებთან, მშენებლებთან, მოსახლეობის დიდ უმრავლესობასთან ერთად შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადა ჩვენი ქვეყნისთვის ამ უაღრესად საჭირო ელსადგურის აშენების მოწინააღმდეგეებს, მაგრამ ამ უკანასკნელთა უმეცრებისა და პოლიტიკური არაკეთილსინდისიერების გამო ეს ბრძოლა წავაგეთ, მწარე შედეგებს კი ქართველი ხალხი დღესაც იმკის. სამწუხაროდ, ეს მეტად საჭირო და ბევრისთვის ჭკუის სასწავლებელი მასალები დღევანდელ ბუნებისდამცველებს არ მოეპოვებათ“.



საქართველოს ბუნების დაცვის იმჟამინდელ სახელმწიფო კომიტეტს ყოველთვის მხარში ედგა ქართველ მეცნიერთა ძლიერი არმია — ერთობლივმა გაცხოველებულმა მუშაობამ, საერთო კონფერენციებმა, შეკრებებმა, ყრილობებმა, რთული და აქტუალური ეკოსაკითხების ერთობლივმა შესწავლამ, შრომა-საქმიანობამ დაახლოვა და დაამეგობრა ჩვენი მეცნიერები — საქართველოს ბუნების დამცველები — მთელ რიგ საქვეყნოდ ცნობილ მეცნიერებს.

ბუნების დაცვის საკითხების გარდა, წლების მანძილზე ხანდაზმულთა ყოფაცხოვრებაზეც წუხდა საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის ყოფილი მინისტრი. ბატონი ვილი იგონებს:

„ხანდაზმულთა მიმართ მიდგომა დიფერენცირებული გახლდათ: პენსიის დანიშვნისას თუ სხვა სახის დახმარების გაწევის დროს ვითვალისწინებდით ასაკს, სტაჟს, სამუშაოს ხასიათსა და სპეციფიკას, ოჯახურ მდგომარეობას. ცალკე კატეგორიას წარმოადგენდნენ მარტოხელები, ინვალიდები და პერსონალური პენსიონერები.

არავინ ივიწყებდა იმას, რომ ხანდაზმულები დიდი დამსახურებისა და ნაჯაფი ადამიანები იყვნენ, ამიტომაც არა მარტო მატერიალური დახმარება, არამედ მორალური მხარდაჭერაც ესაჭიროებოდათ. ვხედავდი ყოველივეს, მტკიოდა გული და ამიტომაც მთავარ ამოცანად დავისახე პენსიონერებთან მუშაობის ახალი, უფრო თანამედროვე ფორმების გამოყენება, რაც, უპირველესად, მოიცავდა პენსიონერთა შრომითი დასაქმებისა და კულტურულ სამედიცინო, სპორტული მომსახურების სფეროებს. ეს უკანასკნელი თავიდან ბოლომდე თვითმომსახურებას და სამეურნეო ანგარიშს დაეფუძნებოდა.

თავიდანვე ასე იყო პროექტში გათვალისწინებული და, ამასთან, უკანასკნელ მანეთამდე გათვლილი“, — ამბობს ყოფილი მინისტრი და წუხს, რომ მას არ დასცალდა ჩანაფიქრის განხორციელება.

იმის მიუხედავად, რომ წიგნი ბიოგრაფიულია, მასში ფართოდაა მოცემული ბუნების დაცვის პრობლემები და მათი გადაჭრის ვილი კაჭარავასეული ხედვა. ავტორი აყენებს საკითხს მშობლიური ბუნებისთვის თავდადებული ქომაგების, აკადემიკოსების: ნიკო კეცხოველის, ვასილ გულისაშვილის და თეოფანე დავითაიას ძეგლის დადგმის შესახებ საქართველოს დედაქალაქში.

უნდა ითქვას, რომ ბუნების დაცვის საკითხები დღეს უფრო აქტუალურია, ვიდრე ოდესმე. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ხელებით ნადგურდება საქართველოს ბუნება და ამაზე გული ბევრს არ შესტკივა.

ბატონ ვილის კი სადაც უმუშავია, ყველგან სიახლეთა ძიება-დანერგვის დიდოსტატს უწოდებდნენ. სწორედ მისი ინიციატივით შეიქმნა ჰიმნი „საქართველოს ბუნება“ და ანსამბლი „საქართველოს ბუნება“. მჭიდრო ურთიერთობა დამყარდა ქართველ მწერლებთან, გამოვიდა შესანიშნავი წიგნი „ქვეყნად ამოსვლა მწვანისა“.

წიგნში განხილული თითქოსდა მძიმე საკითხების მიუხედავად, იგი მაინც ავტორის გულიდან გადმოღვრილი სითბოთი, ოპტიმიზმით და სიყვარულით არის გამსჭვალული.

დალი მაგრაქველიძე

გარემო და ჩვენ

ერთი პამპერსის ნიადაგში დაშლას თურმე 500 წელი სჭირდება

სამწუხაროდ, ადამიანის ნებისმიერი საქმიანობა საგრძნობლად აზიანებს გარემოს. ყველამ ვიცით, ახალი სახლის მშენებლობა როგორ ანაგვიანებს მიმდებარე ტერიტორიას. მიმოვიხედოთ ირგვლივ, ახლა ხომ ქალაქში მშენებლობის ბუმია. აი, მაგალითად, გამსახურდიას პროსპექტზე, სტატისტიკური დეპარტამენტის მარცხნივ 5-სართულიანი კერძო სასტუმრო აშენდა, მარჯვნივ მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი შენდება. იქვე ყრია სამშენებლო ნაგავი, ფანტავს და ჰაერში აბნევს წვიმა და ქარი ცემენტს, გაჯს და იქაურობას აჭუჭყიანებს. ამას წინათ, დილაადრიან გამოვედი სახლიდან. გამსახურდიას პროსპექტზე უამრავი სუპერმარკეტი, საპარიკმახერო, აფთიაქი თუ სხვა დაწესებულებაა. ვხედავ, თითქმის ყველა ობიექტიდან ნაგავი გამოაქვთ და ქუჩაში აწყობენ ან გვიან პირდაპირ ქუჩის მიმართულებით, ან შლანგით რეცხავენ იატაკს, ნახმარი წყალი კი პროსპექტზე მოედინება. როცა ამის თაობაზე სილამაზის სალონის თანამშრომელს მივუთითე, ასე დასრულდა დიალოგი — ქალბატონო, საქმე არაფერი გაქვთ? მაშინ შინ დაჯექით, სხვებს ნერვებს რატომ უშლით?

კი მაგრამ, შენი ობიექტის დასუფთავების სანაცვლოდ სავალ ნაწილს რომ აბინძურებ, გარშემო ყველაფერს აჭუჭყიანებ, ეგ არაფერია?

კაცობრიობა გამუდმებით ქმნის ახალ საქონელს თუ მომსახურების სახეობებს, რაც შედარებით აადვილებს ჩვენს ყოფას. მაგრამ ისიც ცხადია, რომ ჩვენი, როგორც მომხმარებლის მდგომარეობის გაუმჯობესებით, დიდ ზიანს ვაყენებთ გარემოს. ადრე ეკოლოგიურ პრობლემას, ძირითადად, სამრეწველო წარმოება ქმნიდა. დღეს მათ რიცხვს ერთჯერადი ჭურჭელი, ბავშვის პამპერსი, სინთეტიკური სარეცხი საშუალებები, გამაგრილებელი სასმელები დაემატა, ასე რომ, მომხმარებლები, ჩვენდა უნებურად, ვაბინძურებთ გარემოს. ადამიანის მიერ წლის განმავლობაში დაგროვილი ნაგვის მესამედს სწორედ მის მიერ შეძენილი საქონლის შესაფუთი მასალა წარმოადგენს. დედამიწის მცხოვრებთა ყოველ მეექვსედზე წელიწადში, დაახლოებით, ერთი ტონა ნაგავი მოდის.

უკვე დიდი ხანია, სარეცხს საპნით აღარ რეცხავენ, არც რძეს ყიდულობენ მინის ბოთლებში. პამპერსებმა დედის შრომა კი შეამსუბუქა და არც ბავშვისთვის არის ცუდი, მაგრამ, მეორე მხრივ, სწორედ მას მოაქვს უდიდესი ზიანი გარემოსთვის. და იცით რატომ? ერთი პამპერსის დაშლას, თურმე, 500 წელი სჭირდება!

პრობლემას ამწვავებს ის, რომ ნაგავი შეუფერებელ ადგილებში იყრება, წვიმა ავრცელებს მომწამლავ ნივთიერებებს, რომლებიც წყალსაცავს აბინძურებს.

ამავდროულად, გასათვალისწინებელია, რომ არსებობს გარემოსთვის და ადამიანის სიცოცხლისთვის საშიში ნარჩენები. სპეცნარჩენებს განეკუთვნება 600 სახეობის ნივთიერება. ჩვენ ყოველდღიურად ცხოვრებაში ვიყენებთ არაერთ საგანს, რომელიც სწორედ სპეცნაერთებს წარმოადგენს და მათი გადაყრა ჩვეულებრივ ნაგავსაყრელზე არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. ესენია: კოსმეტიკური ნარჩენები, ელემენტები, მედიკამენტები, ლაქის, წებოს, საღებავისა და სხვა ნარჩენები, გამწმენდი საშუალებები, აეროზოლები, დეზოდორანტები და სხვ.

რისი გაკეთება შეგვიძლია თითოეულ ჩვენგანს საშიში ნარჩენების შემცირებისთვის? კავშირი „XXI საუკუნე, სერიიდან „მომხმარებლის უფლებები“... გვთავაზობს ასეთ ალტერნატივას: გამაგრილებელი სასმელი აირჩიეთ მინის ქილაში, ჭიქაც ჩვეულებრივი იხმარეთ, ჭურჭელი გარეცხეთ სოდითა და ძმრით, ქაღალდის ცხვირსახოცის ნაცვლად გამოიყენეთ პირადი პირსახოცი. ეს ნიშნავს იმას, რომ გამოვიყენოთ ისეთი საგანი ან საქონელი, რომელიც გადამუშავებას ექვემდებარება.

ჰოლანდიაში, ისევე როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში, დიდი პოპულარობით სარგებლობს პლასტიკის ბოთლში მოთავსებული გამაგრილებელი სასმელები. თუმცა საკმაოდ ძვირადღირებული, ვინაიდან ფასის ნახევარს თვით ბოთლის ღირებულება შეადგენს. რატომ არის ასე? ცნობილია, რომ პლასტმასის ბოთლები ანაგვიანებს გარემოს, მეორე მხრივ, მოსახერხებელია, რადგან მსუბუქია და თან არც ტყდება. სწორედ ამიტომ ჰოლანდიაში მათი ღირებულება მაღალია, თუმცა ყველა მაღაზიაში არსებობს პლასტმასის ბოთლების მიმღები პუნქტები. ამიტომ ჰოლანდიელი მომხმარებელი ბოთლებს ნაგავში არ ყრის, როგორც ეს აქ ხდება, არამედ აბარებს მათ. ისინი მიიჩნევენ, რომ თუკი ბოთლის ფასი დაბალი იქნებოდა, ბევრი დაიზარებდა და არც ჩააბარებდა. ასეთი მეთოდით ზრუნავენ ჰოლანდიელები ეკოლოგიურ სისუფთავეზე.

საქართველოში ბევრ სხვა პრობლემასთან ერთად ნაგვისა და ნარჩენების პრობლემაც არის. ამის მაგალითი ამას წინათ ნაგავსაყრელზე აღმოჩენილი დამალული მეღორეობის ფერმების არსებობაც მოწმობს. სამწუხაროდ, ჩვენში ჯერ კიდევ არ არის კანონი ნარჩენების შესახებ, ამიტომ თითქმის არსად არ ხდება მათი აღრიცხვა და მართვა.

შედარებით უკეთესი მდგომარეობაა საყოფაცხოვრებო ნარჩენებთან დაკავშირებით, თუმცა საამისოდ გამოყოფილი ადგილები სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების მხრივ, რა თქმა უნდა, კეთილმოუწყობელია. ამასთან, არ არსებობს სათანადოდ დაცული სამარხები.

ჩვენი მოსახლეობისთვის ერთ-ერთ გადაუჭრელ პრობლემას სწორედ ერთჯერადი პლასტიკური ბოთლები წარმოადგენს. მათი უდიდესი ნაწილი ადგილობრივი წარმოებისაა, ნედლეული კი უცხოეთიდან შემოაქვთ. მოსახლეობა მათ მრავალჯერადად იყენებს, ამასთანავე, ამ ბოთლების უდიდესი ნაწილი სხვა ნაგავთან ერთად ქუჩებში და ნაგავსაყრელებზე ყრია. როცა მას წვავენ, ტოქსიკური აირები აბინძურებს ჰაერს.

ამონარიდი კვლავ „მომხმარებლის უფლებებიდან“, რომელიც სამაგიდო უნდა გახდეს თითოეული დიასახლისისა თუ მოქალაქისთვის:

ერთჯერადი პლასტიკური ბოთლები სტერილიზაციას არ ექვემდებარება, ამიტომ მათი მრავალჯერადად გამოყენებისას შეიძლება, დაავადდეთ დიზინტერიით, სალმონელოზით, ამებიაზით, ასკარიდოზით, ტრიქონელოზით, ტოქსიკოინფექციით და სხვა.

გარდა ამისა, ნაგავსაყრელებიდან და ქალაქების ბაზრობების ტერიტორიებიდან ხელმოკლე მოსახლეობა სისტემატურად აგროვებს სხვადასხვა სახის ნარჩენს, მათ შორის, ერთჯერად, პლასტიკურ ბოთლებს, ვინაიდან დღემდე არ არსებობს ამ ბოთლების უტილიზაციის უსაფრთხო ტექნოლოგია, ამიტომ მათი მრავალჯერადი გამოყენება დიდ საფრთხეს უქმნის მოსახლეობას, თავიდან რომ ავიცილოთ ბაქტერიებით დაავადებების საფრთხე, პლასტიკური ბოთლები პირველადი მოხმარების შემდეგ დააზიანეთ და ისე გადაყარეთ.

ნაზი იმნაიშვილი

ის დაუვიწყარი დღე

დრო შეუმჩნევლად შემოგვლევია, მაგრამ სიხარულს არ უჩანს ბოლო

— ოლიმპიკ ჩემპიონ ზურაბ ზვიადაური!!!

დიქტორი ქალბატონის მჭექარე ხმას ქომაგთა მქუხარე ოვაცია მოჰყვა და „ანო ლიოსიას“ ოლიმპიურ დარბაზში ექვსი ათასამდე გულშემატკივარი ჩემპიონის პატივსაცემად ერთიანად ფეხზე წამოიმართა. ეს იყო საოცარი სურათი და მსგავსი რამ, რაც მე მაშინ დარბაზში განვიცადე, არასდროს მიგრძნია...

2004 წლის 18 აგვისტო ოქროს ასოებით ჩაიწერა ქართული სპორტის ისტორიაში — ამ დღეს ახმეტელმა ძიუდოისტმა ზურაბ ზვიადაურმა ათენში ზედიზედ დაამარცხა იტალიელი ლეპრე, რუსეთელი ტაოევი, ფრანგი დემონფოკო, ინგლისელი გორდონი, იაპონელი იზუმი და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

12 წელიწადი ველოდით ამ ბედნიერ წუთს — ზურაბ ზვიადაური დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. „ანო ლიოსიას“ დარბაზში ხუთჯვრიანი დროშა აფრიალდა და საქართველოს ჰიმნი აჟღერდა. იყო ზღვა სიხარული, სიამაყის ცრემლი და უსაზღვრო განცდა იმისა, რომ საქართველო გამარჯვების გზებზე დადგა...

წელიწადი გასულა მას შემდეგ. დრო შეუმჩნევლად შემოგვლევია, თუმცა მაშინდელი ეიფორია დღემდე არ განელებულა. დიდ სიხარულს, ეტყობა, დასასრული არა აქვს.

ღმერთო, გვიმრავლე ასეთი წუთები!

ვაჟა დანელია

უნივერსალური ბრძოლები

ბაქოში მხოლოდ ფულზე ფიქრობდა, შინ კი „ზაზუნასთვის“ „ოქროებს“ იხვეჭს



თურქეთის საკურორტო ქალაქმა ანტალიამ „უნივერსალურ ბრძოლებში“ ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლა. „ბებერი კონტინენტის“ სხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან ერთად ქართველი ვანო ველთაურიც ცდიდა ძალებს კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასასვლელად. ჩვენმა სპორტსმენმა ყველა მეტოქეს აჯობა და მკერდი ოქროს მედლით დაიმშვენა.

— ოთხი მძიმე ორთაბრძოლა გადავიტანე, **— მითხრა ანტალიიდან დაბრუნებულმა ვანომ,** — პირველი შეხვედრა აზერბაიჯანელ რამაზ ისმაილოვს მოვუგე, მეორეში რუსი ალექსანდრ ივანოვი დავამარცხე. ნახევარფინალში ბერძენ ტრენგა კარანადისს ვძლიე. გადამწყვეტი პაექრობა საკმაოდ გამოცდილ აზერბაიჯანელ მამედ საიდოვთან მქონდა. თავიდან ის დაწინაურდა, მაგრამ მალევე ავუღე ალღო მისი ბრძოლის მანერას და ბოლო წუთებზე გავიმარჯვე კიდეც.



— ვანო, შენ ძიუდოისტი ხარ, „უნივერსალურ ბრძოლებში“ როგორ მოხვდი?

— ათი წლისამ, მართლაც, ძიუდოში დავიწყე ვარჯიში ვახტანგ ხარხელაურთან. წარმატებებიც არ მაკლდა, მაგრამ უსახსრობის გამო დიდ შეჯიბრებებზე ვერ მივდიოდი, ამიტომ, ოსტატობის თვალსაზრისით, ბევრი რამ დავკარგე.

შარშან, მეგობრის რჩევით, ბაქოში „უნივერსალურ ბრძოლებში“ ვიასპარეზე. მასპინძლებს მოეწონათ ჩემი ფიზიკური და ტექნიკური მონაცემები, აზერბაიჯანში დარჩენა და რინგზე მათი სახელით გამოსვლა მთხოვეს. უარიც არ მითქვამს. რამდენიმე თვე დავყავი ბაქოში და სერიოზული გამარჯვებებიც მოვიპოვე. მართალი გითხრათ, იქ რინგზე გასვლის წინ მხოლოდ ფულზე ვფიქრობდი, აქ კი უფრო სამშობლოს ინტერესები მამოძრავებს.

— ძიუდოს საბოლოოდ ჩამოშორდი?

— ჯერ ვერ გადამიწყვეტია. თუმცა, რინგზე უფრო თამამად ვგრძნობ თავს, ვიდრე ტატამზე. ოქტომბრის მიწურულს „უნივერსალურ ბრძოლებში“ საერთაშორისო ტურნირზე გამოვალ. შემოდგომითვე სამბისტთა პაექრობებშიც მივიღებ მონაწილეობას, რათა მსოფლიო ჩემპიონატისთვის საქართველოს ნაკრებში მოვხვდე; ძიუდოშიც ვცდი ძალებს. ვნახოთ, რას მივაღწევ.

— რინგზე გამოსვლა საკმაოდ სარისკოა. ოჯახში არ ეშინიათ?

— გეთანხმებით, რომ „უნივერსალური ბრძოლები“ ფრიად სახიფათოა. ახლაც, ევროპის ჩემპიონატზე, წელი სერიოზულად დავიზიანე, წარბი და ბაგეც გამიხეთქეს, ნეკნის ჩამტვრევა ხომ ჩვეულებრივი ამბავია ჩვენთვის. ამიტომაც ოჯახის წევრები სულ მეხვეწებიან, ამ სახიფათო სპორტს ჩამოშორდიო. ერთადერთი, ვინც თანამიგრძნობს, „ზაზუნაა“, მეგობარი გოგონა. თავადაც მებრძოლია და ჩემი რინგზე გასვლის არ ეშინია. ევროპის ჩემპიონატზე გამარჯვება მას მივუძღვენი.

— დაოჯახებას ხომ არ აპირებ?

— ჯერჯერობით არა. მე და ჩემს მწვრთნელს — ტარიელ ხარხელაურს მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი მსოფლიო ჩემპიონობის მოპოვება. ოცნებას რომ ავისრულებ, ცოლსაც მერე მოვიყვან.

ესაუბრა
ქეთი გაბინაშვილი

სურათებზე: ოსტატი და შეგირდი; ვანო ველთაური (მარცხნივ) მორიგი ორთაბრძოლის შემდეგ.

ფეხბურთი

დებიუტი 3 ქულით აღნიშნა

გულშემატკივრებმა კარგად უწყიან, რომ 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატიც უზვენოდ ჩაივლის, ამიტომ შესარჩევ ჯგუფში დარჩენილ მატჩებს სიმბოლურთან ერთად ის პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს, რომ მსოფლიო „რეიტინგ-ლისტში“ იქნებ ცოტა მაინც ავიზიზოთ.

ამ თვალთახედვიდან გამომდინარე, გუშინდელ მატჩს ყაზახებთან პრაქტიკული დატვირთვაც ჰქონდა. ისიც გასათვალისწინებელი იყო, რომ მასპინძლებმა წინა 7 ორთაბრძოლა უპირობოდ დათმეს, გაიტანეს ორი და საკუთარ კარში მიიღეს 21 ბურთი. პირველი ქულების აღებას ყაზახები სწორედ ქართველებთან გეგმავდნენ. არადა, ამგვარ გუნდთან თუნდაც ფრეს შემთხვევაში სირცხვილს სად წაუვიდოდა კაცი. მოხდა ისე, რომ პირველი ტაიმის შემდეგ ლამის ზავიც სანატრელი გაგვიხდა: 23-ე წუთზე ყაზახებმა ბურთი სტუმართა კარისკენ ჩააწოდეს. საჯარიმოში მენთეშაშვილს ეკზეკხანოვმა დაასწრო და ანგარიში გახსნა. 43-ე წუთზე შუმასკალიევმა აშკარა საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა.

შესვენების შემდეგ ქართველი ფეხბურთელები გააქტიურდნენ. 52-ე წუთზე მასპინძლებმა საჯარიმო ხაზთან კობიაშვილი წააქციეს. დემეტრაძის დარტყმა უზადო იყო და წონასწორობაც აღადგინა. საფინალო სასტვენამდე 5 წუთით ადრე მანვე მეტოქის საჯარიმოში მცველებს დაასწრო და თავური დარტყმით საქართველოს ნაკრებს და მის დებიუტანტ მთავარ მწვრთნელს 3 ქულა მოუტანა.

მორიგ მატჩს საქართველოს ნაკრები შინ 3 სექტემბერს უკრაინის ეროვნულ გუნდთან გამართავს.

უნივერსიადა

„კლასიკოსების“ „ოქრო“ და „ბრინჯაო“

იზმირში დასასრულს უახლოვდება მსოფლიო უნივერსიადა, რომელშიც ქართველი სპორტსმენებიც მონაწილეობენ. გაგვახარეს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებმა — მათ ჯერჯერობით თითო ოქროს და ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

განსაკუთრებით ისახელა თავი შალვა გადაბაძემ (84 კგ). მან ზედიზედ სძლია კანადელ იასინ კაიას, კუბელ რაინერ გომეს კორალესს, ესტონელ ტარვი ტომბერგს, უკრაინელ ოლეგ რომანკოვს, გერმანელ ბიორნ ჰოლკს და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. რაც შეეხება გოდერძი დავითაძეს (55 კგ), იგი მეოთხედფინალში მომავალ ჩემპიონთან ჩრდილოკორეელ რი ილ კიონგთან დამარცხდა. სანუგეშო ტურნირში ეგვიპტელ და უკრაინელ მეტოქეებს მოუგო და მესამე ადგილი დაიკავა.

სპორტულ ორბიტაზე

ტელეეკრანზე — ფეხბურთის ლეგენდები

როგორც ადრე უკვე გაცნობეთ, ლეგენდარულმა არგენტინელმა ფეხბურთელმა დიეგო მარადონამ გადაწყვიტა არგენტინის ტელევიზიაში 13 გადაცემისგან შემდგარი ახალი ტოკ-შოუს „საღამო მეათე ნომერთან“ გაძღოლა. მისი სტუმრები უნდა იყვნენ გამოჩენილი სპორტსმენები, მსახიობები, ცნობილი პიროვნებები.

უკვე გაიმართა პირველი ასეთი გადაცემა, რომლის სტუმარი იყო „ფეხბურთის მეფე“ — ბრაზილიელი პელე. მარადონასთან ერთად ის გულახდილად საუბრობდა, ჟონგლირებდა ბურთით, იმღერა კიდევაც. როგორც თვითმხილველები აღნიშნავენ, გულშემატკივართა კერპები დასაწყისში ერთობ თავდაჭერილნი იყვნენ, მაგრამ ყინული ერთგვარად გადნა, როცა საუბარი ნარკომანიას შეეხო. ხომ ცნობილია, რომ მარადონა დიდხანს მკურნალობდა ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულებაზე, ხოლო პელეს ვაჟიშვილი, ედინიო, ამასწინათ დააპატიმრეს ნარკოტიკების გასაღებასა და მოხმარებაში ეჭვით.

„თქვენ მაგალითი ხართ ჩემი ბიჭისთვის, ვინაიდან შეძელით ასეთი საშიშროების დამარცხება. ამას გარდა, თქვენი პროგრამის ნახვა შეუძლია ნებისმიერ ადამიანს მსოფლიოში. ამიტომაც დარწმუნებული ვარ, ჩვენ ერთად ბევრი რამის გაკეთება შეგვიძლია, რათა დავეხმაროთ ადამიანებს მთელ მსოფლიოში“, — განაცხადა პელემ.

მარადონას პროგრამა ეთერში, დაახლოებით, ორ საათს გრძელდებოდა. ამ დროს მასთან სტუმრად იყვნენ იტალიელი მსახიობი ქალი მარია გრაცია კუჩინოტა, არგენტინელი მომღერალი დიეგო ტორესი, ფეხბურთელი ბატისტუტა, მსახიობი რიკარდო დერინი და ჩოგბურთელი გაბრიელა საბატინი.

მასობრივი შეტევა ოკეანეებზე

დაამხეს რუსეთელი თევდორე კონიუხოვის მსოფლიო რეკორდი — ნიჩბებიანი ნავით ოკეანის სადღეღამისო გადაცურვაში. კონიუხოვის რეკორდი დღეღამეში — 110 მილი — 29 მილით გადააჭარბა ფრანგმა მენავემ ემანუელ კუანდრმა. ახლა მარტოდმარტო წყნარ ოკეანეში რომ მიცურავს. რუსეთელმა თავისი რეკორდი სამი წლის წინათ ატლანტიკის ოკეანეში დაამყარა.

32 წლის ფრანგმა სტარტი 24 ივნისს იაპონიაში აიღო და უკვე მიაღწია წყნარი ოკეანის ცენტრალურ ნაწილს. ის ისეთი სისწრაფით მიიწევს წინ, რომ უკვე ხუთჯერ შეძლო 100-მილიანი ზღუდეს გადალახვა.

სხვათა შორის, ამჟამად მსოფლიო ოკეანეებს ნიჩბებიანი ნავებით ცალ-ცალკე უტევენ, ატლანტიკაში ინგლისელები ოლივერ ხიკსი და ლივენ ბრაუნი, ინდოეთის ოკეანის დაპყრობას ცდილობს უკრაინელი თეოდორ რეზვოი.

ახლა თავად თევდორე კონიუხოვიც აპირებს ახალი ნიჩბიანი ნავის აგებას და ინდოეთის ოკეანის გადალახვას.

კონიუხოვს ერთი რეკორდი მაინც დარჩა — მან 2002 წელს 46 დღე-ღამესა და 4 საათში გადალახა ატლანტიკის ოკეანე და 11 დღე-ღამით გააუმჯობესა ადრინდელი რეკორდი, რომელიც სწორედ კუანდრს ეკუთვნოდა.

ეროტიკული ფილმი საკუთარ თავზე

რაღა არ გადახდა თავს რუმინელ ფეხბურთელს ანდრიან მუტუს. აღმასვლად ითვლება მისი მოხვედრა ლონდონის „ჩელსიში“, შემდეგ კი დაცემა — ნახევარწლიანი დისკვალიფიკაცია კოკაინის გამოყენებისთვის. ის „ჩელსიდან“ გააგდეს. მაგრამ საკუთარ თავს აჯობა და ისევ ფეხბურთს დაუბრუნდა. ახლა იტალიაში, „იუვენტუსში“ თამაშობს, რუმინეთის ნაკრებშიც კვლავ მიიწვევს.

ყველა თავის უბედურებას ფორვარდი ქალებს აბრალებს, რომლებიც მის ცხოვრებაში საკმარისზე მეტი იყო. მრავალი სასიყვარულო თავგადასავლიდან გამოირჩევა მოდელებთან მორან ატიასთან (ფოტოზე) და ლაურა ანდერსენთან ურთიერთობა.

ახლა კი ცოლად შეირთო კონსუელო მატოსი — დომინიკის რესპუბლიკის მოქალაქე და თავის ცხოვრებაზე ფილმის გადაღებაც გადაწყვიტა.

ფილმის სიუჟეტით უკვე დაინტერესდა ტინტო ბრასი. ეს იქნება ფეხბურთელის სასიყვარულო თავგადასავალი, ჟანრი — მაგარი ეროტიკა. ერთ-ერთ მთავარ როლზე პრეტენზიას აცხადებს ცნობილი პორნომსახიობი ტიტუს სტილი. თუმცა ფიქრობენ, რომ ფილმში თავის თავს მუტუ ითამაშებს. გადაღება მომავალ წელს გერმანიაში დაიწყება.

იალბუზზე — ავტომანქანით?

თათრეთის დედაქალაქის ალპინისტთა ჯგუფმა ავტომანქანით დალაშქრა იალბუზი. 12 კაცისგან შემდგარი ჯგუფი სარეკორდო სიმაღლეზე — 4670 მეტრზე ავიდა. ყველაზე ხნიერი მთამსვლელი 59 წლისაა, უმცროსი კი — 15 წლის.

„ჩვენ ორი წლის განმავლობაში ვქმნიდით მაღალი გამავლობის, სულ 480-კილოგრამიან მანქანას. მას კარები ეხსნება ექსტრემალურ სიტუაციაში გადმოხტომისთვის“, — თქვა გუნდის კაპიტანმა, მეწარმე კამილ შაიდაროვმა — ეს ასვლა ჩვენ ყაზანის 1000 წლისთავს მივუძღვენით.“

ახლა გუნდის გეგმაში ჰიმალაის უმაღლესი მწვერვალის — ჯომოლუნგმას დაპყრობაა უფრო გაუმჯობესებული ავტომანქანით.

ალბომი

ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



ხაშურის რაიონის ახალგაზრდობის ჯგუფი (მარცხნიდან) იზო პაქსაშვილი, ლიანა სულაშვილი, გივი მათიაშვილი, თამარ ხუციშვილი (კომკავშირის ცკ-ს მუშაკი), როზა გოგოლაძე, თინა ხვედელიძე, (დგანან) თამაზ ახალკაცი, თენგიზ ნოზაძე, კარლო მურჯიკნელი, შოთა ტაბაშიძე, გივი ხვედელიძე, ალექსი ცინაძე, კოლია ქურდაძე და ქუჩუკი ხვედელიძე.

გადაღებულია 1959 წელს.

მოგვაწოდა შოთა გაგნიძემ.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.

თქვენთვის, გურმანებო!

წითელი და შავი

არც სტენდალზე ვისაუბრებთ და არც წითელ და შავ ტიტებზე. ეს უკანასკნელი შედარებით ახალი გამოყვანილია და მასზე მეყვავილეებს დიდი ცილობა აქვთ.

წითელი და შავი ხიზილალა — აი, ჩვენი საუბრის თემა.

„ხიზილალის გასინჯვის დროს ნუ აჩქარდებით. მოთმინება მოიკრიბეთ. აიღეთ წვრილ ძეწკვზე დამაგრებული ვერცხლის ბურთულა, ჩაუშვით ხიზილალით სავსე ლანგარში და ის ბურთულა მთელ სიმართლეს გეტყვით" — ასეთი წარწერიანი პლაკატებითაა მორთული დღეს ევროპის ხიზილალით მოვაჭრე სახლები. მყიდველებს უხსნიან, რომ ბურთულით მანიპულირება, რომელიც მაგიურ ცერემონიალს უფრო ჰგავს, სხვა არაფერია, თუ არა შემოთავაზებული ხიზილალის ხარისხის გამოცნობა. თუ ბურთულამ ხიზილალის მასაში „ჩაძირვა" დაიწყო, ეს ამ დელიკატესის შესანიშნავი გემური თვისებების ნიშანია: მარილისა და ცხიმის თანაფარდობა მასში იდეალურია. ამის შემდეგ შეგიძლიათ დეგუსტაციაც ჩაატაროთ: მცოდნეთა აზრით, უმჯობესია ხიზილალა გაისინჯოს მოოქროვილი კოვზით: ოქრო ხომ ყველაზე ფაქიზად წარმოაჩენს ნებისმიერი საჭმლის გემურ თვისებას.

დელიკატესი მაგიდაზე მოაქვთ, ჩვეულებრივ, მელქიორის სადგარზე ბროლის ვაზით ყინულის ნატეხებთან ერთად. ამ ყველაფერს ახლავს შამპანური და მშრალი თეთრი ღვინო. ევროპის ზოგიერთ ხიზილალის სახლებში შეგიძლიათ გასინჯოთ ე. წ. „ა-ლა რუს", ანუ ხიზილალა პლუს ცივი არაყი, რომელიც აგრერიგად უყვარდა გამოჩენილ მომღერალს ფიოდორ შალიაპინს.

ფრანგული კალათი ჭყინტი ყველით და ორაგულის ხიზილალით.

სპაგეტი „შავი მარგალიტი".



„სამოთხის ნეტარება".

ძველი რუსეთის სამეფო კარზე ზუთხის ხიზილალა უპირველესი დელიკატესი იყო. ჯერ კიდევ ალექსეი მიხეილის ძის მიერ 1672 წელს მიღებული კანონით სამეფო კარის თითოეული მეთევზე ვალდებული იყო წელიწადში 30 ზუთხი მოეტანა მეფისთვის. თუმცა იგი მარტო მეფისთვის როდი იყო ხელმისაწვდომი, უბრალო ხალხიც სიამოვნებით მიირთმევდა მას.

ფრანგი მზარეული მარი-ანტუან კარემი, რომელიც XIX საუკუნის დასაწყისში თავად პეტრე ბაგრატიონს ემსახურებოდა, აღტაცებული იყო რუსული ხიზილალის მენიუთი: „შეუძლებელია იმის აღწერა, რა საოცარ საჭმელებს აკეთებენ რუსები ხიზილალასგან მარხვის დღეებში".

ევროპაში XX საუკუნის დადგომამდე ყურმოკვრით თუ იცოდნენ შავი ხიზილალის შესახებ. მას „თევზის კვერცხებს" უწოდებდნენ და თევზის დამუშავების დროს რომ გამოშიგნავდნენ, შავ ხიზილალას ჰყრიდნენ. რა თქმა უნდა, წარმოდგენაც არ ჰ ქონდათ იმაზე, რა ტრიუმფი ელოდა ამ დელიკატესს მომავალში.

ეს ტრიუმფი კი დაიწყო 1915 წელს, როდესაც რუსეთიდან საფრანგეთში ჩამოვიდნენ მეწარმე ძმები მელქუმ და მუშელ პეტროსიანები. პირველი ხიზილალის სახლი პარიზში სწორედ მათ გახსნეს.

გურამ პავლიაშვილი

გვემრავლოს!

მახარემ გაგვახარა

— ჩვენს პირველ სიხარულს, პირველ შვილიშვილს მახარე დავარქვით, — გვითხრა გუშინ დილით რედაქციაში მოსულმა თამარ სულაბერიძემ. — თვითონ მე ხონში ვიზრდებოდი — სამ ძმას ერთი და ვყავდი. უფროსები დედას პატარების გაზრდაში ვეხმარებოდით. ერთმანეთზე ზრუნვას იმ წლებიდან მივეჩიეთ, ამიტომ არის კარგი მრავალი შვილი.

თბილისში ვსწავლობდი, აქვე გავთხოვდი, სამი შვილის დედა გავხდი. ჩემი ვაჟის ვახტანგის ოჯახს 16 აგვისტოს პირველი შვილი — მახარე შეეძინა. ბიჭი გოლიათი დაიბადა, ჯანმრთელი ბავშვია!

ბიჭის მამა, ჩემი ვახტანგიც გახარებულია, მახარემ ოჯახს მომავლის იმედი მისცა.

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

გვწერენ

საპოვნელად — მადლობა

მიმდინარე წლის 5 ივლისს გაურკვეველ ვითარებაში დავკარგე მობილური ტელეფონი. დანაკარგის თაობაზე დაუყოვნებლივ განვაცხადე ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციაში. არ გასულა დიდი დრო — 12 აგვისტოს ტელეფონი დამიბრუნდა, ნომერი აღსდგა და დღესაც ჩემს სარგებლობაშია.

დანაკარგის მოძიება შესაძლებელი გახადა ვაკე-საბურთალოს რაიონის II განყოფილების პოლიციის უფროსის მოადგილის ბატონ გოჩა გიგანისა და სენაკის რაიონის პოლიციის (სადაც ნაპოვნი იქნა ტელეფონი) თანამშრომელთა გულისხმიერებამ, რისთვისაც მათ დიდ მადლობას მოვახსენებ. ასეთი კეთილშობილი ადამიანები რომ არ იყვნენ, ალბათ ცხოვრება უფრო გაჭირდებოდა....

რევაზ ტყემალაძე,
საქართველოს დამსახურებული მშენებელი.

ცოტაც გავიღიმოთ...

სტუდენტი დაშა საზაფხულო არდადეგებზე სახლში ბრუნდება და ჭიშკრიდანვე ყვირის:

— დედა, უკვე ბიჭი მყავს.

— მომილოცავს, ჩემო სიხარულო, სად სწავლობს?

— რა სწავლაზე მელაპარაკები, ის ჯერ მხოლოდ ორი თვისაა.

* * *

— **დედი**, რატომ აქვს მამას თავზე ასე ცოტა თმა? — კითხულობს მიხო.

— იმიტომ, რომ იგი ძალიან ჭკვიანია...

— მაშ შენ რატომ გაქვს ასე ბევრი?

— მოკეტე და ჭამე!

* * *

სტუდენტები ფილოსოფიის გამოცდას აბარებენ. პროფესორი ამბობს:

— ვინც სამ ისეთ კითხვას დამისვამს, რომლებზეც პასუხს ვერ გავცემ, ხუთიანს დავუწერ!

ერთი სტუდენტი უსვამს ამ კითხვებს:

1. რა არის თქვენს ცხოვრებაში კანონიერი, მაგრამ ალოგიკური?

2. რა არის თქვენს ცხოვრებაში ლოგიკური, მაგრამ უკანონო?

3. რა არის თქვენს ცხოვრებაში უკანონო და ალოგიკური?

დიდხანს ფიქრის მიუხედავად, პროფესორმა კითხვებს ვერ უპასუხა, სტუდენტი ხუთიანით გაისტუმრა და კვლავ აუდიტორიას მიმართა:

— ვინც ამ კითხვებს უპასუხებს, სწავლების ბოლომდე ჩემგან თავისუფალი იქნება.

მეორე სტუდენტი უპასუხებს:

1. თქვენ მოხუცი ხართ, ცოლი კი ახალგაზრდა გყავთ. ეს *კანონიერია, მაგრამ ალოგიკური.*

2. თქვენს მეუღლეს ახალგაზრდა საყვარელი ჰყავს. ეს *უკანონოა, მაგრამ ლოგიკური.*

3. და თქვენ იმ ახალგაზრდა საყვარელს ახლა არაფრისთვის დაუწერეთ ხუთიანი. *ეს უკანონოც არის და ალოგიკურიც.*

ისარგებლეთ ცხელი ხაზით!

საპატრულო სამსახური — 022;
გენერალური პროკურატურა — 99-74-10;
შინაგან საქმეთა სამინისტრო — 99-53-50;
საგარეო საქმეთა სამინისტრო — 28-47-47;
ფინანსთა სამინისტრო — 22-17-80; 22-09-24;
იუსტიციის სამინისტრო — 75-82-21;
ჯანდაცვის სამინისტრო — 94-34-98;
ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო — 38-47-98;
სოფლის მეურნეობის სამინისტრო — 98-57-81;
ეკონომიკური განვითარების სამინისტრო — 98-23-58; 50-69-00;
შსს სანებართვო განყოფილება — 98-57-01;
კონტროლის პალატის გენერალური ინსპექცია — 95-30-81; 96-71-78;
თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექცია — 23-56-73;
საქართველოს სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია — 39-52-47;
თბილისის სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია — 37-78-70;
შხამიანი ქვეწარმავლების გაუვნებელყოფის სამსახური — 22-61-48; 22-33-53;
ერთიანი საპენსიო ფონდი — 69-65-93; 69-65-94.
კატასტროფების ცენტრი, გადაუდებელი და სასწრაფო დახმარება, რეანიმობილის მომსახურება — 24 საათი; პაციენტის გადაყვანა რეგიონული სტაციონარებიდან თბილისის კლინიკებში — 51-77-37.

ლარის კურსი

18 აგვისტოდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები

ინგლისური გირვ. სტერლ.	1	3,2703 ლარი
აშშ დოლარი	1	1,8025 ლარი
ევრო	1	2,2346 ლარი
რუსული რუბლი	1	0,0635 ლარი.
აზერბაიჯანული მანათი	1000	0,3864 ლარი.
სომხური დრამი	100	0,3940 ლარი.
უკრაინული გრივნა	10	3,6240 ლარი.

ამინდი დღეს

18 აგვისტო	☼	)
თბილისი	38⁰	21⁰
ბათუმი	32⁰	22⁰
სოხუმი	31⁰	20⁰
ქუთაისი	32⁰	22⁰
თელავი	39⁰	25⁰

კინო

„ბილი და მონიკა"

შვიდი წლის წინათ, 1998 წლის აგვისტოში, თეთრი სახლის ყოფილმა სტაჟიორმა მონიკა ლევინსკიმ მისცა ჩვენება ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან მისი „განსაკუთრებული" ურთიერთობის შესახებ.

ბილ კლინტონს იმპიჩმენტი ემუქრებოდა. ინგლისელები — ფილმის ავტორები — ამტკიცებენ, რომ იციან ამ სკანდალური რომანის საიდუმლო, მათ შორის, ყველაზე ინტიმური დეტალებიც კი. მათთვის ისიც ყოფილა ცნობილი, რომ იმ დროისთვის კლინტონი აპირებდა ცოლთან გაყრას და 22 წლის მონიკას შერთვას.

* * *

ფილმის ნახვა შესაძლებელი იქნება რუსეთის „ენ-ტე-ვე" არხით პარასკევს, 22 საათსა და 40 წუთზე.

დღის კალენდარი ☼)

18 აგვისტოსთვის
ამოდის 05.11
ჩადის 18.56
ამოდის 18.35
ჩადის 02.50

წლის 230-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 135 დღე.

საეკლესიო კალენდარი

წინადღესასწაული ფერისცვალებისა. მოწამე ევსელინისა (362); მოწამე პონტი რომაელისა (257); წმიდა ნონასი, დედისა გრიგოლ ღვთისმეტყველისა (374).

დაიბადნენ:

1810 — ელიზბარ ერისთავი, 1832 წლის შეთქმულების თავკაცთაგანი. გარდაიცვალა 1870 წელს.

1830 — ფრანც იოზეფ I, ავსტრიის იმპერატორი. გარდაიცვალა 1916 წელს.

1833 — გაბრიელ შანელი, ფრანგი მოდელიერი. გარდაიცვალა 1971 წელს.

1917 — ნოდარ ჩხეიძე, მსახიობი, პედაგოგი. გარდაიცვალა 1981 წელს.

1933 — რომან პოლანსკი, ამერიკელი მსახიობი და კინორეჟისორი.

1937 — რობერტ რედფორდი, ამერიკელი კინომსახიობი და რეჟისორი.

გარდაიცვალნენ:

1155 — ჩინგიზ ხანი, მონღოლთა იმპერიის დამაარსებელი. გარდაიცვალა 1227 წელს.

1431 — ალექსანდრე VI, რომის პაპი. გარდაიცვალა 1503 წელს.

1799 — ონორე დე ბალზაკი, ფრანგი მწერალი. გარდაიცვალა 1850 წელს.

1950 — პაულ პეეტერსი, ბელგიელი აღმოსავლეთმცოდნე, ქართველოლოგი.

მოვლენები:

1786 წელი — დაარსდა ისლანდიის დედაქალაქი რეიკიავიკი.

1920 წელი — აშშ-ში ქალებმა არჩევნების მონაწილეობის უფლება მიიღეს.

1951 წელი — გაიხსნა ქუთაისის მანქანათმშენებელი ქარხანა.

1962 წელი — რინგო სტარი „ბითლზებთან" ერთად გამოჩნდა.

1977 წელი — ელვის პრესლი მემფისში დაკრძალეს.

ღირსსახსოვარი დღეები

ჰავაის კუნძულები — აშშ-ში შესვლის დღე.

მედეა-ნიუსი.

დღის კადრი

აფეთქება იუტას შტატში

ამერიკის შეერთებულ შტატებში აფეთქდა 17 ტონა დინამიტი, მაგრამ, საბედნიეროდ, არავინ დაღუპულა.

სატვირთო მანქანა, რომელსაც გადაჰქონდა სამრეწველო საჭიროებისთვის განკუთვნილი დინამიტი, აფეთქდა იუტას შტატის ერთ-ერთ მთიან გზაზე. აფეთქების ადგილზე წარმოიქმნა 9 მეტრი სიღრმის და 18 მეტრი დიამეტრის მქონე უზარმაზარი ორმო. მხოლოდ იღბლიანი შემთხვევის წყალობით, ყველაფერი უმსხვერპლოდ დასრულდა. დაშავდა 4 ადამიანი, რომელთაგან ერთ-ერთის მდგომარეობა კრიტიკულია. გადარჩა თვით ამ ავბედითი სატვირთო მანქანის მძღოლიც, რომელმაც ვერ შეძლო საჭის დამორჩილება, რის გამოც მანქანა გადაბრუნდა. მძღოლმა მოასწრო ავტომანქანის კაბინიდან გადმოხტომა და გაიქცა გზისკენ, რათა შეეჩერებინა მოახლოებული ავტომობილები.

სააქციო საზოგადოება „ენერჯი ინვესტის" თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ღირსეული მამულიშვილის, ღვაწლმოსილი სპეციალისტის

ბესარიონ ჩაშის

მოულოდნელი გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

გიორგი ხაზარაძე, კარლო გარდაფხაძე, ვასილ ჩალაძე, თამაზ იმედაძე, ელვერ კუპატაძე, მოსე მდინარაძე, გივი რევია, სიმონ გამყრელიძე ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ საბჭოთა კავშირის გმირის, გადამდგარი პოლკოვნიკის

შოთა შურღაიას

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის" სტამბაში,
რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" თანამშრომლები
გამომცემელი — შპს „თანადგომა-1"
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი
რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი
ელგუჯა ლეჟავა.

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.

CYAN BLACK